

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

*ISSN 1987-7684*


სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

# სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

## VIII

შრომების კრებული



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2015

YDC (უაკ) 316 (051)  
ს 743

**„სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“  
გამოდის 2009 წლიდან**

**საჩემდაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
რედაქტორი:**

*ირაკლი მანველიძე*

**საჩემდაქციო კოლეგია:**

*გუსეინ ნიზამი ოღლი ნაჯაფოვი (ბაქო), გენადი  
იაშვილი (თბილისი), ლადო მკერვალიძე (თბილისი)  
ინეზა ზოიძე, ნატალია ლაზბა, ზაზა ბურკაძე, ირაკლი  
გორგილაძე, ლაშა ბაჟუნაიშვილი, ინგა ცინცილაძე,  
ირინა ცინცაძე (პასუხისმგებელი მდივანი).*

**რეცენზენტები:**

*მარინა იტრიაშვილი  
იოსებ სანიკიძე  
ლევან ჯაყელი*

**ISSN 1987-7684**

© საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სტატიაში მოცემულ ფაქტებზე, მოსაზრებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელია ავტორი

**მისამართი:**

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,  
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №505.

**E-mail** [manvelidze.irkli@gmail.com](mailto:manvelidze.irkli@gmail.com)

**Tel:** 0422 29 33 46

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎ : 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge


# **Batumi Shota Rustaveli State University**

**Faculty of social and Political sciences**

**The Department of Social and Political Sciences**

## **Problems of Social Sciences VIII**

**PROCEEDINGS**



**Publishing House „Universal“  
TBILISI-2015**

# Problems of Social Sciences

Issued since 2009

**Chairman of the Editorial Board, Editor:**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Huseyn N. Najafov, Lado Mkervalishvili (Tbilisi), Genadi Iashvili (Tbilisi), Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze, Lasha Bajunaishvili, Inga Tsintsqiladze, Irina Tsintsadze.*

**reviewers:**

*Marina Itriashvili*

*Ioseb Sanikidze*

*Levan Jakeli*

**ISSN 1987-7684**

© **The Department of Social and Political Sciences**

For providing in articles the material, opinions and conclusions responsibility of the author.

**Address: 505, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,**

**E-mail** [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com) **Tel:** 042 229 33 46

**Publishing House „Universali“**

**Publishing House „universali“, 2015**

---

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

# VIII



« 2015 »

«

»

2009

, :

:

( ), ( ),  
( ), ( ),  
, , ,  
( , ).

:

*ISSN 1987-7684*

©

,  
.  
: , , 35, II ,  
#505.

E-mail [manvelidze.irakli@gmail.com](mailto:manvelidze.irakli@gmail.com) Tel: 0422 29 33 46

« », 2015

, 0179, . 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30

შ ო ნ ა ა რ ს ო  
C O N T E N T

---

---

პოლიტიკის მეცნიერება  
Political Science

*ლაშა ბაჟუნაიშვილი*

გეოპოლიტიკური კოლიზიები ახლო აღმოსავლეთში ..... 11

**Lasha Bazhunaishvili**

Geopolitical Collisions in the Middle East.....23

.....24

*კახაბერ სურგულაძე*

ევროკავშირში მიგრაციული ნაკადის

რეგულირების მექანიზმები.....25

.....31

**Kakhaber Surguladze**

Mechanisms for regulating migration flow to the European

Union.....32

*ირაკლი მანველიძე*

*გიგა ფარტენაძე*

*გიორგი ქათამაძე*

ელექტრონული მთავრობის განვითარება, როგორც სახელმწიფო მმართველობის რეფორმირების ელემენტი აჭარის მაგალითზე .....33

.....48

*Irakli Manvelidze*

*Giga Phartenadze*

*Giorgi Katamadze*

Development of electronic governance as an element of reforming state governance according to the Adjarian example .....50

*ირაკლი გორგილაძე*

სრუტეების გეოპოლიტიკა და ახალი წესრიგი შავ

ზღვაზე .....52

*Ираклий Горгиладзе*

Геополитика проливов и “Новый порядок” на Черном

море.....61

***Irakli Gorgiladze***

Geopolitics of the Straits and New Order in the Black Sea.....62

***ლამზირა ხიდეშელი***

ისლამური სახელმწიფო - რეალური საფრთხე .....64

– .....71

***Lamzira Khidesheli***

Islamic Stata – Real Danger .....72

***ნატალია ლაზბა***

პოლიტიკური კონფლიქტების რელიგიური ფაქტორი.....73

***Natalia Lazba***

Religious factor of political conflicts .....81

.....82

***გიორგი ჯღარკავა***

გერმანიისა და ევროკავშირის ურთიერთამოკიდებულების  
ხარისხი.....83

***Giorgi Jgarkava***

The interdependence levels between Germany and the European  
Union .....92

.....93

**ხათუნა მურადიშვილი**

პლატონის შეხედულებები იდეალური სახელმწიფო მმართველობის შესახებ ..... 95

**Khatuna Muradishvili**

Plato's opinions om the ideal state governmence ..... 109

..... 110

**თორნიკე მჟავანაძე**

ნატო საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი ..... 111

**Tornike Mzhavanadze**

NATO as Guarantee of Economic Safety for Georgia ..... 119

..... 121

სოციოლოგია  
Sociology

**ინეზა ზოიძე**

რელიგიისა და ოჯახის, როგორც სოციალური ერთობების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხის შესახებ ..... 123

*Ineza Zoidze*

About some issues concerning interrelations between religion and family as social unions ..... 132

..... 133

**პედაგოგია**

**Pedagogy**

*მადონა ფალავანდიშვილი*

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში: პრობლემები და პერსპექტივები ..... 134

: ..... 140

*Madona Falavandishvili*

Introducing new information technologies in learning process, problems and perspectives ..... 141

**ბიზნესი და ეკონომიკა**  
**Business and Economy**

***თამთა ვარშანიძე***

სოციალურ-ეთიკური ფაქტორების როლი ბიზნესის ორგანი-  
ზაციის ეფექტურ ფუნქციონირებაში ..... 142

-

..... 153

***Tamta Varshanidze***

The role of social-ethical factors in effective functioning of business  
organization ..... 154

**მასკომუნიკაცია**

**Mass Communication**

***ირინე ცინცაძე***

მასმედიის როლი პუბლიცისტური ენის ნორმირების პრო-  
ცესში ..... 155

..... 161

***Irine Tsintsadze***

---

The role of mass media in the process of publicist’s language  
standardization..... 162  
*ნესტან მამუჩაძე*  
მანიპულირება - XXI საუკუნის მედიის მოთხოვნა ..... 163  
*Nestan Mamuchadze*  
Manipulation \_ demand of the Xxi century ..... 171

XXI ..... 172

*ნათელა ბერიძე*  
ჟურნალისტის პროფესიონალიზმი ქართულ მედიაში..... 173  
*Natela Beridze*  
Journalist’s professionalism in Georgian media ..... 177  
..... 177

*მაია პაპუნაშვილი*  
სოციალური მედიის ხიბლი და დამანგრეველი ძალა ..... 178  
a ..... 187

*Maia Papunashvili*  
Attraction of social media and destructive power ..... 188

სამართალი

Law

*ანზორ უსტიაძე*

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა,  
როგორც სამენარმეო (ბიზნესის) სუბიექტი..... 189

( ).....206

*Anzor Ustiadze*

Joint Activity Partnership, as a Business Entity .....207

იდენტობა

идентичность

Identity

*ცირა ფუტკარაძე*

სიმბოლური ინტერაქციონიზმი ევროპელთა  
იდენტობაში.....208

*Tsira Phutkaradze*

Symbolic interactionism in the European identity.....221

.....222

პოლიტიკის მეცნიერება  
**Political Science**

გეოპოლიტიკური კოლიზიები ახლო  
აღმოსავლეთში

*ლაშა ბაჟუნაიშვილი*

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პოსტბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს რეგიონის წამყვანი სახელმწიფოების - საუდის არაბეთსა და ირანის ბრძოლა „ლიდერი სახელმწიფოს“ სტატუსისათვის, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციის პარალელურად, ეთნო-კულტურულ და რელიგიურ ხასიათსაც ატარებს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული დაპირისპირება შესაძლოა განხილული იქნას, როგორც შიდაცივილიზაციური კონფლიქტი. ამერიკელი მეცნიერის სემუელ ჰანტინგტონის თანახმად, ქვეყნები ჯგუფდებიან საკუთარი ცივილიზაციის წამყვანი (ბირთვი) სახელმწიფო(ებ)ს ირგვლივ, რაც ამკვიდრებს შიდაცივილიზაციურ წესრიგს. სწორედ ეს წამყვანი (ბირთვი) სახელმწიფო ან სახელმწიფო-

თა ჯგუფი წარმოაჩენს საკუთარი ცივილიზაციის ინტერესებს გლობალურ პოლიტიკაში, მსოფლიო წესრიგს კი მნიშვნელოვანწილად აფუძნებს ამ ბირთვი სახელმწიფოებს შორის შეჯახებები ან დიალოგი. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ცივილიზაცია არ წარმოადგენს ერთიან მონოლითურ ორგანიზმს. ხშირ შემთხვევაში შიგნით არსებულ ცალკეულ ერი-სახელმწიფოებს შორის, რომლებიც განსხვავებული კულტურის, ეთნო-ლინგვისტურ და რელიგიური მიმდინარეობის მატარებელია, არსებობს შიდა ცივილიზაციური კონფლიქტი, რაც მეტწილად დაკავშირებულია ბირთვი სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრების, ძლიერებისა და კეთილდღეობისაკენ სწრაფვით (Huntington 1996: 126-127, 179; პატარია 2015:472-473,476).

ისლამურ ცივილიზაციაში შიდა კონფრონტაციის საწყის ეტაპად შესაძლოა ჩაითვალოს VII საუკუნე, როდესაც არაბებმა რეგიონში ახალ მონოთეისტურ რელიგიას, ვრცელ იმპერიას, მაღალგანვითარებულ კულტურას, ე. წ. ისლამურ ცივილიზაციას ჩაუყარეს საფუძველი და რეგიონის უძღვევლის სპარსული ცივილიზაციის ძლიერ კონკურენტებად იქცნენ. მართალია, მათ შეძლეს სპარსელების გამუსლიმება და საბოლოოდ, მათი ისლამური ცივილიზაციის ნაწილად ქცევა, თუმცა ირანელი ხალხი არ თმობდა უძველეს თვითმყოფადობას, რაც დაუსრულებელი კონფლიქტის მიზეზი გახდა. მოგვიანებით (VII-X სს.), არაბებსა და სპარ-

სელებს შორის ეთნო-კულტურულმა დაპირისპირებამ რელიგიური მოტივებიც შეიძინა. ირანი ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობის - შიიზმის აღმსარებლებად გადაიქცა, რომელიც ორთოდოქსალურ ისლამს - სუნიზმს თვისობრივად დაუპირისპირდა (Abdo 2013:14,20). შედეგად, ისლამურ ცივილიზაციაში შიდა დაპირისპირება და კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა.

ამგვარად, ისლამური ცივილიზაცია საბოლოოდ ორ მსხვილ კონფრონტაციულ ერთეულებად გაიყო. საუკუნეების განმავლობაში ეთნო-კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური სქიზმა (ანუ შიდა ცივილიზაციური კონფლიქტი) წითელ ხაზად გასდევდა აღმოსავლური იმპერიების გეოპოლიტიკას, მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენდა მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებზე, სახელმწიფო იდეოლოგიასა და კონფლიქტების ესკალაციაზე, რაც რეგიონს არასტაბილურს ხდიდა.

ისლამურ ცივილიზაციაში ბირთვი სახელმწიფოს სტატუსისათვის ბრძოლა მეოცე საუკუნეში ახალი ენერჯით გაჩაღდა, როდესაც ჯერ ოსმალეთის იმპერიის, ხოლო მერე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპული კოლონიური იმპერიების მსხვერველს მოჰყვა. არაბულმა სახელმწიფოებმა სუვერენიტეტი მოიპოვეს, ხოლო შეერთებულ შტატებთან მჭიდრო პარტნიორობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ირანიც. დამოუკიდებლობის მოპოვების პარალელურ-

რად, სპარსეთის ყურის სახელმწიფოები ნავთობის მსხვილ ექსპორტიორ სახელმწიფოებად გადაიქცნენ, რამაც მათ მანამდე წარმოუდგენელი ტემპების ეკონომიკური განვითარების, ძლიერი სამხედრო-თავდაცვითი სისტემების ფორმირებისა და საერთაშორისო ასპარეზზე წამყვან სახელმწიფოებთან პარტნიორობის საშუალება მისცა. ეკონომიკური განვითარების ფონზე კვლავ განახლდა დაპირისპირება რეგიონის წამყვან სახელმწიფოებს შორის. ერთი ცდილობდა პან-არაბული სამყაროს კონსოლიდაციას, ხოლო მეორე ძლევამოსილი სპარსეთის იმპერიის აღდგენას.

სხვადასხვა პერიოდში პან-არაბულ მოძრაობას სხვადასხვა არაბული სახელმწიფო ედგა სათავეში. 50-60-იან წლებში ეგვიპტე, სირია და იორდანია ლიდერობდნენ. მათ გავლენას სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოებიც განიცდიდა. უფრო მეტიც, მიუხედავად ნასერის სოციალისტური მსოფლმხედველობისა, არაბული მონარქიების (საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საემიროები, ყატარი, ქუვეითი, იორდანია) პოლიტიკური ელიტა და ხშირ შემთხვევაში სამეფო ოჯახის წარმომადგენლები პატივს სცემდნენ და იზიარებდნენ „ნასერიზმს“ და მისი არაბული ნაციონალიზმის იდეებს (Kissinger 1970:8-9; Sirriyeh 1984 :61-63). 1958 წელს შეიქმნა ეგვიპტე-სირიის გაერთიანებული არაბული სახელმწიფო, რომელსაც მალე იემენიც შეუერთდა და რომელიც პრეტენზიას აცხადებდა რეგიონის ლიდერობაზე. პან-

არაბიზმის შეკავების მიზნით, ირანი აქტიურად თანამშრომლობდა რეგიონის არა არაბულ სახელმწიფოებთან (ისრაელთან, სეკულარულ თურქეთთან და ავღანეთთან). შემთხვევითი არ იყო, რომ თეირანს განსაკუთრებული სტრატეგიული და ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნდა ისრაელთან ისე, რომ დე იურე არც ჰყავდა აღიარებული (Parsi 2007:22-23). ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი ისრაელისა და ირანის კავშირს ერთიანი საფრთხეების მიმართ შემდეგნაირად ახასიათებდა: „არც ირანს და არც ისრაელს არ სურს მარტო აღმოჩნდეს არაბთა ზღვაში“ (Neff 1991:24). 70-წლებში სსრკ-ს დახმარებით სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ერაყი, რომელიც ირანის ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტად იქცა, თუმცა შეერთებული შტატებისა და ისრაელის დახმარებით, თეირანი წარმატებით ართმევდა თავს რადიკალური არაბული სახელმწიფოების შეკავებას<sup>1</sup>.

რეგიონის ჰეგემონობისთვის ბრძოლაში ახალი ეტაპი ირანის ისლამური რევოლუციის (1978-79 წწ.) შემდეგ დაიწყო, როდესაც აიათოლა ჰომეინის ინიციატივით, ირანმა ახალი საგარეო პოლიტიკის სტრატეგია შეიმუშავა, რაც ითვა-

---

<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ ირანი და საუდის არაბეთიც შეერთებული შტატების მოკავშირე და იარაღის ვაჭრობის სფეროში კლიენტ-სახელმწიფოები იყვნენ, მათ შორის არსებობდა მწვავე კონკურენცია. ერთიანი ვერ ეგუებოდა ირანის მისწრაფებას დასავლელი მოკავშირეების ინტერესების დასაცავად შეესრულებინა „სპარსეთის ყურის ჟანდარმის ფუნქცია“ (Sirriyeh 1984 :19).

ლისწინებდა ისლამური რევოლუციის ექსპორტით თეოკრატიული რეჟიმების დამყარებას ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში (დევიზი „არც აღმოსავლეთი, არც დასავლეთი, მხოლოდ ისლამი“). შედეგად თეირანმა აქტიურად დაიწყო შიიტური პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა რეგიონის არაბულ სახელმწიფოებში (ლიბანი, ბაჰრეინი, სირია, ერაყი და იემენი). თეირანის გააქტიურების ფონზე პალესტინაში და ლიბანში მნიშვნელოვნად გაიზარდა შიიტების როგორც რიცხვი, ისე მათი პოლიტიკური გავლენები, ერაყში კი მათ სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას მნიშვნელოვანი დისკომფორტი შეუქმნა.

რეგიონში ისლამური რევოლუციის ექსპორტისა და პოლიტიკური სურათის შეცვლის მცდელობას ირან-ერაყის 8 წლიანი ომი მოჰყვა (1980-88). ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ბაღდადმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო, ხოლო ირანმა, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს არაბული სამყაროს პირისპირ მარტო აღმოჩნდა, მომავალი უსაფრთხოებისა და რეგიონში პოზიციების შენარჩუნების მიზნით, ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა განაახლა, რომელიც ისლამური რევოლუციის შემდეგ აიათოლა რუჰოლა ჰომეინის ინიციატივით იქნა შეჩერებული. სწორედ, მაშინ ჩაეყარა საფუძველი ირანის ახალ

ბირთვულ სტრატეგიას<sup>2</sup>, რომელიც უსაფრთხოებისა და რეგიონში პოზიციების შენარჩუნების გარანტი უნდა გამხდარიყო. ამრიგად, ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანმა სცადა თავის გავლენების გაფართოება ავღანეთიდან ლიბანამდე. გეოპოლიტიკურ კონკურენციასთან ერთად, რელიგიური კონფრონტაცია კვლავ გახდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მთავარი ლეიტმოტივი.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური სურათი არსებითად შეიცვალა. 90-იან წლებში აშშ-ერაყის დაპირისპირება (1991 წლის სპარსეთის ყურის პირველი ომი და 1998 წლის საჰაერო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ - „ოპერაცია უდაბნოს მელა“), 2003 წელს ანტიტერორისტული კამპანიით დასრულდა, რითაც ვაშინგტონმა საბოლოოდ გაანადგურა ირანის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მონინააღმდეგე (შემაკავებელი), რეგიონის ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე, მის ხელისუფლებაში მყოფი სუნიტი ლიდერი სადამ ჰუსეინი და ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში შიიტური პოლიტიკური ძალების მოსვლას. სირიასა და ირანს შორის შიიტური ერაყის წარმოქმნამ, რეგიონში „შიიტური სახელმწიფოების ლერძის“ და თეირანის გავლენების გაძლიერების საფრთხე შექმნა. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო ირანის შეკავება, რომლის ვალდე-

---

<sup>2</sup>არსებობდა შაჰის პერიოდის ბირთვული სტრატეგია, რომელიც ირანის „მშვიდობიან ბირთვულ აფეთქებას“ ისახავდა მიზნად.

ბულება არაბულ სამყაროს ახალმა გამოკვეთილმა ლიდერმა საუდის არაბეთმა აიღო. 2003 წლიდან დღემდე საუდის მმართველმა ოჯახმა მილიარდობით დოლარის „ინვესტიცია“, დიპლომატიური და პოლიტიკური ძალისხმევა გაიღო საერთაშორისო ასპარეზზე, რათა რამდენიმე მიზნისთვის წარმატებით მიეღწია: 1 - მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობები თავის ძველ კონკურენტებთან, თურქეთთან, ეგვიპტესთან და ყატართან<sup>3</sup>; პაკისტანთან, სუდანთან და მაროკოსთან შექმნა არაფორმალური გაერთიანება - „არაბულ სახელმწიფოთა ბლოკი“, რომელიც მიმართულია ირანის წინააღმდეგ; 2 - ხელი შეუწყო რადიკალური სუნიტური მიმდინარეობების, განსაკუთრებით ვაჰაბიზმის გაძლიერებას ახლო აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებში (Fრიედმან 2015), განსაკუთრებით იმ ქვეყნებშიც, სადაც ხელისუფლების სათავეში შიიტური პოლიტიკური ელიტაა მოქცეული, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტებს შეადგენს; 3 - ხელს უწყობს მმართველი სუნიტური პოლიტიკური ძალების გაძლიერებას იმ არაბულ სახელმწიფოებში (ბაჰრეინი, იემენი, ერაყი), სადაც მოსახლეობის უმრავლესობა შიიზმის აღმსარებელია. 2003 წლიდან დღემდე საუდის არაბეთი სოლიდურ ფინანსურ და ეკონომიურ დახმარებას უწევს ერაყის მოსახლეობას, რომელიც იმავდროულად სუნიტური თემის მხარ-

<sup>3</sup> „მეზ მუსლიმებთან“ კარგი დამოკიდებულების გამო.

დაჭერის ტოლფასია. ერ-რიადში აღნიშნულ დახმარებას „არაბული იდენტობის“ გაძლიერებით ირანის გავლენების შეკავების აუცილებლობით ხსნიან (Gfoeller 2009:3); 4 - დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან (აშშ, ევროკავშირი), ისრაელთან და თურქეთთან ერთად აქტიურად არის ჩართული ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ. საუდის არაბეთი მხარს უჭერს მკაცრი ეკონომიკური სანქციების გატარებას, რითაც ერ-რიადი იმედოვნებს არ მხოლოდ ბირთვული პროგრამის განვითარების დამუხრუჭებას, არამედ, თეირანის ფინანსურ-ეკონომიკურ დაქვეითებას, რაც ირანს აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას მოუსპობს (მხედველობაშია ლიბანში, სირიაში, ერაყში, იემენში და ბაჰრეინში სასურველი რეჟიმების დამყარება). ეკონომიკური სანქციების და დიპლომატიური იზოლაციის გარდა, საუდის მმართველი ოჯახი ისრაელის მსგავსად, შეერთებული შტატებისგან დაჟინებით ითხოვდა ირანის ბირთვული პროგრამის სამხედრო გზით განადგურებას. 2008 წლის აპრილში ერაყში შეერთებული შტატების ელჩთან რაიან კროკერთან და გენერალ დევიდ პეტერიუსთან შეხვედრის დროს საუდის მონარქმა აბდალაჰ ბინ აბ ალ-აზიზმა ყოველგვარი დიპლომატიური მოკრძალების გარეშე განუცხადა მათ, რომ ვაშინგტონი ვალდებულია „გველს (ირანს ლ.ბ) თავი გაუჩიქოს“ (Gfoeller 2009:3).

ამგვარად, ბირთვი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებისათვის აქტიურად მიმდინარეობს დაპირისპირება საუდის არაბეთსა და ირანს შორის. მათი კონფრონტაციის ასპარეზს წარმოადგენს რეგიონის პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილური სახელმწიფოები - ერაყი, სირია-პალესტინა, ბაჰრეინი, იემენი, ლიბანი, ავღანეთი და სხვ. 2003 წლიდან დღემდე საუდის არაბეთის მხარდაჭერით ერაყის სუნიტური სამხედრო დაჯგუფებები და პოლიტიკური ელიტა აქტიურად ცდილობს პრემიერ მინისტრ ალ მალიქის ხელისუფლების ლიკვიდაციას. 2006 წელს შიიტებსა და სუნიტებს შორის სისტემატიური შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო, რომელიც მოგვიანებით „ტერაქტების ომში“ გადაიზარდა. 2011 წელს, როდესაც შეერთებული შტატების სამხედრო ძალებმა დატოვა ერაყი, აბუ ბაქრ ალ ბაღდადის მეთაურობით ჩრ. ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე ე.წ. „სირიისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ ჩამოყალიბდა, რომელმაც აქტიური სამხედრო კამპანია წამოიწყო ერაყის ხელისუფლების წინააღმდეგ.

შედარებით მწვავედ განვითარდა მოვლენები სირიაში. 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ ფონზე, ბაშარ ალ ასადის რეჟიმის ოპოზიციურმა სუნიტურმა ძალებმა ალავიტი (შიიზმის ერთერთი განშტოება) მმართველის წინააღმდეგ სირიის ქალაქებში ჯერ საპროტესტო აქციები, ხოლო მოგვიანებით შეიარაღებული ბრძოლა წამოიწყო. ოპოზიცი-

ური ძალების გარდა (თავისუფალი სირიის არმია), ასადის ნინაალმდეგ კონფლიქტში ჩაერთო ალ-ქაიდას მიერ ორგანიზებული ჯებჰატ ალ ნუსრას ფრონტი, აჰრარ ალ შამი, ისლამური ფრონტი და ისლამური სახელმწიფო (დაემი), რომლებმაც კონტროლი დაანესეს ერაყის მოსაზღვრე სირიის ჩრდილოეთ პროვინციებზე. სირიის სამოქალაქო ომში ჩართულ რადიკალურ სუნიტურ სამხედრო დაჯგუფებებს აქტიურ მხარდაჭრას უწევს სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოები, განსაკუთრებით აქტიურობს ერ-რიადი. რეგიონალური თვალსაზრისით, საუდის არაბეთს გააჩნია სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსი შეაკავოს ირანის მზარდი გავლენა რეგიონში. თავის მხრივ, ირანი ცდილობს ლიბანის ჰეზბოლასთან ერთად ბაშარ ალ ასადის რეჟიმის შენარჩუნებას. ირანის ისლამური რესპუბლიკა აქტიურ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევს სირიის სახელისუფლებლო ძალებს. ასადის მომხრე ძალები ცოცხალი ძალით მნიშვნელოვან შევსებას იღებენ რეგიონის სახელმწიფოთა შიიტური თემებისაგან.

ამგვარად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა გავლენებისთვის, არსებული წესრიგისა და ძალთა ბალანსის ტრანსფორმაციისათვის, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ ფონზე მნიშვნელოვნად გამოიკვეთა. სწორედ, არაბულ სამყაროში რეჟიმების ცვლილების დროს გამოჩნდა თუ რამდენად ღრმა და მწვავეა რელიგიურ-პოლიტიკური დაპირისპი-

რება ახლო აღმოსავლეთის წამყვან სახელმწიფოებს შორის და რამდენად არის იგი დაკავშირებული ხანგრძლივ ბრძოლასთან, რომელიც ბირთვი სახელმწიფოს სტატუსისათვის მიმდინარეობს. გარდა ამისა, პოსტბიპოლარულ საერთაშორისო ურთიერთობებში ახლო აღმოსავლეთი წამყვანი სახელმწიფოების მომეტებული ინტერესების ზონის სტატუსს ინარჩუნებს. რეგიონში მიმდინარე რიგი სამხედრო-პოლიტიკური პროცესები გვაფიქრებინებს, რომ აქტიური რისკის სტატუსის მთავარ გეოპოლიტიკურ აქტორებს აქ პერმანენტული არსებობის შანსს უნარჩუნებს.

### ლიტერატურა

**დ. პატარაია**, საერთაშორისო ურთიერთობები. დისციპლინა და თეორია, გამომც. „არეტე“, თბილისი 2015;

**Samuel P. Huntington**, *The Clash of Civilizations and Remaking of World Order*, Pub. By Simon and Shuster, NY 1996;

**Donald Neff**, „The U.S., Iraq, Israel and Iran: Backdrop to the War“, *Journal of Palestine Studies*, Vol. 20, No. 4 (Summer), pp. 23-41, published by University of California Press;

**Hussein Sirriyeh**, „US Policy in the Gulf 1968-1877, Aftermath of British Withdrawal“, Published by Ithaca Press, London 1984;

**Henry A. Kissinger**, „The Persian Gulf“, Memorandum for the President, October 22, 1970. Source: Library of Congress, Manuscript Division, Kissinger Papers, Box CL-315, NSC Files, National Security Memoranda, NSDMS 11/70-9/71. Secret. Sent for action. Tab A, the draft decision memorandum, is not published, but the final version is published

as Document 97.mis.<http://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76ve04/comp1>;

**Trita Parsi**, Treacherous Alliance. The Secret dealings of Israel, Iran and The United States, Publ. by Yale University Press, 2007;

**SAUDI KING ABDULLAH AND SENIOR PRINCES ON SAUDI POLICY TOWARD IRAQ**, MEMORANDUM FM AMEMBASSY RIYADHTO RUEHC/SECSTATE WASHDC /IMMEDIATE/, SECRET, RIYADH 000649. E.O. Classified By: CDA Michael Gfoeller, Reasons 1.4 (b,d). Source: <http://www.wikileaks.ch>

**Geneive Abdo**, The New Sectarianism: The Arab Uprisings and the Rebirth of the Shi'a-Sunni Divide, Analysis Paper, 29, Apr. 2013. Published by The Saban Center for Middle East Policy at Brookings

**Thomas Friedman**, Our Radical Islamic BFF, Saudi Arabia, New York Times, Sept. 2, 2015. Source: <http://www.nytimes.com/2015/09/02/opinion/thomas-friedman-our-radical-islamic-bff-saudi-arabia.html>;

## Lasha Bazhunaishvili

### Geopolitical Collisions in the Middle East

Resume

The Article describes struggle between Middle East Super States - Iran and Saudi Arabia for Status of “Core State” of so-called Islamic Civilization. In most cases considered, that during and post-Cold war period political and military events developed in the region linked with interest of Western Countries (the US, USSR/Russia and EEC/EU), if, however, we understand nature of the problem is

obvious., that regional conflicts, crises, destabilization and threats are linked with struggling for leadership of two regional leader states – Iran and Saudi Arabia. Mostly, this confrontation becomes effective tool for Great Powers to influence on regional developments and use it for their own interests.

**ლაშა ბაჟუნაიშვილი**

## **Геополитические Коллизии на Ближнем Востоке**

Резюме

Актуальной проблемой постбиполярных международных отношений Ближневосточного региона является борьба ведущих стран данного региона за приобретение статуса «государства-лидера», который параллельно с военно-политической конфронтацией, носит этнокультурный и религиозный характер. Именно поэтому данное противостояние, возможно, рассматривать, как внутренний цивилизационный конфликт, который создает нестабильный фон в регионе.

## ევროკავშირში მიგრაციული ნაკადის რეგულირების მექანიზმები

*კახაბერ სურგულაძე*

„სირიის ომმა“ და მის კვალობაზე ევროკავშირში განვითარებულმა გლობალური მასშტაბების მიგრაციულმა პროცესებმა, საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფართო ვნებათა ლელვის საგანად იქცა. ასეთ ფონზე, ინტერესს იწვევს იმ ბერკეტები ნახვა, რითაც შესაძლებელია მიგრაციის და მიგრანტების ფართო ნაკადის შეკავება ზოგადად ევროკავშირში და მასში შემავალ ცალკეულ ქვეყნებში.

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგადად მიგრაციის და მიგრანტების ნაკადის მიმართ ევროკავშირში შემავალი ქვეყნები იყენებენ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას. საკითხს ისიც ართულებს, რომ გარეგნულად ევროკავშირი და მასში შემავალი ცალკეული ქვეყნები თითქოს არ საჭიროებენ „ზედმეტი მოქალაქის“ არსებობას. არადა, აშკარაა, რომ არაევროპული რეგიონებიდან ისინი ცდილობენ მიიზიდონ სხვადასხვა სახის ინტელექტუალები. ასევე მოსახლეობის საპენსიო რიცხვის ზრდის, ანუ „გადაბერების“ გამო, ევროპა უკვე საჭიროებს იაფ მუშახელს. ერთის მხრივ, ზოგადევროპული ფასეულობებით განსაზღვრულია თითოეული ადამიანის თავისუფალი გადაადგილება, მეორეს მხრივ, შენგენის ზონაში მიგრაციულ ნაკადზე დანესებული არის მკაცრი შეზღუდვები.

ორმაგი სტანდარტების მიუხედავად, ერთი უდავოა, რომ პრობლემის გადაჭრა გულისხმობს მიგრაციის და მიგრანტების ნაკადის ნორმატიულ-სამართლებრივი ხასიათის რეგულირებას და ინტეგრაციული ზომების მიღებას. პირველში იგულისხმობა მიგრაციის რაოდენობრივი შემადგენლობაზე უშუალო ზემოქმედება, ხოლო მეორეში ხარისხობრივი ცვლილებები და მიგრანტების ინტეგრირებას აბორიგენ მოსახლეობაში [ , 2015:30].

ნორმატიულ-სამართლებრივ ბერკეტებში იგულისხმება სხვადასხვა სახის საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები. საერთოდ, XX-XXI ს-ბის მიჯნაზე მიგრაციული პოლიტიკის სფეროში საერთაშორისო კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მასში ძირითადად გამოყოფენ მხოლოდ სამართალწარმოების უნივერსალურ საერთაშორისო აქტებს და მიგრანტების სტატუსის მარეგულირებელ დოკუმენტებს.

ლტოლვილთა პრობლემები და მის ნიადაგზე განვითარებული მიგრაციული პროცესები კაცობრიობის ისტორიის თანაარსებობის ნაწილია. ამის მიუხედავად, ამ სფეროში პირველი საერთაშორისო მნიშვნელობის აქტი მიიღეს მხოლოდ 1921 წელს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მიგრაციული პროცესების სამართლებრივი რეგულირება საკითხი ერთ-ერთი რთული მიმართულებაა და იგი სათავეს იღებს ე.წ. „ლტოლვილთა სამართლისგან“ (Refugee Law). მიგრანტთა საკითხი, რომელიც ფიქსირდებოდა ჯერ კიდევ ერთა ლიგის აქტებში, 1951 წლის გაეროს კონვენციით და 1967 წლის ოქმებით პრობლემის გადაჭრის უნივერსალური

საფუძვლის სახე მიიღო [ ., 2007:172]. არსებითად, სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისთვის მკაფიოდ არის გამოიჯნული მიგრანტი, ლტოლვილი და ა.შ. სხვა ცნებები.

უდავოა, რომ მიგრაციულ პროცესებს რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, მისი გადაჭრისას ყოველთვის ამოსავალი რჩება გაეროს მიერ 1948 წლის ადამიანის უფლებებათა საყოველთაო დეკლარაცია", ევროკავშირის ზოგადი და კავშირში შემავალი ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობები. გაეროს დეკლარაციით: „ყველა ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება" (მუხლი 13.1). ასევე „ყველას აქვს უფლება ეძიოს დენისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით" (მუხლი 14.1) [ადამიანის უფლებებათა საყოველთაო დეკლარაცია:9-10].

ძოგადად, საზოგადოებისთვის მიგრაციის და მიგრანტების ფართო ნაკადის დარეგულირების საკითხების მნიშვნელობის შესახებ გაეროს მხრიდან სხვადასხვა დროს მიღებულია არაერთი რეზოლიციები. ერთ-ერთი მათგანია 1965 წელს მიღებული კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. ამ კონვენციით მოხდა წინარე აქტებით გამოთქმული პოსტულატების შემაგრება. აქვე შევნიშნავთ, რომ უშუალოდ მიგრანტების უფლებები შემაგრებულია გაეროს მიერ დაარსებული შრომითი ურთიერთობების რეგულირების სპეციალური დანესებულების (International Labour Organization) მიერ მიღებული კონვენციებით ( 97, 1949; 143, 1975) და სხვა აქტებით [[http://www.conventions.ru/view\\_base.php?id=278](http://www.conventions.ru/view_base.php?id=278)]].

ზემონახსენები საკანონმდებლო აქტებით ზოგადად გამაგრებული იქნა მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმები და განისაზღვრა გარკვეული სტანდარტებიც, რომელთა დაცვა სუბიექტ სახელმწიფოებისთვის ნორმებად იქცა. ამის გარდა, საერთაშორისო ნორმებით განისაზღვრა სახელმწიფოების უფლებები თავიანთ ტერიტორიებზე მიგრანტების შესვლის, ცხოვრების და საქმიანობის შესახებ. სწორედ იგი ხსნისა ევროკავშირში არსებულ თავის ნორმატიულ-სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც ამატებს საერთაშორისო დეკლარირებულ პრინციპებს ზოგად სამართალგამოყენების პრაქტიკით [ , 2015:32].

ევროკავშირის ტერიტორიაზე რეგიონალური მნიშვნელობის ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც ხდება მიგრაციის უშუალოდ რეგულირება არის 1977 წლის ევროპული კონვენცია მიგრანტების სტატუსის შესახებ კონვენცია აქცენტირებულია მიგრანტების შრომის და ცხოვრების უფლებების თანასწორობის საკითხებზე. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ კონვენციას, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის სხვა აქტებს, აქვთ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი.

შენიშნულია, რომ არალეგალირი მიგრაციის საწინააღმდეგოდ ევროპული სახელმწიფოების უკანასკნელი წლებების გამოცდილებამ აჩვენა პრობლემის უნიფიცირების აუცილებლობა [ , 2015:33]. ამ მხრივ, არალეგალური მიგრაციის საწინააღმდეგო ბერკეტები ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა ფიგურირდება 2002-2009 წლებში მიღებული დირექტივებით და კონვენციებით ( 90, 28.11.2002; 115,

16.12.2008; 52, 18.06.2009 და ა.შ). ამ დოკუმენტებით უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ შესული ფიზიკური და იურიდიული პირები, ასევე იმიგრანტთა არალეგალური შრომის დამქირავებლებზე, ვრცელდება სხვადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციები.

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სხვადასხვა ეროვნების არალეგალების ყოფნა განპირობებულია ისტორიული (კოლონიალური, ეკონომიკური..) გარემოებითაც. ასე მაგ., საფრანგეთში ძირითადად მიდიან ყოფილი ჩრდ. აფრიკული კოლონიებიდან (ალჟირი, ტუნისი). გერმანიაში ლტოლვილთა უმეტესობა არის თურქეთიდან და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან. ესპანეთში მაროკოდან და სამხრეთ ამერიკული კოლონიებიდან, ხოლო ბრიტანეთში უმეტესად აფრიკიდან (ნიგერია...) და სამხრეთ აზიიდან (ინდოეთი...) [ , 2015:39; , 2006].

ცხადია, მიგრაციის შედეგად ევროკავშირის გამრავალეროვნებამ, რაც გამოწვეული იყო ე.წ. მულტიკულტურული პოლიტიკით, წარმოშვა საპირისპირო ეთნოკულტირული პრობლემებიც. მის ნიადაგზე გართულებების თავიდან ასაცილებლად ევროპული იმიგრაციული სამართლის აგება და ინყო შენგენის შეთანხმების საფუძველზე. არსებირად შენგენის სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მიგრაციის დარეგულირების საერთაშორისო რეგიონალური სისტემა [ , 2007:174].

მართალია სასაზღვრო დარეგულირების საკითხში დღეისთვის შედარებით წარმატების მოქმედებს შენგენის შეთანხმება, რაც გულისხმობს პრობლემისკენ ერთიან მიდ-

გომას, მაგრამ მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოები ტავიანთი ეროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე ერთმანეთში თანხმდებიან მხოლოდ ზოგად პრინციპებში.

დასასრულ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისათვის ევროკავშირი წარმოადგენს სახელმწიფოთა გაერთიანების განსაკუთრებულ ფორმას, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო დოკუმენტებზე (კონვენციები, აქტები...) დაფუძნებული მიგრაციის პროცესის და მიგრაციული (ლეგალური და არალეგალური) ნაკადის რეგულირების განსაკუთრებული სამართლებრივი მექანიზმები. ყველა ეს სამართლებრივი აქტი დროის მოთხოვნებს პასუხობს და მათი მიგრაციული პროცესის პრობლემის სიმწვავის შემთხვევაში მოსალოდნელი არის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი ცვლილება.

### ლიტერატურა

ადამიანის უფლებებათა საყოველთაო დეკლარაცია  
(<http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>);

„ ( , ),  
., 2015;

„ . 171-183,  
 , ., 2007;  
„ , ., 2006;  
[http://www.conventions.ru/view\\_base.php?id=2](http://www.conventions.ru/view_base.php?id=2)

-  
-  
(  
,  
10.12.1948,  
)  
-  
-  
-  
,  
-  
.

**Kakhaber Surguladze**

**Mechanisms for regulating migration flow to the European  
Union**

**Resume**

The article is about mechanisms for regulation of global migration flow to the European Union. It is mentioned that solution of the problem needs normative-legal regulation (the United Nations universal declaration of human rights of 1948, the common EU and Member States' legislation) as well as integration measures. The first implies direct impact on quantity of migration flow and the second implies qualitative changes and integration of migrants in local population.

**ელექტრონული მთავრობის განვითარება, როგორც  
სახელმწიფო მმართველობის რეფორმირების  
ელემენტი აჭარის მაგალითზე**

*ირაკლი მანველიძე  
გიგა ფარტენაძე  
გიორგი ქათამაძე*

თანამედროვე ეტაპზე, საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პროცესი საქართველოში დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფო მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს საინფორმაციო -საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რამაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო აპარატის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, მისი ურთიერთმოქმედება მოქალაქეებთან და სხვადასხვა დაწესებულებებთან. ამასთან, უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხდება ბიუროკრატიზაციის და კორუფციის აღმოფხვრა სახელმწიფო სამსახურში. ამ კონტექსტში მთავარ როლს თამაშობს ელექტრონული მთავრობის შექმნა და ეფექტური ფუნქციონირება. მისი მთავარი ღირსება კი იქნება ხელი-სუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება.

საქართველოს ხელისუფლება ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და განვითარებას, მსოფლიოს ინფორმაციულ სივრცეში აქტიურ ინტეგრირებას ქვეყნის განვითარების სტრატეგიის – დემოკრატიული, თავისუფალი, სამარ-

თლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური წინსვლის, ადამიანური რესურსების განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად, საფუძვლად და პრიორიტეტად აღიარებს.

ელექტრონული მთავრობა უპირველს ყოვლისა, არის იმ დოკუმენტებით მუშაობის ავტომატიზაცია, რისთვისაც მოქალაქეები მიმართავენ სახელმწიფო უწყებებს სხვადასხვა ცნობების, ლიცენზიების და სხვა ფორმალური აქტების მიღებისთვის, მათი განსაზღვრული საქმიანობის დაკანონებისთვის. ამავე დროს მოქალაქეებისათვის ეს არის შესაძლებლობა თვალი მიადევნონ მათ განცხადების, თხოვნის, წინადადებების, მოთხოვნების შემდგომ მსვლელობას. აქედან გამომდინარე, ელექტრონული მთავრობა, ეს არის სახელმწიფო მართვის ფორმების და მეთოდების ერთობლიობა, მომსახურება გაუწიოს მოქალაქეებს, ორგანიზაციებს და ხელისუფლების სხვა ორგანოებს საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეთავაზებული მომსახურების და უწყებათშორის ორგანიზაციის ოპტიმიზაციის მიზნით. ამავე დროს გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობის დონე სახელმწიფო მართვის სფეროში. თანამედროვე ეტაპზე ელექტრონული მთავრობა განიხილება, როგორც მმართველობის ინსტრუმენტი და მართვის პროცესების განხორციელების სისტემა, როგორც კრიზისის, პო-

ლიტიკური რყევების სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მართვის ეფექტური ფორმა<sup>4</sup>.

ტექნოლოგიურმა ძვრებმა არა მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოების სოციალური შემადგენლობაც შეცვალა, რამაც ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები და მათი მმართველობის რეჟიმები. ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების უპრეცედენტო ზრდის შედეგია ციფრული დემოკრატიისა და ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება დასავლეთის სახელმწიფოებში. ელექტრონული მმართველობა ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობას, ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. მისი ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური კომუნიკაციური სისტემები, რაც საშუალებას იძლევა შეიქმნას სახელმწიფო ორგანიზაციების ვებგვერდები, განთავსდეს ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტების მდგომარეობის, კონკურსების, ვაკანსიების შესახებ, ხელმისაწვდომი გახდეს მნიშვნელოვანი მოვლენები, ახალი ამბები და ა.შ. ეს კი უპრეცედენტოდ ზრდის ხალხის

---

<sup>4</sup> რ ა ტ ი ა ზ უ ლ ძ ე , საქართველოს ელექტრონული მთავრობის გამოწვევები.

მონანილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვის საქმეში<sup>5</sup>. მთავრობის მიმართ ნდობის ამაღლების და კარგი მმართველობისა და დემოკრატიის გაძლიერების მიზნით, მთლიან საზოგადოებას (მოქალაქეები, საზოგადოებრივი ჯგუფები, სამოქალაქო ორგანიზაციები და ბიზნესი) უნდა შეეძლოს მონანილეობა მიიღოს საჯარო გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკის შემუშავებაში.

2006 წლის მარტის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მონყობის რეფორმის ცენტრი შეიქმნა, რომელმაც შეიმუშავა კონცეპტუალური დოკუმენტები, როგორცაა: საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი და ელექტრონული მმართველობის კონცეფცია. 2007 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ელექტრონული მთავრობის განვითარების მიმართულებით. შეიქმნა ელექტრონული მთავრობის განვითარების მხარდამჭერი სამთავრობო კომისია, 2010 წელს კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ჩამოყალიბდა. სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ელექტრონული მთავრობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. მას შემდეგ სახელმწიფომ ელექტრონული მთავრობის პროექტების მნიშვნელოვანი რიცხვი განახორციელა, მათ შო-

<sup>5</sup> ქ ე თ ე ვ ა ნ რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი , ე ლ ე ქ ტ რ ო ნ უ ლ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი : მ ს ო ფ ლ ი ო ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი , <https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies>

რის my.gov.ge, hr.gov.ge, eauction.ge, rs.ge. გაეროს ელექტრონული მთავრობის განვითარების მაჩვენებლის თანახმად, საქართველო 2012 წელს 72-ე ადგილიდან 2014 წელს 56-ადგილზე ავიდა.

ელექტრონული მმართველობის სფეროში უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში გადადგმული კონკრეტული, თუნდაც არაკოორდინირებული, ზოგჯერ უსისტემო, მაგრამ მაინც სერიოზული ნაბიჯების ბევრი კარგი მაგალითია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში, მათ შორის ცენტრალურ, სექტორულ და რეგიონალურ დონეზე. ჩვენთვის ამ შემთხვევაში სწორედ რეგიონალური დონის ანალიზია მნიშვნელოვანი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა რეგიონალური ელექტრონული მთავრობის განვითარების არსებული მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 2014 წელს შექმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი სამთავრობო პორტალი. ამ კუთხით რეგიონი მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელებაში პიონერია ქვეყანაში.

ზოგადად, საქართველოში ელექტრონული ჩართულობის ოთხი მთავარი სფეროა განსაზღვრული: უკუკავშირი ელექტრონულ სერვისებთან მიმართებაში, ელექტრონული სერვისების შემუშავებაში ჩართულობა, ღია მონაცემები, გამჭვირვალობა, ღია მმართველობა და ბოლოს, გადაწყვეტილების მიღება და პოლიტიკის შემუშავება.

უკუკავშირის მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: კომენტარების/საჩივრის საშუალება, ანუ ვებ გვერდის ბოლო თავი, ჩამოსაშლელი მენიუ სერვისის მინოდების შემდეგ და ა.შ.; ონლაინ ჩატები ან სწრაფი მოკლე ტექსტური შეტყობინების ფუნქცია; ფორუმები, ბლოგები; ონლაინ კვლევა ან კონსულტაციები; ონლაინ გამოკითხვები; სოციალური მედიის გამოყენება. პორტალ [www.adjara.gov.ge](http://www.adjara.gov.ge)-ზე არ არის განთავსებული ზემოთდასახელებული ერთი უკუკავშირის მექანიზმიც კი. თუ არ ჩავთვლით ისეთ მოძველებულ სერვისს, როგორცაა „მოგვწერეთ“. ამავე დროს ყველას გააჩნია ოფიციალური ფეისბუქ-გვერდები. თუმცა ისინი არ არის გათვლილი კონკრეტული მომსახურებებისა თუ მომხმარებლის სეგმენტზე. ჩვენს მიერ ჩატარებული ელექტრონული ჩართულობის კვლევის მიხედვით, ერთიან პორტალზე წარმოდგენილი საჯარო ინსტიტუტების ვებგვერდები ძირითადად ორიენტირებულია ცალმხრივ კომუნიკაციაზე, რაც გამოიხატება ინფორმაციის გაცვლაში და არ უზრუნველყოფს ისეთი განხილვის პლატფორმას, როგორცაა ბლოგ-ფორუმები. იმ ვებ გვერდების უმრავლესობას, რომლებზეც მონიტორინგი ჩატარდა, არ აქვს ონლაინ სერვისების შეფასების ფორმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება პრობლემის იდენტიფიცირება და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მოქალაქეებთან ერთად. ვებგვერდს ნწნ.ად-ჯარა.გოვ.გე არ აქვს სპეციალური მოდული, რომელიც სა-

შუალეხას მისცემს ყველა მსურველს, დატოვოს კომენტარი სხვადასხვა სამთავრობო გადანყვეტილებების, პროექტების, ღონისძიებების შესახებ და ამ გზით გამოხატოს თავისი მოსაზრება. ვებ-გვერდი არ მოიცავს ელექტრონულ პეტიციებს.

რეგიონში ელექტრონული მთავრობის დანერგვა სერიოზულ პრობლემებს აწყდება. კვლევამ გამოავლინა ორგანიზაციული, ტექნიკური, სოციალური და მეთოდური ხასიათის პრობლემები. რომლებიც მოცემულ ეტაპზე ქმნის სერიოზულ ბარიერებს და ხელს უშლის ელექტრონული მთავრობის ეფექტურ განვითარებას. აღსანიშნავია შესაბამისი საკადრო რესურსის არყოფა, ცენტრსა და რეგიონს შორის შესაბამისი პროგრამების მიზნების განსხვავებულობა, მოქალაქეთა ნაკლები გათვითცნობიერებულობა ელექტრონული მთავრობის პროექტის შესახებ და ა.შ.

მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრების მიუხედავად, აჭარის რეგიონში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საერთო მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. რეგიონის ინფორმაციულ გარემო, შეიძლება შეფასდეს როგორც დემოკრატიზების მიმართულებით გარდაქმნის სტადიაში მყოფი, რომელიც გარკვეული პროგრესის მიუხედავად, საჭიროებს სერიოზულ რეფორმებს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნების თვალსაზრისით. არსებული

რეალობა ეს არის არასისტემური, სტრატეგიულად გაუმიზნავი არაკოორდინირებული ნაბიჯები; ისინი უფრო მეტად წარმოადგენენ “სტიქიურ”, ვიდრე ერთიან, მიზანმიმართულ, სისტემურ პროცესს. აქედან გამომდინარე, უნდა შეიქმნას სტრატეგიული დოკუმენტი „აჭარის ელექტრონული მთავრობა“, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში ელექტრონული მთავრობის განვითარების პროცესის გარკვეულ სისტემაში მოქცევას.

„აჭარის ელექტრონული მთავრობა“, როგორც სახელმწიფო მართვის ახალი სისტემა, უნდა შეიქმნას მოსახლეობისთვის სახელმწიფო მომსახურების ხარისხის და ეფექტურობის გაზრდის, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით. აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების სხვადასხვა დონეებს შორის ეფექტური უწყებათშორისი ურთიერთობებისთვის. საკუთრივ ელექტრონული მთავრობა წარმოადგენს სისტემას, რომელსაც სტრუქტურაში აქვს შიდა და გარე კონტურები.

ელექტრონული მთავრობის შიდა კონტური ეს არის დახურული სისტემა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სახელმწიფო აპარატის შიდა მოხმარებისთვის. ის მოიცავს პროგრამულ-აპარატულ კომპლექსს, რომელშიც დაცულია მონაცემები. ყველაფერი ეს უზრუნველყოფს ეფექტურს უწყებათშორის ურთიერთობებს. შიდა კონტურის ფარ-

გლებში მოქმედებს შემდეგი სისტემები: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი უწყებათშორისი სისტემა, მთავრობის საინფორმაციო ანალიტიკური სისტემა და მისი გეოსაინფორმაციო სისტემა.

დოკუმენტის „აჭარის ელექტრონული მთავრობის სტრატეგიის“ განხორციელება უნდა დაეფუძნოს არა მარტო კონცეპტუალურ და ინსტრუმენტალურ, არამედ, სამართლებრივ საფუძვლებსაც. უნდა შეიქმნას სამართლებრივ ნორმატიული ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული მთავრობის ინსტრუმენტალური ბაზის ფორმირებას და, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი უწყებათშორის რეგიონალური სისტემის შექმნას. ამავ დროს სამართლებრივი ნორმით უნდა განსაზღვროს უწყებათშორის ურთიერთობებში გამოსაყენებელი დოკუმენტების სახეობათა ჩამონათვალი. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი უწყებათშორის რეგიონალური სისტემის შექმნა დაარეგულირებს რეგიონალურ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს და უზრუნველყოფს რეგიონის ყველა სახელმწიფო უწყების ერთიან საქმისწარმოებას.

სახელმწიფო ხელისუფლების საინფორმაციო-ანალიტიკურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური მხარდაჭერა, რომელიც უნდა დაეფუძნოს აჭარის რეგიონის სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების შესახებ არსებული მონაცემების ანალიზს, მონიტორინგს და დამუშავებას.

აჭარის რეგიონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გეოინფორმაციული სისტემა უნდა წარმოადგენდეს იმ ინფორმაციის მართვის ინსტრუმენტს, რომლის საფუძველზეც შეიქმნება ერთიანი გეოინფორმაციული სივრცე, რომელიც გააერთიანებს ავტონომიური და მუნიციპალური დონის მმართველობით ორგანოების და უწყებების მონაცემთა ბაზებს ერთობლივი გამოყენების სისტემაში. ყველაფერი ეს საშუალებას მოგვცემს რაციონალურად დაიგეგმოს და მიღებულ იქნეს ეფექტური გადაწყვეტილებები, მათ შორის ცალკეული ტერიტორიების ოპტიმალური მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვისაც. უწყებათშორის მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისთვის აუცილებელია ყველა მუნიციპალიტეტში დაინერგოს ვიდეოსაკონფერენციო კავშირების სისტემა სხვადასხვა დონის თათბირების ჩატარების უზრუნველყოფისთვის.

„ელექტრონული მთავრობის“ გარე კონტური წარმოადგენს სისტემას, რომელიც ერთის მხრივ, შეიცავს მოსახლეობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ფართო სპექტრს რეგიონის მთავრობის, სახელმწიფო ორგანოების, სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის, საცნობარო ინფორმაციის, სხვადასხვა მოვლენების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, იძლევა საშუალებას ელექტრონული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა სახის სახელმწიფო მომსახურების

მიღების შესაძლებლობას. გარე კონტური წარმოადგენს ღია სისტემას და წვდომა დასაშვებია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის. ის შედგება რიგი ღია ინტერნეტ რესურსებისაგან. მოცემულმა კონტურმა ასევე უნდა მოიცვას რამდენიმე სისტემა: აჭარის მთავრობის ერთიანი პორტალი, მუნიციპალიტეტების პორტალი, ქ. ბათუმის მერიის და საკრებულოს პორტალები, აჭარის უმაღლესი საბჭოს პორტალი და სახელმწიფო მომსახურების პორტალი. მთავრობის პორტალი ეს არის მთავრობის აპარატის, სამინისტროების და საქვეუწყებო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების ერთობლიობა, რომელმაც მოქალაქეებს და ბიზნეს სტრუქტურებს უნდა მიაწოდოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია მთავრობის საქმიანობის შესახებ. სახელმწიფო მომსახურების პორტალმა მოქალაქეებსა და ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა მიაწოდოს არა მარტო ინფორმაცია, არამედ ინსტრუქცია სახელმწიფო მომსახურების სერვისების და მათი გამოყენების შესახებ.

აჭარის მუნიციპალური ვებ-გვერდების გაერთიანების ბაზაზე უნდა მოხდეს ერთიანი რეგიონალური მუნიციპალური პორტალის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ყველა სისტემას. თითოეული მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი უნდა შეიცავდეს ზოგად ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ, მის მუნიციპალურ გაერთიანებების, მართვის ორგანოების, სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემების, მნიშვნე-

ლოვანი ნორმატიული დოკუმენტების ტექსტების, განხორციელებულ გეგმების და პროექტების შესახებ ინფორმაციას. საიტზე ასევე უნდა ხდებოდეს შესაბამის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაცნობაც. მოქმედ ვებ-გვერდებზე განთავსებულია მხოლოდ ზოგად ინფორმაციას მუნიციპალიტეტის და მართვის ორგანოების შესახებ, ისიც საკამოდ მწირია. მუნიციპალიტეტების ერთიანი პორტალის და აჭარის მოქმედი ერთიანი სამთავრობო პორტალების გაერთიანების ბაზაზე უნდა შეიქმნა ერთიანი რეგიონალური პორტალი - აჭარის ელექტრონული მთავრობის“ სისტემის სახით. აღნიშნულ სისტემაში უნდა მოქმედებდეს ისეთი ელექტრონული სერვისი, რომელიც მოქალაქეებს და ორგანიზაციებს დაეხმარება პირდაპირ მიმართონ მათთვის დაინტერესებულ შესაბამის კომპეტენტურ უწყებას საჭირო საკითხზე. თავის მხრივ უწყებას ექნება შესაძლებლობა ოპერატიულად მიიღოს და განიხილოს მიმართვა და გასცეს პასუხი.

„აჭარის ელექტრონული მთავრობის“ პროექტის შემუშავებამ და განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეებისათვის სახელმწიფო მომსახურების შეთავაზების პროცესის ოპტიმიზაციას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე გაზარდოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ეფექტურობა გადაწყვეტილების შემუშავების და მიღების სფეროში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ყველა-

ფერი ერთად მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ბიუროკრატიზაციის შემცირებას, გადანყვეტილების მიღების გაჭიანურებას, რასაც ხშირად აწყდებიან სახელმწიფო მოსამსახურეები, რეგიონის აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაძლებლობას მისცემს გააკონტროლოს უწყების ქვედა რგოლები, რომლებიც ღებულობენ მოქალაქეების განცხადებებს და საჩივრებს. ამის გარდა, რიგი სახელმწიფო სერვისების შეთავაზება მოხდება უშულოდ ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც გამორიცხავს მოქალაქეთა რიგებს უწყებებში მსგავსი სერვისებით სარგებლობის დროს.

ამავე დროს არსებობს პრობლემები იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ყოველთვის ინტერნეტთან წვდომა ან არ ფლობენ ელექტრონული რესურსების შესაბამის უნარებს. თუმცა ეს პრობლემები შეიძლება პარალელურ რეჟიმში მოგვარდეს ელექტრონული ტერმინალების განთავსებისა და შესაბამისი უნარების კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

ელექტრონული მმართველობის, როგორც სახელმწიფო მართვის საშუალების სრულყოფის შესახებ საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს რიგი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს რეგიონალური და, ზოგადად ელექტრონული მმართველობის შესახებ პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. პირველი, ერთიანი სტრატეგიის არ არსებობა, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული ცენტრალური ხელისუფლების რეგიონებთან ურთიერთდა-

მოკიდებულება მსგავს პროგრამებთან დაკავშირებით. საუბარია საქართველოს რეგიონებში მსგავსი პროექტების განხორციელებაზე და კომპეტენციების გამიჯვნაზე. ის რომ რეგიონების არათანაბარი განვითარება კიდევ უფრო ართულებს როგორც ცენტრთან, ასევე საკუთრივ რეგიონებს შორის ურთიერთობის მდგომარეობას. მთლიანობაში კი არასაკმარისი მცდელობაა სახელმწიფოს ერთიანი ელექტრონული არქიტექტურის შექმნაზე.

მეორე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ეფექტური საჯარო სერვისის სტრატეგიაზე იმ მიზნით, რომ მოსახლეობისთვის შეთავაზებული იქნეს ახალი მოსახერხებელი ელექტრონული სერვისები, რამაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ელექტრონული ჩართულობა და ღია მმართველობის ჩამოყალიბება; შესაბამისად უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა; გაძლიერდეს ელექტრონული უსაფრთხოება; მოქალაქეებში უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა და ელექტრონული ინკლუზია. ყველაფერმა ერთად უნდა მოახდინოს ციფრული მომსახურების გამოყენების აქტიური ხელშეწყობა. ასევე უნდა იქნეს შესწავლილი თუ როგორი ნვდომა აქვს მოსახლეობას და როგორ იყენებენ [www.adjara.gov.ge](http://www.adjara.gov.ge)-ს და შეთავაზებულ სხვა ეფექტიან სერვისებს. ხელისუფლებამ აქცენტი უნდა გააკეთოს მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების დანერგვაზე, ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრაზე, მომხმარებელთა ინტერნეტ უნარების გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის

დანერგილი სერვისების მოხმარების ეფექტურობას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მთავრობასა და მოქალაქეებს შორის (G2C) ეფექტიან სერვისს და ონლაინ სერვისების ხელმისაწვდომობას პორტალ [www.adjara.gov.ge](http://www.adjara.gov.ge) –ს მეშვეობით. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა მთელი რეგიონის მასშტაბით იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში განთავსებული თვითმომსახურების აპარატების მეშვეობით, აგრეთვე ისეთი კომერციული არხების მეშვეობით, როგორცაა გადახდის აპარატები.

ამრიგად, მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, აჭარის მაგალითზე შექმნილი ერთიანი სამთავრობო პორტალი, შეიძლება განვიხილოთ როგორც რეგიონალური მთავრობის განვითარების მოდელი საქართველოში და ის შეიძლება მივიჩნიოთ როგორც სახელმწიფო მმართველობის რეფორმების ელემენტი საქართველოში. უნდა შეიქმნას რეგიონალური ელექტრონული მთავრობის დანერგვის და განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც იქნება ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის განვითარების შემადგენელი ნაწილი.

Иракли Манвелидзе  
Гига Фартенадзе  
Георгий Катамадзе

**Развитие электронного правительства, как пример  
элемента реформирования государственного управления  
на примере Аджарии**

Резюме

Введение электронного правительства в регионе сталкивается с серьезными проблемами. Проведенные исследования выявили организационные, технические, социальные и методологические проблемы, которые создают серьезные препятствия на данном этапе и мешают эффективному развитию электронного правительства.

Необходимо также отметить отсутствие соответствующих кадровых ресурсов, различие программных целей между центром и регионами, ограниченная осведомленность граждан о проекте электронного правительства и т.д.

Несмотря на некоторые позитивные сдвиги в Аджарском регионе развитие современных информационно-коммуникационных технологий остается посредственным.

Информационную среду региона, можно охарактеризовать как переходный период к демократизации который, несмотря на определенный прогресс, нуждается в серьезном реформировании с точки зрения создания современных информационных и коммуникационных технологий.

Существующая реальность является не системной, стратегически непродуманной без скоординированных шагов; они представляют «стихийное» действие, а не целенаправленный системный процесс. Исходя из этого, необходимо создание стратегического документа «Электронное правительство Аджарии», который обеспечит в регионе процесс развития электронного правительства, подведение его под определенный процесс.

Документ «Стратегия электронного правительства Аджарии» должен иметь не только концептуальные и инструментальные, но также законные основания. Необходимо создать правовую нормативную базу, которая обеспечит формирование инструментальной базы электронного правительства и которая, в первую очередь, подразумевает создание единой региональной межведомственной системы электронного документооборота.

В тоже время правовыми нормами должно определяться в межведомственных отношениях перечисление

используемые виды документов. Создание единой региональной межведомственной системы электронного документооборота будет способствовать регуляции отношений между государственной властью, местным самоуправлением и общественными организациями, обеспечит единым документооборотом все государственные учреждения.

**Irakli Manvelidze**  
**Giga Phartenadze**  
**Giorgi Katamadze**

**Development of electronic governance as an element of  
reforming state governance according to the Adjarian  
example**

Resume

Establishment of electronic governance in the region is facing serious problems. Organizational, technical, social and methodological problems have been identified after the research. These problems currently create serious barriers and prevent the development of effective e-governance. Lack of human resources, difference in program targets of the centre and the region, lack of citizens' awareness about the project of electronic governance are other issues that should be mentioned.

In spite of positive changes the overall situation concerning development of modern information-communication technologies in Adjara is not satisfactory. The information systems in the region can be described as transforming in a democratic way which needs serious reforms. Current situation shows that unsystematic, uncoordinated actions were made which overall represents more chaotic rather than coordinated systematic process. Therefore, a strategic document “Adjarian Electronic Government” should be created which will ensure systematic development of electronic governance in the region.

The implementation of the strategy of “Adjarian Electronic Government” should be based on not only conceptual and instrumental but also legal basics. A legal normative basis should be created which will include formation of electronic government’s instrumental basis as well as creation of united regional system of electronic document management. Meanwhile types of documents which would be used in inter institutional relations should be defined under a legal norm. Creation of regional united system of e-filing will regulate regional public institutions, relations between local self-government and public organizations as well as it will ensure coordinated work of all regional public institutions.

## სრუტაების გამოპოლიტიკა და ახალი ნაწილი შავ ზღვაზე

*ირაკლი გორგილაძე*

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში შავი ზღვის სრუტეების საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს გეოპოლიტიკური პრობლემად რჩება. ბრძოლა ნაოსნობის რეჟიმის კონტროლზე წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ერთერთი უმთავრეს ორიენტირს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ლოზანის სამიტზე (1923) შავი ზღვის სრუტეების საკითხი ერთ-ერთ წინა პლანზე იყო წამოწეული. საბჭოთა რუსეთი კატეგორიულად მოითხოვდა სრუტეების დახურვას ყველა გემისთვის. დიდი ბრიტანეთი კი ცდილობდა შავ ზღვაში "ანტანტის" გავლენის გაზრდას. საბოლოოდ თურქეთი დათანხმდა, რომ შავი ზღვის სრუტეების დემილიტარიზაციას განახორციელებდა და ანტანტის სამხედრო ფლოტებისთვის, სრუტეებს გახსნიდა.<sup>6</sup>

საკითხი საბოლოოდ მონტრიოს კონვენციამ დაარეგულირა. კონვენციის დებულებები ერთობლივად შეიმუშავეს: დიდმა ბრიტანეთმა, თურქეთმა, საფრანგეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, საბერძნეთმა, იუგოსლავიამ, ავსტრალიამ და იაპონიამ.

---

<sup>6</sup> Imperial Conference of 1923. <http://www.i-acuse.com/wp-content/uploads/2014/09/1923-Imperial-Conference.pdf>

მონტრიოს კონვენცია, რომელიც 1936 წლის 20 ივლისს შვეიცარიის ქალაქ მონტრიოში დაიდო, არეგულირებს "შავი ზღვის სრუტეების" სტატუსს, რომლებიც თურქეთის სუვერენიტეტის ქვეშაა, მაგრამ ღიაა ყველა ქვეყნის სავაჭრო გემისთვის მშვიდობიან ან საომარ ვითარებაში (თუ თურქეთი არაა ომის მონაწილე). თუკი თურქეთი ომის მონაწილეა, იმ ქვეყნების სავაჭრო გემებს, რომლებიც არ არიან თურქეთთან ომში ჩაბმულნი, შეუძლიათ ისარგებლონ სრუტეებში ტრანზიტით იმ პირობით, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავენ (არ დაეხმარებიან ომის სხვა მონაწილეებს). მართალია ყველა მონაწილე სახელმწიფომ აღიარა სრუტეებზე თურქეთის გავლენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თურქეთს უფლება არ ჰქონდა საკუთარი შეხედულებებისამებრ განესაზღვრა სრუტეებში, რომელიმე ქვეყნის ფლოტის გატარება-არგატარების საკითხი. თურქეთს უნდა ეხელმძღვანელა კონვენციის დებულებებით.

კონვენციის ძალით ასევე მცირე შეზღუდვები დაწესდა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ფლოტებისთვის, ხოლო არა შავიზღვისპირა ქვეყნების ფლოტებისთვის მთელი რიგი შეზღუდვები შემუშავდა: სრუტეებში ვერ გაივლის ის ხომალდი, რომლის წყალწვა აღემატება 15 ათას ტონას, მათი რაოდენობა კი 9 ერთეულს. არაშავიზღვისპირა ქვეყ-

ნებს უფლება აქვთ შავ ზღვაში დაჰყონ მხოლოდ 21 დღე.<sup>7</sup> შავიზღვისპირა ქვეყნებს ეს შეზღუდვა არ ეხებათ.<sup>8</sup>

კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა შავი ზღვის სრუტეების რეგიონში დომინირებისა და მასზე კონტროლის გასაღებს. ამიტომ ხელსაყრელ გარემოებებში კავკასიასთან მიმართებით ყველა დიდი სახელმწიფო ავლენდა თავის ძალას. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დასაწყისში არსებობდა მთელი კავკასიის ხელახლა გადანაწილების გეგმები, რაზედაც დამაჯერებლად მოწმობს ახალგაზრდა თურქეთის ხელმძღვანელობის ღია დაპირებები რუსეთის კავკასიელი ხალხებისთვის, რომლებსაც არიგებდნენ იმ იმედით, რომ „კავკასიაში რუსების წინააღმდეგ აჯანყდებიან თათრები, ქართველები და მთიელები“, და სომხებსაც სთავაზობდნენ მათთან შეერთებას. ომში წარმატების შემთხვევაში „რუსების განდევნის“ შემდეგ ახალგაზრდა თურქები პირდებოდნენ „ჩრდილო-დასავლეთში შეიქმნას ავტონომიური საქართველო ქუთაისის,

---

<sup>7</sup> Montreux Convention Regarding the Regime of the Straits - JULY 20 TH, 1936. <http://www.dailysabah.com/op-ed/2015/12/12/the-montreux-convention-regarding-the-regime-of-the-straits>

<sup>8</sup> იმის გამო რომ 1952 - 1992 წლებში ბოსფორსა და დარდანელზე 444 ავარია მოხდა და უმეტეს შემთხვევაში, გემებზე თურქი ლოცმანი არ იმყოფებოდა. 1994 წლის 1 ივლისს თურქეთმა მიიღო სანაოსნო მიმოსვლის სპეციალური დადგენილება: "ყველა ის ხომალდი, რომელიც აპირებს გაიაროს შავი ზღვის სრუტეები (ბოსფორი და დარდანელი) ვალდებულია სრუტეებში გავლამდე დაიქირაოს თურქი - ლოცმანი, რათა სათანადოდ იყოს დაცული უსაფრთხოების ნორმები“.

ტფილისის, ბათუმისა და ტრაპიზონის გუბერნიის ნაწილის ფარგლებში“, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში „გამოიყოს ავტონომიური მუსლიმანური ოლქი დაღესტნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიის ნაწილის შემადგენლობით“ და, ბოლოს, ცენტრალურ ნაწილში შეიქმნას „ავტონომიური სომხეთი ერევნის, ყარსის, ელიზავეტპოლის გუბერნიის დასავლეთ ნაწილისგან მათთვის არზრუმის, ვანისა და ბითლის ვილაიეთების მიმდებარე ნაწილების მიერთებით“<sup>9</sup>

გლობალურმა ცვლილებებმა XX საუკუნეში, პირველყოვლისა, სსრკ დაშლამ და ახალი საერთაშორისო სუბიექტების სუვერენიზაციამ გააქტიურა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები, რაც პირდაპირ უკავშირდება შავი ზღვის რეგიონისა და სრუტეების საკითხს.

ისტორიული სივრცის გეოპოლიტიკური სახის შენარჩუნების ერთერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამხედრო-სტრატეგიული ერთიანობა. მას აყალიბებს ხელშეკრულებები ერთობლივი თავდაცვისა და კავშირების შესახებ, რომლებიც მოწმობს საერთო სტრატეგიული ინტერესების არსებობას, განსაზღვრავს მესამე ქვეყნებისადმი ურთიერთვალდებულებებს. ამის გათვალისწინებით ინტერესთა ჯგუფები სერიოზულ გავლენას ახდენენ და იბრძვიან ევრა-

---

9

ზიაში მათთვის მომგებიანი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შექმნაზე.

**ამერიკის შეერთებული შტატები.** აშშ 2002 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით, შავი და კასპიის რეგიონები მიჩნეულია მნიშვნელოვანად არა მხოლოდ ნავთობის მარაგების, არამედ ინდოეთისა და სამხრეთ-აზიის ბაზრებისაკენ გამავალი გზების გამო. აშშ სამხედრო არსებობა ავღანეთიდან საქართველომდე ზრდის ვაშინგტონის გავლენას რეგიონში. მიზნის მისაღწევად არსებითია ძალთა ბალანსის ცვლა რითაც მიიღწევა რუსეთის გავლენის შესუსტება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში. მეორე მნიშვნელოვანი მიზანია სსრ კავშირის დაშლის შედეგად აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. შედეგად აშშ მოკავშირეებთან ერთად შეძლებენ დომინირებული პოზიციის მოპოვებას აქ, რითაც მოახერხებენ რეგიონული ბალანსის დანოლის ცენტრის შეცვლას მათ სასარგებლოდ.<sup>10</sup>

შედეგად, შავი ზღვის მნიშვნელობა აშშ-სთვის მდგომარეობს შემდეგში:

შავი ზღვის სანაპიროებიდან შესაძლებელი გახდება როგორც სამხრეთი ასევე ჩრდილოეთი კავკასიის კონტრო-

---

<sup>10</sup> Stephen Blank, Time for a Transatlantic Initiative, New Europe Review, გვ. 5

ლი. აუცილებლობის შემთხვევაში კი ცალკეული პრობლემების პროგნოზირება;

აშშ-ს არსებობამ შავ ზღვაზე შესაძლებელია წაახალისოს უკრაინა, საქართველო, მოლდავეთი და ა.შ., შედეგად შეძლებენ კიდევ უფრო ძლიერად გაუწიონ წინააღმდეგობა რუსეთს.

**რუსეთის ფედერაცია.** აშშ მოქმედებები რეგიონში, კერძოდ ბაზების მშენებლობა ცენტრალურ აზიაში, სამხედრო და ტექნიკური დახმარებები საქართველოსთვის (სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნავთობის ტრანსპორტირების საქმეში) არსებითად ეწინააღმდეგება რუსეთის პოლიტიკას. რამაც ამ უკანასკნელს ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა უკარნახა. ვაშინგტონის არსებობამ (ან გამოკვეთილმა ინტერესებმა) აიძულა მოსკოვი შეექმნა შანხაის ორგანიზაცია და წინააღმდეგობა გაენია მისთვის რეგიონში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთისთვის კვლავ პრიორიტეტულია პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დომინირება რეგიონში. მოსკოვს საკუთარი ინტერესების შესაბამისად სურს კონტროლის უზრუნველყოფა შავ ზღვისპირეთსა და კავკასიაში, ამით თურქეთის, აშშ-სა და ევროკავშირის პოზიციების შესუსტება.

**ევროპის კავშირი.** ეკ ინტერესები პირდაპირ შეესაბამება აქ მისი გაფართოების პროცესს. მას შემდეგ რაც ორგა-

ნიზაციის სუბიექტები გახდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები **ევ**-მა შავი ზღვის რეგიონის მეზობლის სტატუსი მოიპოვა. ხოლო 2007 წელს რუმინეთისა და ბულგარეთის გაერთიანებით კი რეგიონში აქტიური მოთამაშე გახდა.

შავი ზღვა ენერგეტიკული გზების პერსპექტივაზე დგას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ევ**-სთვის, რომელიც საკუთარ ენერგოუზრუნველყოფას გარე აქტორების მემვეობით ცდილობს, ამდენად უსაფრთხოება და სტაბილურობა რეგიონში მნიშვნელოვანი კომპონენტია, განსაკუთრებით 2007 წლის შემდეგ. გარდა ამისა, **ევ** ცდილობს იმიგრაციის აღმოსავლეთი-დასავლეთი ხაზის შესუსტებას შავი ზღვიდან. მართალია ევროპის კონსტიტუციის პროექტის წარუმატებლობამ ინტერესი ნაწილობრივ შეასუსტა მაგრამ არსებული ვითარების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ის შეინარჩუნებს გეოპოლიტიკური აქტორის სტატუსს აქ.

**მიმდებარე ქვეყნები.** აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, თურქეთს, უკრაინას, ბულგარეთს, რუმინეთსა და საქართველოს განსხვავებული ხედვები გააჩნიათ. თუმცა ინტერესები იდენტურია რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოების, მდგრადი განვითარებისა და ტრანსპორტირების საკითხებში. აშშ ინტერესები შესაძლებელია გაგებულ იქნას როგორც რეგიონული სტაბილურობის გარანტი, შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების ბაზებმა

ბულგარეთსა და რუმინეთში ეს ქვეყნები მნიშვნელოვან პოზიციებზე დააყენა. ისიც ცნობილია, რომ უკრაინას, აზერბაიჯანსა და საქართველოს მნიშვნელოვნად უჭერს მხარს დასავლეთი რაც ინიცირებულ დემოკრატიულ რეფორმებში აისახება. ამიტომ შიდა დინამიკის გაუთვალისწინებლად ეს ქვეყნები იმპორტირებული ცვლილებების რეჟიმში არიან. მიაჩნიათ რა, რომ დემოკრატიზაციითა და მდგრადობით შეძლებენ რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკრაინამ ყველა ძალა იხმარა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა პოტსაბჭოთა სამხედრო ძალები საზღვაო ფლოტში. კიევის მცდელობა გახდეს დასავლეთის ნაწილი და ამასთან ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე ქვეყანას არასახარბიელო მდგომარეობაში აგდებს.<sup>11</sup> რუმინეთი როგორც ორმხრივი მოლაპარაკების წევრი, აქტიურ როლს თამაშობს რეგიონში. აგრეთვე ის ცდილობს დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი მიიღოს როგორც კასპიის, ასევე კონსტანტე-ტრიეტსკის ნავთობსადენით. ბულგარეთი ძირითადად მხარს უჭერს *სკ* და აშშ ინტერესებს რეგიონში, თუმცა ქვეყნის როლი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (რუმინეთთან შედარებით) პასიურია.

---

<sup>11</sup> Ognyan Michev, "Transatlantic Strategy For Black Sea Stabilization And Integration", Ronald D. Asmus (ed.), A New Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region, Washington; The German Marshall Fund of the U.S., 2004, გვ.92

თურქეთმა, თავისი ძლიერი ფლოტით შავ ზღვაზე, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე დომინანტი სახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა, და რეგიონში უსაფრთხოების გარანტორი გახდა.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა თურქეთის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დისკუსიებში უგულბეღელყოფილია.

ამრიგად, სრუტეების საკითხი მსოფლიო პოლიტიკის ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. არსებული ინტერესებიდან გამომდინარე, რთულად წარმოსადგენია გლობალური პოლიტიკის აქტორები შეთანხმდნენ ერთიან პოზიციაზე. ხოლო ვიდრე იარსებებს პრობლემის ინტერპრეტაციის რამოდენიმე ვარიანტი, იარსებებს კონფრონტაციის ბაზაც, რაც რეგიონს მომეტებული რისკის პირობებში ამყოფებს.

---

<sup>12</sup> Ardan Zentürk, "Amerika ile Krizin Asıl Nedeni" (Главная причина турецко-американского кризиса), Star daily newspaper, 28.02.2005.

“ ”

XX

**Irakli Gorgiladze**

## **Geopolitics of the Straits and New Order in the Black Sea**

Resume

The Black Sea Straits issue still remains main geopolitical problem of the modern International Relations. Struggle for controlling over the Navigation Regime is most important foreign policy challenge for the Great Powers.

Global Changes of XX century, mostly dissolution of USSR and Sovereignization of new International Subjects encouraged activating of new geopolitical, economic, strategic, military and ecological problems which directly connecting with Black Sea Region and the Strait problems.

### **ლიტერატურა**

Montreux Convention Regarding the Regime of the Straits - JULY 20 TH, 1936. <http://www.dailysabah.com/op-ed/2015/12/12/the-montreux-convention-regarding-the-regime-of-the-straits>

Imperial Conference of 1923. <http://www.i-acuse.com/wp-content/uploads/2014/09/1923-Imperial-Conference.pdf>

Maritime Traffic Regulations for the Turkish Straits and the Marmara Region. — Turkey. Almanac. — Ankara, 1995.

Ognyan Michev, "Transatlantic Strategy For Black Sea Stabilization And Integration", Ronald D. Asmus (ed.), A New Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region, Washington; The German Marshall Fund of the U.S., 2004, p.92

Stephen Blank, Time for a Transatlantic Initiative, New Europe Review, p. 5

Ardan Zentürk, "Amerika ile Krizin Asıl Nedeni" (Главная причина турецко-американского кризиса), Star daily newspaper, 28.02.2005.

Россия и Центральная Европа в новых геополитических реалиях. - კონფერენციის მასალები. narochnitskaia.ru

История дипломатии/Издание второе. Ред.кол.: Громько А.А. и др. М. Т.I-V. М. 1976.

## ისლამური სახელმწიფო - რეალური საფრთხე

*ლამზირა ხიდუშელი*

2011-2012 წლების არეულობების შედეგად ისლამური პოლიტიკური პარტიები ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში წარმართველ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა. ისლამური აღორძინების (ჰარაჯათ ან-ნაჰადა ალ ისლამია) - თუნისში, „მუსლიმი ძმების“ ასოციაცია (ალ-იხვან ალ მუსლიმუნ) - ეგვიპტეში, ისლამური სახელმწიფო (ალ-დავლა ალ ისლამია) სირიასა და ერაყში და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოსათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს „ისლამური სახელმწიფო“, თავდაპირველი სახელწოდებით „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (ISIS). დაჯგუფების საფუძველს სუნიტი რადიკალები წარმოადგენენ. ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია აკონტროლებს ერაყისა და სირიის გარკვეულ ნაწილს, ასევე მცირე ტერიტორიას ლიბიასა და ნიგერიაში. 2014 წლის ივნისის დასაწყისში ISIS-მ უპრეცედენტო ტერორისტული შეტაკებები განახორციელა. დაიპყრო ერაყის ჩრდილოეთით მდებარე რაიონების საკმაოდ დიდი ნაწილი, ხოლო ივნისის ბოლოსთვის გააქტიურდნენ სირიისა და ერაყის ტერიტორიაზეც. თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს სირიასა და ერაყში არსებული ნავთობმომპოვებელი ობიექტები,

ბოვეიკებმა ხელში ჩაიგდეს ორი უმსხვილესი სამხედრო ბაზა. თავიანთ განკარგულებაში აქვთ დიდძალი იარაღი და სამხედრო ტექნიკა. მათ შორის გადასატანი საზენიტო კომპლექსები, ტანკები, ბრონირებული სამხედრო ტექნიკა და ამერიკული წარმოების ჰაუბიცები.

ISIS ოპერაციებს ატარებს და განშტოებები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის სამხრეთ აზიაშიც. 2014 წლის 29 ივნისს ორგანიზაციამ საკუთარი თავი გამოაცხადა ხალიფატად, ხოლო ლიდერი - აბუ ბაქარ ალ ბაღდადი - ხალიფად. ISIS-ს მიზანია დაამყაროს რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო მმართველობა მთელი მსოფლიოს მუსლიმებზე.

ისლამური სახელმწიფო წარმოიშვა 1999 წელს დაჯგუფება „ჯამაა ალ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰადის“ ბაზაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ალ-ქაიდასთან. 2003 წელს აშშ-ს მიერ ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს, ISIS შეუერთდა ერაყის დაუმორჩილებლობის მოძრაობას. თვითგამოცხადებიდან სულ მცირე ხანში ისლამურმა სახელმწიფომ მაგნიტივით მიიზიდა ექსტრემისტული ორგანიზაციები და შეურიგებელი ისლამი რადიკალების გლობალურ ცენტრად გადაიქცა.

ბოვეიკების რაოდენობა სწრაფად იზრდება ახლო აღმოსავლეთის, ჩრდ. აფრიკის, ევროპის, ამერიკის და ავსტრალიის ისლამისტი რადიკალებით. მომავალ ბოვეიკებს არ გა-

აჩნდათ არავითარი სამხედრო გამოცდილება, ისინი ამ ცოდნას იღებდნენ რუსეთის ძალოვნებთან ნაბრძოლი ჩრდილო კავკასიელებისაგან. 2012 წლის ბოლოს სირიაში შეიქმნა რამდენიმე ბანაკი, რომელთა მუშაობასაც მკაცრ კონტროლს უწევდნენ ყოფილი ერაყელი სამხედრო მოსამსახურეები. 2013 წლის შემოდგომაზე მხოლოდ ალექოს მახლობელ პროვინციაში ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შეძლეს 2,6 ათასზე მეტი უცხოელი მებრძოლის რეკრუტირება, რომელთა შორისაც ჭარბობდნენ თუნისელები, საუდის არაბეთის მოქალაქეები, თურქები, ეგვიპტელები და ჩეჩნები. მოქმედებდა ემირთა კონტროლის რთული სქემა, ისინი იყვნენ პასუხისმგებლები მკვლევობებზე, ადამიანთა გატაცებებზე, სნაიპერთა მოქმედებებზე, ბიუროკრატიაზე, კომუნიკაციებსა და უსაფრთხო კავშირგაბმულობისთვის საჭირო შიფრების შემუშავებაზე.

ექსტრემისტი ლიდერების ჩანაფიქრი ითვალისწინებდა მრავალრიცხოვანი სადაზვერვო და ძალოვანი ქვეგანყოფილებების პარალელურ მოქმედებას, რომლებიც თავის მხრივ, ერთმანეთსაც უთვალთვალებდნენ. სახელმწიფო კონტროლის ეს სისტემა თავის დროზე სადამ ჰუსეინმა შექმნა, რომლის დროსაც არცერთი გენერალი არ იყო დარწმუნებული, რომ მას არ უთვალთვალებდნენ.

ISIS შეუერთდნენ „სირიის თავისუფალი არმიის“ და ალ-ქაიდასთან დაკავშირებული „ჯაბჰათ ან-ნუსრას“ ბოევი-

კები. სამ თვეში ისლამური სახელმწიფოს ბოვეიკების რაოდენობა გაიზარდა სამჯერ და 30 ათასს გადააჭარბა. 2014 წლის 10 ივნისს ISIS-ს სუნიტმა მებრძოლებმა აიღეს ქალაქ მოსულის დასავლეთი ნაწილი, რითაც მათ გააკონტროლეს ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი რაიონები და დამოუკიდებელნი გახდნენ. მათ დაიკავეს აეროპორტი, ადგილობრივი სატელევიზიო სადგური და სამთავრობო შენობები. ციხეებიდან გაათავისუფლეს ათასამდე მსჯავრდებული. სუნიტური ტერორისტული დაჯგუფების ბოვეიკებმა დახვრიტეს 12 ღვთისმეტყველი შეიხი.

ISIS-ს მამოძრავებელ ძალას ნავთობი წარმოადგენს. სირიაში არსებული სხვა ისლამური დაჯგუფებებისგან განსხვავებით, ისლამურისახელმწიფო არ არის დამოკიდებული უცხოურ დახმარებაზე, ამისათვის მათ სირიაში შექმნეს „სახელმწიფო“, სადაც დაანესეს თავისი გადასახადები, რომლებიც ნავთობის ექსპორტით მიღებულ თანხებთან ერთად სრულად ფარავს მათი აგრესიული საქმიანობის ხარჯებს. ისლამური სახელმწიფო ყოველდღე ნავთობის გაყიდვიდან 3 მლნ. დოლარს იღებდა, ეს კი ნიშნავდა, რომ იგი ისტორიაში ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაციაა. დაჯგუფება სირიასა და ერაყში ნავთობის 11 საბადოს აკონტროლებდა. აქ მოპოვებული ნავთობი კი თურქეთის, იორდანისა და ერაყის შავ ბაზარზე ხვდებოდა. თუმცა დღესდღეობით ეს შემოსავალი, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის კლების

გამო, მნიშვნელოვნად შემცირებულია. საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებს ისლამური სახელმწიფო ადამიანების გატაცებითაც. ტერორისტებს ასევე ეხმარებათ ის თანხები, რომლებიც სხვადასხვა გზით მოსახლეობისგან მიითვისეს. ფინანსური შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ქალებისა და გოგონების მოტაცება და შემდეგ მათი სექსუალურ მონებად გაყიდვაა.

ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიას - შექმნას ხალიფატი მუსლიმებით დასახლებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე - ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, თუმცა ზოგიერთი არაბული ქვეყანა ისლამური სახელმწიფოს მონინაალმდეგეებს მიემხრო.ამ მხრივ, არაბულ სამყაროში არა არის აზრის ერთიანობა. „ხალიფატი არის იქ, სადაც შენ ხარ“ - ეს არის ISIS-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი.ამაშია მისი საერთაშორისო პოლიტიკის მთელი არსი. ხალიფატი არ ცნობს გაეროს და ჩამოყალიბებულ დიპლომატიურ წესს. ამიტომაც ადარებენ ხალიფატს ბოლშევიკებს და საფრანგეთის დიდი რევოლუციის რევოლუციონერებს. მათი იდეოლოგია არ ცნობს საზღვრებს და ზეეროვნულია.

ისლამური სახელმწიფო თანდათან გადაიქცა რადიკალური ისლამის მთავარ ძალად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და ვლინდება ტენდენცია შემდგომი ზრდისკენ. ISIS-ს მიერ გაკონტროლებული ტერიტორიის საერთო ფართობი 2014 წლის მონაცემებით 40-90 ათას კვადრატულ კილო-

მეტრს, ხოლო მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების რიცხვი 8 მილიონს შეადგენდა. მათგან უმეტესობა სუნიტები იყვნენ. 2015 წლის ზაფხულის დასაწყისისათვის, ბრძოლების შედეგად ისლამურმა სახელმწიფომ დაკარგა თავდაპირველად ერაყში დაპყრობილი ტერიტორიების 25-30 % (დაახლოებით 8-10 ათასი კვადრატული კილომეტრი). სირიასა და ერაყში მოქმედი ფორმირებების შემადგენლობაში შედის 70 ათასი სხვადასხვა ეროვნების ბოევიკი.

მიმდინარე პროცესების მიღმა ვერც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები დარჩება, რადგან ISIS-ს წევრებმა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მისამართით რამდენჯერმე გაავრცელეს ვიდეო მიმართვა., სადაც ისინი პირობას დებენ, რომ გაათავისუფლებენ ჩეჩნეთს და მთელ კავკასიას. რუსეთის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს მებრძოლების რეკრუტირება, ისლამისტების პოპულარობა იზრდება ჩრდილოეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. ამ პროცესების მიღმა ვერც საქართველო დარჩება, რადგან საქართველოსაც ჰყავს მუსლიმური აღმსარებლობის მოქალაქეები. IმIმ-ს გააქტიურება უკვე შესამჩნევი ხდება, ის ფლობს უზარმაზარ ფინანსებს და აქტიურად ეწევა ახალი მომხრეების გადაბირებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბოლო პერიოდში ისლამური აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეებმა დაიწყეს მოხალისეობად ისლამური

სახელმწიფოს რიგებში ბრძოლა. მათ შორის არიან არას-  
რულწლოვანებიც.

### ლიტერატურა

გურუშიძე ს. „ისლამური სახელმწიფო“. თანამედროვე  
ახლო აღმოსავლეთი. თბ.,2015

<http://Freebearcon.com/national-security/saudi-arabia-shows-off-chinese-missiles/>

[http://tvrain.ru/articles/spiegel\\_isis-386128./](http://tvrain.ru/articles/spiegel_isis-386128./)

<http://www.asiaafrika.ru/AA.nomers/201507/>

<http://thediplomat.com/2015/01/isis-looks-for-foothold-in-central-asia.>

<http://www.russia-direcr.org/analysis/central-asia-yurning-russia-and-us-combat-isis>

<http://www.lemonde.fr/etat-islamique/>

<http://www.marianne.net/tags/etatislamique.>

[www.francetvinfo.fr/monde/proche-orient/offensive-jihadiste-en-irak/](http://www.francetvinfo.fr/monde/proche-orient/offensive-jihadiste-en-irak/)

—

(ISIS),

- .

. ISIS

,

. 29

2014

,

—

-

.

,

,

.

.

,

.

**Lamzira Khidesheli**

**Islamic Stata – Real Danger**

**Resume**

The biggest danger today for modern works is Islamic Republic (ISIS) base of which are Sunni radicals. Islamic terrorist organization controls certain part of Iraq and Siria. ISIS carries out operations and has fields in number of countries, including Southern Asia. On June 29, 2014 ISIS organization declared itself as a Caliphate with Abu Baqr Al-Baghdad as its Khalifa. Goal of Islamic State is to establish religious, political and military governance over all Muslims across the world. Oil is the major force behind the Islamic State. It possesses huge amount of finances and is actively occupied with winning over new supporters from worldwide, including from Georgia.

## პოლიტიკური კონფლიქტების რელიგიური ფაქტორი

### *ნატალია ლაზბა*

პოლიტიკურ კონფლიქტებში რელიგიური ფაქტორის ბუნების, როლის და მნიშვნელობის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. საზოგადოებაში, სახელმწიფო და რელიგიური დაწესებულებები პარალელურად ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობენ. რელიგია ხელს უწყობს საზოგადოებრივი, მათ შორის პოლიტიკური ფასეულობების მხარდაჭერას და დასაბუთებას, რაც ასევე გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულებაზე კანონიერებისა და ხელისუფლებისადმი. რელიგიისა და პოლიტიკის ასეთი ურთიერთმიმართება განპირობებულია იმით, რომ ადამიანთა დიდი ნაწილისათვის რელიგიური რწმენა ეროვნული კულტურის და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ქმნის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის საფუძველს.

პოლიტიკური კონფლიქტი პოლიტიკური სუბიექტების შეჯახებას, წინააღმდეგობას წარმოადგენს, გამოწვეული მათი ინტერესების, ღირებულებების და შეხედულებების სხვადასხვაობით. პოლიტიკური კონფლიქტი სოციალური კონფლიქტის ნაირსახეობას წარმოადგენს. პოლიტიკური

კონფლიქტის მთავარ პარადიგმას წარმოადგენს ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ძალაუფლება ასოცირდება წინააღმეგობასთან, ძალადობასთან, სანქციებთან და სხვა „ნეგატიურ მოვლენებთან“. თვით პოლიტიკა კი ხშირად გლობალურ კონფლიქტად მოიხსენება. პოლიტიკური კონფლიქტის საგანს ორი სახის დეფიციტი წარმოადგენს: **პოზიციური** დეფიციტი (ანუ, სოციალური პოზიციების დეფიციტი - სოციალური სტატუსები, როლები) და **წყაროების** დეფიციტი (მატერიალური, სულიერი რესურსები). კონფლიქტი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მიისწრაფვიან ერთმანეთის ხარჯზე მიიღონ სარგებელი.

რელიგია უმთავრეს **სოციალურ ინსტიტუტს** წარმოადგენს, სულიერ რესურსს, რომელიც შეიცავს სოციალურ ნორმებს, ღირებულებებს, როლებს, რიტუალებს, ჩვეულებებს, ქცევის სტანდარტებს. **უოლტერ რასელ მიდი** (საერთაშ. ურთ. სპეციალისტი, აშშ) აღნიშნავს, რომ რელიგია ყოველთვის იყო და რჩება მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას, სტრატეგიას, ნაციონალურ იდენტობას და კულტურას. რელიგიას როგორც სოციალურ ფენომენს, გააჩნია თავისი ფუნქციები:

- **კომპენსატორული** (უსუსურობის კომპენსაცია, ხსნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას)
- **კომუნიკაციური** (მორწმუნოების ერთმანეთთან და ღმერთთან - ლოცვის მეშვეობით)

- **რეგულაციური** (ნორმების, წესების, ტრადიციების მეშვეობით ხორციელდება ინდივიდების მართვა)
- **ინტეგრაციის** (ერის კონსოლიდაცია), მაგრამ პოლიკონფესიურ ქვეყნებში-პირიქით, რელიგიას შეუძლია ითამაშოს დეზინტეგრაციის როლი.
- **კულტურის ტრანსლაცია** - ხელი შეუწყოს დამწერლობის, ხელოვნების და ა.შ. განვითარებას, დაგროვილი გამოცდილების გადაცემას თაობიდან თაობას.

რელიგია გავლენას ახდენს სახელმწიფოზე და პოლიტიკაზე, საზოგადოებაზე და ოჯახზე. გავლენის დონეს **საკრალიზაციის და სეკულარიზაციის** პროცესები განსაზღვრავს. **საკრალიზაცია** (ლათ. *საცერ* -საღვთო) ეკლესიის როლის ამაღლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რელიგიის გავლენის არეალის გაფართოებას. **სეკულარიზაცია** (ლათ. *შაეცულარის*-ამქვეყნიური)- სოციალური ინსტიტუტების განთავისუფლება საეკლესიო ზეგავლენისაგან.

თანამედროვე სამყაროში რელიგიისა და პოლიტიკის თავისებური ურთიერთობის ფორმები ჩამოყალიბდა. მაგალითად, **რელიგიის გამოყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად** (1991 წელს სადამ ჰუსეინის ქუვეითზე თავდასხმის მოტივაცია - ქუვეითის სამეფო ოჯახი არღვევს ისლამის ნორმებს); **რელიგიის გავლენა პოლიტიკაზე**, არსებული კანონების ჩარჩოებში (იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში ეკლესია გავლენას ახდენს საკანონმდებლო ორგანოებზე

(ოჯახის, განათლების საკითხებზე); **პოლიტიკური ინსტიტუტების საკრალიზაცია** (სინტოიზმი წარმოადგენს პოლიტიკური ინსტიტუტების სულიერ საყრდენს (იაპონია))

დღეს რელიგია **იდეოლოგიის** როლს თამაშობს, რაც იწვევს მის პოლიტიზაციას. ხშირად ის გამოდის როგორც კონსერვატიზმის, ლიბერალიზმის და სოციალიზმის ალტერნატივა. აქედან გამომდინარე, რელიგიური ფაქტორი ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც **საერთაშორისო, ისე საშინაო კონფლიქტებში**.

მსოფლიო რელიგიები თავის კლასიკურ ვარიანტში, ტოლერანტობას და სიყვარულს ეფუძნება. მაგრამ, რელიგიას ხშირად იყენებენ **პოლიტიკური ბრძოლის იარაღად**. მაგალითად, მუსლიმი ფუნდამენტალისტები ომის აღსანიშნავად იყენებენ ცნებას „**ჯიხადს**“, ურჯულოებთან. მაგრამ, არაბულიდან ეს ტერმინი ნიშნავს საღვთო ომს. თუ დავდაპირველად, ისლამის გავრცელების პერიოდში ის ნიშნავდა თავდაცვით ომს, XIVს. ჯიხადის კონცეპცია რთულდება - ჩნდება სულიერი ჯიხადი (**ალაჰთან დაახლოვების სულიერი გზა**).

აგრეთვე, იაპონური ცნება-ფილოსოფია „**ბუხიდო**“ (არ ჩაბარდე მტერს ცოცხალი, ტყვეები გაანადგურე და ა.შ).

ზოგ რელიგიას (ქრისტიანობას, ისლამს) ახასიათებს **პროზელეტიზმი**. მათთან შედარებით, აღმოსავლური რელიგიები თავისი სიმშვიდით და არააგრესიულობით გამოირჩე-

ვა. მაგრამ, აქაც არსებობს აგრესიის სასტიკი მაგალითები. 1995 წელს ტერაქტი ტოკიოს მეტროში (გაზი „ზარინის” გამოყენებით) ცნობილმა იაპონურმა რელიგიურმა სექტამ „აუმ სინრიკე” მოაწყო, თავისი დამფუძნებლის და ლიდერის სათავეში (სიოკო ასახარა). მთავარი ამოცანა - ჯერ იაპონიის, ხოლო შემდეგ მთლიანი სამყაროს დაპყრობა.

დღეს მსოფლიოში რამდენიმე მექანიზმი მოქმედებს, რომელიც განსაზღვრავს რელიგიური კონფლიქტების პროვოცირების ძირითად ფაქტორს. უპირველეს ყოვლისა, ესენია: სახელმწიფოს პოლიკონფესიური ხასიათი (ინდოეთი, ინდონეზია, ნიგერია, ლიბანი და ა.შ). ნათელი მაგალითია ლიბანი, სადაც 20-ზე მეტი კონფესიის წარმომადგენელი ცხოვრობს და რამაც მე-20 საუკუნის 80-ან წლებში ხელი შეუწყო სისხლისმღვრელ სამოქალაქო დაპირისპირებას. მეორე ფაქტორს წარმოადგენს რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაცია, რაც გამოიხატება: სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობაში, განსაზღვრული კონფესიის წარმომადგენლების გადაჭარბებული რაოდენობა პოლიტიკურ ელიტაში. მაგალითად, ირანში, სადაც ტრადიციულად დომინირებს სუნიტური უმცირესობა, როცა მოსახლეობის უმრავლესობა - შიიტი (აჯანყება 1991წ.). ჰუსეინის რეჟიმის დაცემის შემდეგ (2003) ვითარება იცვლება. მაგრამ შეიქმნა ახალი საფრთხე, შიიტურ მთავრობას ეწინააღმდეგებიან სუნიტი ბოვეიკები. ფილიპინებზე, სადაც დისკრიმინირებულ-

მა მუსლიმმა უმცირესობამ დაინყო აჯანყებული ბრძოლა 1968 წელს (გრძელდება 40 წელი). ძირითადი მოსახლეობა - კათოლიკეები, უმცირესობა-მუსლიმი (2.).

**შემდეგ ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური, სამხედრო იდეოლოგიური ან პოლიტიკური მხარდაჭერა ქვეყნის გარედან.** სეპარატისტული მოძრაობა ინდურ შტატში ჯამუ და კაშმირში. 1947 წელს ბრიტანულმა ინდოეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, მის ტერიტორიაზე (რელიგიური ნიშნით) გაჩნდა ორი სახელმწიფო: ინდოეთის კავშირი (ინდუსები) და პაკისტანი (მუსლიმები). პაკისტანი გაიყო - ბანგლადეში და თვით პაკისტანი. მაგრამ ჯამუს პრობლემა დღესაც აქტუალურია - 60% აკონტროლებს - ინდოეთი, 40%-პაკისტანი. ძირითადი მოსახლეობა - მუსლიმები, გაერთიანება პაკისტანთან უნდათ.

**პოლიტიკის ჩარევა რელიგიაში ეს არის ის ფაქტორი, რომელიც დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს უკრაინაში პოლიტიკური კრიზისის ჩამოყალიბებაში.** ისტორიულად, დასავლეთ უკრაინაში დამტკიცდა უნია, რომელმაც დააკავშირა მართლმადიდებლური ეკლესია და კათოლიკური რომი. უნიათური ეკლესია ხელი შეუწყო უკრაინული ნაციონალიზმის ფორმირებაში. ის სსრკ-ს დროს იყო იძულებით ლიკვიდირებული. ბოლო წლებში უნიათური ეკლესიის მიმდევრები მისი ლეგალიზაციის საკითხით გამოდიოდნენ, რასაც წარმატებით მიაღწიეს. შედეგი: დაპირისპი-

რება უნიათებს და მართლმადიდებლებს შორის. სახეზეა სხვა ქვეყნების ჩარევის მცდელობა აღნიშნულ კონფლიქტში. ამას ემატება განხეთქილება მართლმადიდებლურ ეკლესიაში - ნაწილი პოლიტიკოსების გამოდიან ინიციატივით დამოუკიდებელი (მოსკოვის პატრიარქიდან) ეკლესიის შექმნაზე. უკრაინული მართლმადიდებლობის განხეთქილება. შეიქმნა უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია. დღეს სახეზეა **რელიგიური ორიენტირის კონფიგურაცია** - დასავლეთში - უნიათური, რიგ ცენტრალურ რეგიონებში - უკრაინული ეკლესია, დასავლეთში და სამხრეთში - კანონიერი მართლმადიდებლური ეკლესია (3).

და ბოლოს, რელიგია დღესაც ასრულებს იდეოლოგიის მსგავს ფუნქციას, რაც მის პოლიტიზაციას უწყობს ხელს. თუმცა ყოველთვის ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოება უფრო და უფრო რელიგიური ხდება. ხშირად განვითარებად ქვეყნებში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეალიები რელიგიური ნიშით ჰპოვებს გამოხატულებას, რომელიც მიმართულია რაღაც სამართლიანობის მიღწევისათვის (4). ასეთ შემთხვევებში რელიგია შეიძლება მოგვევლინოს ისეთი თანამედროვე იდეოლოგიების ალტერნატივად, როგორცაა კონსერვატიზმი, ლიბერალიზმი თუ სოციალიზმი. გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ხშირად ხელს უწყობს ტრადიციული საზოგადოების ვესტერნიზაციას, შეიძლება გამოიწვიოს ნაციონალიზმის ტენდენციების

გაძლიერება, რომელიც მიმართული იქნება თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებისკენ. ასეთ შემთხვევებში რელიგია გახდება ნაციონალური პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი.

### ლიტერატურა

ლანცოვი ს., პოლიტიკური კონფლიქტოლოგია, მოსკოვი, 2008.

Kemp, G. Iran and Iraq: The Shia Connection, Soft Power; and the Nuclear Connection. Washington, DC: United States Institute of Peace, 2005.

, .. // . 2008. 2.

, . . .  
[ - ] / . . . —

:

[http://www.rusnauka.com/15\\_APSN\\_2010/Politologia/68138.doc.htm](http://www.rusnauka.com/15_APSN_2010/Politologia/68138.doc.htm)  
m ( : 08.04.2014).

**Natalia Lazba**

**Religious factor of political conflicts**

Resume

The nature, role and importance of the religious factor in political conflicts are one of the most important problems nowadays. In a modern society a state and church are developing in parallel. Religion promotes the formation and maintenance of social values including political values which in turn has an impact on the attitude of society towards laws and government. Such interrelations between religion and politics is caused by the fact that for most people religion is part of national culture and is inseparable from lifestyle and basics of socio-political organization of society.



## გერმანიისა და ევროკავშირის ურთიერთამოკიდებულების ხარისხი

*გიორგი ჯღარკავა*

ევროკავშირის ისტორია 1951 წელს შექმნილ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებით იწყება. ორგანიზაცია ექვსი სახელმწიფოს გაერთიანებას წარმოადგენდა (დასავლეთ გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ბენილუქსის ქვეყნები). სწორედ ექვს-ს შექმნამ დაუდო სათავე ევროკავშირის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებას. დასავლეთ გერმანია, იგივე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, თავიდანვე დიდ როლს ასრულებდა აღნიშნული გაერთიანების ფარგლებში, რადგან ორგანიზაციის შექმნის მოტივი სწორედ გერმანიაში არსებული ქვანახშირის საბადოების განკარგვის პრობლემატურობა იყო - მასზე პრეტენზიას საფრანგეთიც აცხადებდა. ქვანახშირის გაერთიანების პარალელურად 1958 წელს რომის ხელშეკრულებით იქმნება ევროპის ეკონომიკური გაერთიანებაც, რომელსაც იმავე წელს ევრატიომის შექმნაც მოჰყვა. აღნიშნული ორგანიზაციის წევრები შეთანხმდნენ, რომ ატომური ენერჯიის დარგში ერთნაირად ემსახურებოდნენ ერთმანეთთან. 1967 წელს ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ორგანიზაცია გაერთიანდა და ევროგაერთიანებად გარდაიქმნა. ამ პერიოდშიც გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკის როლი დასავლეთ ევროპის მასშტაბით დიდი იყო, მაგრამ ჰეგემონურ როლს მაინც საფრანგეთი ინარჩუნებდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ „ლუქსემბურგის კომპრომისი“ სწორედ საფრანგეთის დაჟინებულმოთხოვნას მოჰყვა (ევროგაერთიანებაში კვალიფიცირებული უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღების ახალი პრინციპი საფრანგეთის ინტერესებში არ შედიოდა). ხოლო ინგლისის ევროპულ ორგანიზაციაში გაერთიანება ორჯერ სწორედ საფრანგეთის უარის შემდგომ დაიბლოკა (1963 და 1967 წლები). სიტუაცია გარკვეულწილად ვილი ბრანდტის კანცლერად არჩევამ შეცვალა. ბრანდტის მოქნილმა პოლიტიკამ, რომელსაც „ისტოლიტიკა“ ეწოდა, საბოლოო ჯამში მის ქვეყანას არამხოლოდ ევროგაერთიანების ფარგლებში შესძინა დამატებითი წონა, არამედ დიდი გავლენა მოახდინა 90-იან წლებში „ორი გერმანიის“ გაერთიანების საქმეზეც. 70-იანი წლების ბოლოს გერმანიის როლი ევროკავშირში იმდენად გაიზარდა, რომ სწორედ ქვეყნის კანცლერის, ჰელმუდ შმიდტის საფრანგეთის პრეზიდენტ ფისკარ დესტენთან მოლაპარაკებების დროს განცხადებული თანხმობის წყალობით მოხერხდა ევროპული მონეტარული სისტემის ჩამოყალიბება. მონეტარული სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ შეიქმნა ევროპული ვალუტის გაერთიანებაც, რომლის მთავარი ელემენტიც დოიჩ მარკა გახდა (Pჰოტიუს, 1994). ამ პერიოდში ევროგაერთიანების ვალუტების გაცვლითი კურსები ბევრად უფრო სტაბილური იყო ისეთ ვალუტებთან შედარებით, რო-

გორებიცაა ამერიკული დოლარი და იაპონური იენი - ეს ყველაფერი კი დოიჩ მარკის გარშემო ხდებოდა. მაასტრიხტის სამიტამდე (1991) დოიჩ მარკის რევალვაცია სხვა ევროზონის ვალუტების მიმართ 38% იყო.

რაც შეეხება აღმოსავლეთ გერმანიას, ის 90-იან წლებამდე დასავლეთ ევროპისგან იზოლირებულად, კომუნისტურ პოლიტიკურ რეალობაში ვითარდებოდა. თუმცა კიდევ ერთხელ აღსანიშნავია ვილი ბრანდტის როლი დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის დაახლოებაში. 70-იან წლებში სწორედ ბრანდტის დროს აღიარა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და გარკვეული კავშირები გააბა მასთან, რამაც, საბოლოო ჯამში, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ორი თანაბარუფლებიანი პოლიტიკური ერთეულის ინტეგრაცია გაამარტივა.

გერმანიის, როგორც ევროკავშირის გამოკვეთილი პოტენციური ლიდერის როლი, ბერლინის კედლის დაცემისთანავე იკვეთება. თუმცა ძლიერი და ერთიანი გერმანიის არსებობა ევროპაში ნარსული გამოცდილებიდან გამომდინარე დიდი საფრთხის შემცველი იყო და ამიტომაც აღნიშნული საკითხი 90-იან წლებში დიდ ეჭვებს და ყოყმანს იწვევდა საფრანგეთის (მიტერანი), იტალიისა (ანდრეოტი) და ბრიტანეთის (ტეთჩერი) ლიდერებს შორის (Baltic Worlds, 2009). ასეთი დამოკიდებულების გამო დასავლეთ გერმანიის კან-

ცლერმა ჰელმუტ კოლმა გერმანელების მხრიდან ევროპელების მიმართ კეთილმოსურნეობის დასამტკიცებლად საგარეო აქცენტი ერთიანი ევროპის პოლიტიკური კავშირის გამტკიცებისკენ მიმართა და შეეცადა დასავლელი პოლიტიკოსებისთვის ერთიანი გერმანიის როლი ევროგაერთიანების ფარგლებში დადებითი და ინტეგრაციული კუთხით წარმოეჩინა. აღნიშნულმა პოლიტიკამ მალევე გაამართლა, რადგან გერმანიის ხსენებული საგარეო კურსი ევროპის სუპრანაციონალურ ინსტიტუტებში მონონებულ იქნა და შესაბამისად მათმა თანამშრომლებმა, როგორც ევროგაერთიანების ინტერესის დამცველებმა, თავიანთ ქვეყნებში გერმანიის გაერთიანების იდეის პროპაგანდა დაიწყეს. გერმანელებმა შეძლეს ადრეოტისა და მიტერანის დარწმუნებაც გერმანიის გაერთიანების საჭიროებაში ევროგაერთიანების ნათელი მომავლის მიზნით. საბოლოოდ გერმანია 1990 წლის ოქტომბერში გაერთიანდა, რის შედეგადაც ევროგაერთიანებაში ახალი გამოკვეთილი ლიდერიც გამოჩნდა. გერმანიის აღნიშნულმა საგარეო კურსმა - გაერთიანების პროცესში აქცენტი გაეკეთებინა არა ეროვნულ, სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ სუპრანაციონალურ ევროგაერთიანებაზე, თავიდანვე ნათელი გახადა თუ რამხელა პოლიტიკური ზეგავლენა ექნებოდა ქვეყანას ორგანიზაციის შიგნით.

ევროკავშირი დღევანდელი სახით 1993 წლიდან ყალიბდება (მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან). ამ პერიოდიდან მოყოლებული გერმანიის პოლიტიკა

ევროკავშირის ფარგლებში ჰეგემონობაზე ორიენტირებული არ ყოფილა. კარნეგის ცენტრის მკვლევარის იან ტექნუს აზრით გერმანიის საგარეო პოლიტიკა ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანების დღიდან 3 ძირითად სვეტზე დგას (CARNEGIEEUROPE, 2014). პირველ სვეტი ქვეყნის ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებას ეხება. მისი მიხედვით გერმანიის საგარეო პოლიტიკა ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და ქვეყნებს შორის ინტეგრაციას უნდა უწყობდეს ხელს. მეორე სვეტის მიხედვით გერმანია პარტნიორ ქვეყნებთან კომპრომისული პოლიტიკის გატარებას უნდა ეცადოს, მანამ სანამ ეს მის ეროვნულ ინტერესებს არ შელახავს. მესამე სვეტი კი უფრო მეტად გერმანიის მიერ 90-იან წლებში გატარებულ იმ მიდგომას ეხება, რომლის მიხედვითაც ქვეყნის საგარეო ორიენტირში დიდი, დომინანტი ქვეყნების გარდა, პატარა ევროპული ქვეყნებიც უნდა მოხვედრილიყვნენ. ამის მიზეზი შემდეგი გახლდათ - გერმანიას სურდა ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ჰოლანდია, დანია, ავსტრია და თუნდაც ესპანეთი პირდაპირ კავშირზე გასულიყო და მათი ნდობა არა სხვა დიდი ქვეყნების საშუალებით არამედ თავადვე მოეპოვებინა. ამ მიდგომის გაგრძელება გახლდათ გერმანიიდან გასული დიდი რაოდენობით ინვესტიციები ევროკავშირის პატარა ქვეყნებში, რამაც საბოლოო ჯამში აღნიშნული ქვეყ-

ნის, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური როლი კიდევ უფრო გაზარდა ევროკავშირის ფარგლებში.

სწორედ ამგვარად მიმდინარეობდა ევროკავშირისა და გერმანიის ურთიერთობები 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რამაც საბოლოო ჯამში გერმანია ორგანიზაციის გამოკვეთილ ლიდერად აქცია. ამაზე მეტყველებს მისი როლი საბერძნეთის კრიზისის მოგვარებაში, რომლის დროსაც გერმანია პრაქტიკულად ევროკავშირის პოლიტიკის მთავარი მოქმედი სუბიექტი გახდა. ქვეყანა არამარტო პოლიტიკურად ახდენდა სიტუაციაზე გავლენას არამედ დიდი იყო მისი წვლილი ეკონომიკური კუთხითაც. ამის კარგ მაგალითად გამოდგება მიმდინარე წლის ზაფხულში გერმანიის განცხადებული თანხმობის შემდეგ ევროკავშირის მიერ საბერძნეთისთვის კრიზისის, დასაძლევად გამოყოფილი პირველი ფულადი დახმარება (The Guardian, 2015).

გერმანია დიდ როლს თამაშობს სირიის მიმდინარე კრიზისის მოგვარებაშიც. 2015 წელს სირიის კრიზისის დროს ევროპის მიმართულებით მიგრანტთა ძალიან დიდი ტალღა წამოვიდა. მათი უმრავლესობა კი სწორედ გერმანიის მიერ იქნა მიღებული. ქვეყანა პრაქტიკულად ევროკავშირის ფარგლები ამ პერიოდში მიგრანტების კრიზისის მაკოორდინირებელ ძალად იქცა. გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის განცხადებით 2015 წლის ბოლოს გერმანიაში ჩასულ მიგრანტთა რაოდენობა რეკორდულ მაჩვენებელს - 800 000-

ს მიაღწევდა. ამის მიუხედავად კრიზისის დარეგულირების საქმეში გერმანიას მიგრანტების მიმართ საკუთარი პოლიტიკა არ შეუცვლია. პირიქით, სექტემბერში გერმანიის ვიცე-კანცლერმა, ზიგმარ გაბრიელმა საკუთარ გამოსვლაში აღნიშნა, რომ გერმანიას რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველწლიურად 500 000 მიგრანტის მიღება შეეძლო (Tabula, 2015). ამითგერმანიამ ფაქტობრივად ევროპის მიგრანტების კრიზისის დარტყმა თავის თავზე აიღო და ევროკავშირის სხვა ქვეყნებს მაგალითი მისცა, რომ საერთო ევროპულ პრობლემაზე პასუხისმგებლობის წილი მათაც ეგრძნოთ.

ევროკავშირის მასშტაბით გერმანია მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზეა (დაახლოებით 80 მილიონი ადამიანი). გერმანია მსოფლიოში ერთ-ერთი მონინავე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მისი ეკონომიკა ამერიკის, ჩინეთისა და იაპონიის შემდეგ რიგით მეოთხეა. აღნიშნული ეკონომიკა ძირითადად ინდუსტრიულ წარმოებასა და მომსახურებაზეა ფოკუსირებული. მაგრამ გერმანიის ეკონომიკას ერთი სპეციფიკურობა ახასიათებს - იგი ძლიერაა დამოკიდებული ექსპორტზე. მსოფლიოს ბანკის მონაცემების მიხედვით დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკის დაახლოებით 45% სწორედ ექსპორტზე მოდის. ექსპორტი თავისთავად გასაღების ბაზარზეა დამოკიდებული. გასაღების ბაზარი კი გერმანიისთვის უპირველეს ყოვლისა ევროკავშირის ზონაა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომი-

კურად გერმანია ევროკავშირზე საკმაოდ ძლიერაა დამოკიდებული. მაგრამ აღნიშნული დამოკიდებულება ევროკავშირზეც ვრცელდება - თუ გერმანია ექსპორტის მხრივაც ორგანიზაციაზე დამოკიდებული, ეს უკანასკნელი გერმანიაზე დამოკიდებულებას იმპორტის მხრივ განიცდის. თუმცა აღნიშნული დამოკიდებულება რა თქმა უნდა პირდაპირპროპორციული არ არის.

ზემოთხსენებული ფაქტი გერმანიის პოლიტიკაზე შესაბამის გავლენას ახდენს - ეკონომიკური მნიშვნელობის გამო გერმანული ევროპული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში პოლიტიკური სტაბილიზაციასა და ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული, რათა გერმანიაში წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნა შენარჩუნდეს და ამასთან ერთად გაიზარდოს კიდევ. ეს ყველაფერი გერმანიის ეკონომიკურ გავლენას ევროკავშირის ფარგლებში თანდათან უფრო და უფრო ზრდის, რაც პოლიტიკურ წონის მატებაზეც აისახება.

**ამრიგად,** ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, როგორც დავინახეთ ორ სუბიექტს შორის მართლაცაა (თანაც საკმაოდ დიდი), თუმცა საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიას უფრო დიდი პოლიტიკური წონა აქვს ევროკავშირში, ვიდრე ევროკავშირს გერმანიაში, რადგან ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის განმსაზღვრელი თავად გერმანიაა. რაც შეეხება ეკონომიკას, აქ ურთიერთდამოკი-

დებულების ხარისხი თითქმის თანაბარია - უხეშად, რომ ვთქვათ, გერმანია ვერ გაძლებს ევროკავშირის ბაზრის გარეშე (ექსპორტზე დიდწილად დამოკიდებულების გამო), ევროკავშირს კი გერმანიიდან იმპორტის გარეშე გაუჭირდება. აღნიშნული ფაქტები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნულ რეალობას თავის სასარგებლოდ ძალიან რაციონალურად იყენებს - არსებული პოლიტიკური გავლენის მეშვეობით ეკონომიკურ ბაზარს ინარჩუნებს, ეკონომიკური რესურსებით კი თავისთავად უკვე პოლიტიკური წონის გაზრდასაც ახერხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროკავშირის შესამჩნევად უფრო მეტადაა გერმანიაზე დამოკიდებული ვიდრე პირიქით და ეს დამოკიდებულება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდება.

**Giorgi Jgarkava**

**The interdependence levels between Germany and the  
European Union**

Resume

Recent events (Greece, Syriacrisis) approve how important is Germany in Europe. I think that it will be interesting to determine the real role of Germany in the European Union. In addition, we will discuss the role of the EU for the German domestic politics, which will ultimately help us to realize how much the European Union and Germany are interdependent on each other. After clarification of the specific nature of the interdependence will try to determine if the level of political and economic dependence is equal.

( , ) ,

· , ,

· ,

,

,

·

,

·

### ლიტერატურა

Photius. 1994. *გერმანია და ევროკავშირი*. ინტერნეტი:  
[http://www.photius.com/countries/germany/economy/germany\\_economy\\_germany\\_and\\_the\\_euro~1406.html](http://www.photius.com/countries/germany/economy/germany_economy_germany_and_the_euro~1406.html); ბოლონახვა, 29  
ოქტომბერი, 2015.

იოჰანსონი, კარლ მაგნუს. 2010. *პროცესი, რომელსაც  
უკან ვერ დაბრუნდება*. BALTICWORLDS. ინტერნე-

ტი:<http://balticworlds.com/a-process-of-no-return-responses-within-the-european-community-to-the-fall-of-the-berlin-wall-and-the-prospect-of-german-reunification/>; ბოლონახვა, 29 ოქტომბერი, 2015.

ტექნუ, იან. 2014. *გერმანიის სწორი პირველობა ევროპისთვის.* CARNEGIEEUROPE. ინტერნეტი: <http://carnegieeuropa.eu/strategieurope/?fa=57046>; ბოლონახვა, 29 ოქტომბერი, 2015.

რანიკი, ჯენიფერ. ფლეთჩერი, ნიკ. 2015. *საბერძნეთი პირველ დახმარებას იღებს.* The Guardian. ინტერნეტი: <http://www.theguardian.com/business/blog/live/2015/aug/19/german-mps-to-vote-on-greek-bailout-live> ბოლონახვა, 29 ოქტომბერი, 2015.

თABULA. 2015. *გერმანია მზადაა წელინადში 500 000 ლტოლვილი მიიღოს.* ინტერნეტი: <http://www.tabula.ge/ge/story/99377-germania-mzadaa-tselitsadshi-500-atasamde-ltolvili-miighos> ბოლონახვა, 29 ოქტომბერი, 2015.

## პლატონის შეხედულება იდეალური სახელმწიფო მმართველობის შესახებ

*ხათუნა მურადიშვილი*

ფილოსოფია მეცნიერების უძველესი დარგია, რომლის მთავარ მიზანს ადამიანის სინამდვილესთან დამოკიდებულების ყველაზე საუკეთესო ფორმით გამოხატულება წამოადგენს. ის ჩვ.წ.ა-მდე VII-VI საუკუნეებში ჩაისახა ისეთი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებში, როგორცაა ინდოეთი, ჩინეთი და ანტიკური საბერძნეთი. ანტიკური ფილოსოფია ღირებულია არა მხოლოდ თავისი არსით, შინაარსითა და მნიშვნელობით, არამედ იმითაც, რომ იგი იმ დროს არსებულ ყოველგვარ ცოდნას მოიცავდა, რადგანაც იმ დროისათვის არ არსებობდა და ვერც იარსებებდა დამოუკიდებელი ან კერძო მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა დარგები.

აღსანიშნავია ფილოსოფიის ერთი თავისებურება, კერძოდ, ფილოსოფიაში განსხვავებით მეცნიერებებისგან პრობლემები მარადიულია, ხოლო პასუხები ამ პრობლემებზე შედარებით ცვალებადი, ასევე რაც უფრო განსხვავებული აზრებია გამოთქმული ამა თუ იმ პრობლემებზე, მით უფრო ღრმაა ფილოსოფიური მსოფლხედველობა. ასეთ მსოფლმხედველობათა რიგს მიეკუთვნება პლატონის, არისტოტელის, კანტის, ჰეგელის და სხვათა ფილოსოფიური მსოფ-

ლხედველობები, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს კაცობრიობის სულიერი კულტურის განვითარებაზე.

კაცობრიობამ თავის განვითარებასთან ერთად ყოველივე საკვლევი დააჯგუფა და თვითეული ერთ რომელიმე მეცნიერებაში გააერთიანა: მათემატიკა, ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერება და ა.შ. იბადება კითხვა: რადგან მთელი სამყაროს სფეროები დანაწილდა კონკრეტულ მეცნიერებებს შორის, რა დარჩა ფილოსოფიას შესასწავლი და რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს მას. პასუხი შემდეგია: ფილოსოფიურმა კვლევა-ძიებამ სწორედ მაშინ მონახა თავისი ნამდვილი შესასწავლი საგანი, როცა სამყარო კონკრეტულმა მეცნიერებებმა დაინაწილეს. მეცნიერებათა ასეთმა დიფერენციაციამ ფილოსოფიას საშუალება მისცა ეპოვნა მისთვის მნიშვნელოვანი, წმინდა ფილოსოფიური პრობლემები. მთავარი კი მაინც ისაა რომ დღეისთვის არსებობს ფილოსოფიის დარგი, რომელსაც მეცნიერების ფილოსოფია ეწოდება. თავის მხრივ ეს იყოფა ბუნების მეცნიერების ფილოსოფიად და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფილოსოფიად.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, როგორც სოციალური ინსტიტუტი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო ფილოსოფოსების, იურისტებისა და ისტორიკოსების სერიოზული განსჯის საგანი. უდიდესს მოაზროვნეთა მთელი თაობები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ერთხელ და სამუდამად

მოდ გაეცათ პასუხი შეკითხვაზე - თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო და რა როლს თამაშობს ის საზოგადოების ცხოვრებაში? მისი მმართველობის ფორმების მნიშვნელობაზე სახელმწიფოს განვითარებაში? ლიდერის ფენომენის და მისი როლის შესახებ სახელმწიფოს მმართველაში და ა.შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიო მნიშვნელობისაა სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომები, რომლებიც ამ თემას ეძღვნება.

ბიზანტიაში ასეთი წესი არსებობდა: ვიდრე ბიბლიას აიღბდნენ წასაკითხად, მანამდე საგუდაგულდს იბანდნენ ხელელებს... სწორედ, ბიზანტიელი ფილოსოფოსი მიქელ ფსელოსი ამბობდა, რომ ...დაუბანელი ხელით პლატონიც არ უნდა გადაშალოო. პლატონის პიროვნება იმდენად დიდია, იგი იმდენად საზოგადო ფიგურა იყო რომ მას იცნობენ, პოეტები, დურგლები, ექიმები, შამანები, პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი ფენის თითქმის ყველა წარმომადგენელი.

პლატონი (427-347) ათენის მაღალი არისტოკრატიის წრეს ეკუთვნოდა, რითაც ის ყოველთვის ამაცობდა. პლატონი არ გახლდათ ბავშობიდან დიადი მოაზროვნე. მან მრავალ ასპარეზზე სცადა საკუთარი ადგილის დამკვიდრება, ის იყო მხატვარი, დრამატურგი, სპორტსმენი. პლატონი გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში, მისი სახელიც სწორედ მის აღნაგობას უკავშირდება. ის იყო საკმაოდ კარგი პოეტიც. მოკლედ ასე მრავალმხრივად განვითარებული ადამიან-

ნი ოცი წლის ასაკში უმონაფდება სოკრატეს საიდანაც იწყება მისი როგორც ფილოსოფოსის მოღვაწეობა, რამაც განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარება.

პლატონის შრომები 50 წლის მოღვაწეობის შედეგია. მათი უმრავლესობა დიალოგის ფორმითაა დაწერილი. დიალოგთა უმრავლესობაში წამყვანია სოკრატე. პლატონი საკუთარ აზრებს, როგორც წესი, მისი პირით გადმოგვცემს.

პლატონის „სახელმწიფო“ ფილოსოფიური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს, ერთი მხრივ იმიტომ რომ ამ დიალოგს თვით პლატონის ფილოსოფიურ სისტემაში მთავარი ადგილი უჭირავს და მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ამ ნაშრომში პლატონი წმინდა პოლიტიკური საკითხების გარდა მათივე სიღრმისეული და კონტექსტური გადმოცემისათვის ეხება თავისი ფილოსოფიური სისტემის თითქმის ყველა დანარჩენ მნიშვნელოვან პრობლემას. პლატონი ამ ნაშრომში პოლიტიკური ხასიათის საკითხებს სხვათა შორის კი არ ჰყვება, არამედ სავსებით მიზანდასახულად წარმოგვიდგენს მათ როგორც ადამიანის მსოფლმხედველობის ორგანულ, თუ დამაგვირგვინებელ თემად. ეს კი აშკარად პოლიტიკური თვითცნობიერების ზენიტი, ანუ როდესაც ადამიანი არა მხოლოდ ცხოვრობს პოლიტიკურად, არამედ იცის ყოველივე პოლიტიკის შესახებ და ფიქრობს პოლიტიკური ცხოვრების ავკარგიანობაზე.

პლატონის სახელმწიფოს იდეალურ სახელმწიფოს უწოდებენ. ეს საკითხი შეიძლება ორგვარად წარმოვიდგი-

ნოთ, ერთის მხრივ „იდეალური“ ნიშნავს საუკეთესოს. ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობითაც და პლატონისეული ჩანაფიქრითაც სახელმწიფოს მისეული პროექტი მართლაც საუკეთესო იყო. მეორეს მხრივ, პლატონის სახელმწიფო იდეალურია არა როგორც რეალურად არსებული სახელმწიფოს აღწერა, არამედ როგორც როგორც იდეა. პლატონისათვის კი ის რაც არსებობს როგორც იდეა, უკვე საუკეთესოდ არსებობის წესს განსაზღვრავს. იდეა ხომ პლატონთან ჭეშმარიტების საწყისს წარმოადგენს.

ერთი შეხედვით თუ იდეალური სახელმწიფოს „პროექტირება“ მხოლოდ იდეა იყო და ეხებოდა პოლიტიკურ ურთიერთობებს მხოლოდ იმისათვის, რომ ეჩვენებინათ იდეალურის ბუნება, ეს არ უნდა გავიგოთ ისე რომ პლატონი უტოპისტია. არადა არსებობს ასეთი შეხედულებაც, მაგრამ აქ მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ უტოპიისაგან განსხვავებით პლატონის სახელმწიფოს პროექტი არ წარმოადგენდა მხოლოდ ადამინის ფანტაზიისა და ოცნების სფეროს. როგორი პრობლემატურიც არ უნდა იყოს კავშირი იდეალურ და რეალურ საგნებს შორის ერთ რამეში შეიძლება ღრმად ვიყოთ დარწმუნებული, რომ იდეალურ და რეალურ სახელმწიფოს შორის კავშირი პლატონის ფილოსოფიით გაანტირებულია.

გასარკვევ საკითხთა ნუსხაში პლატონი ჯერ ათავსებს საკითხს – თუ რას წარმოადგენს სამართლიანი სახელმწიფო და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ისეთ საკითხზე

როგორცაა „მართალი კაცის „ ბუნების გაგება. სამართლიანობის საკითხის სახელმწიფოს მიმართ დასმა მრავალი შესაძლო ინტერპრეტაციის მიმართებით შეიძლება დაისვას, ასე მაგალითად, სამართლიანობა მართლწესრიგის დაცვის თვალსაზრისით, სამართლიანობა საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის ურთიერთდამოკიდებულების კუთხით და სხვა. მანამ სანამ სახელმწიფოს სამართლიანობაზე ან არასამართლიანობაზე ექნება საუბარი პლატონი მიმოიხილავს თავად სახელმწიფოს. ეს მოთხოვნა მისთვის ორ ქვესაკითხად იშლება. ერთი ის თუ როგორ ყალიბდება სახელმწიფო და მეორე ის, თუ რა აძლევს ადამიანთა ერთობას ასეთ საფუძველს, რომელსაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ. პლატონი გლავკონის პირით ამბობს: „ მას შემდეგ რაც ადამიანებმა გამოსცადეს ერთიც და მეორეც, ანუ მოიქცნენ სამართლიანადაც და არასამართლიანადაც და დაზარალდნენ არასამართლიანობისაგან, მაშინ მათ მიზანშეწონილად ჩასთვალეს მოლაპარაკება, რათა სამომავლოდ არც უსამართლობა ჩაედინათ და არც დაზარალებულიყვნენ მისგან, აქედან დაიწყო კანონმდებლობა და ხელშეკრულება“ (სახელმწიფო 359 ა). ანუ ადამიანები იძულებულნი გახდნენ თავისი ყოფის გასაუმჯობესებლად შეექმნათ ცხოვრებისათვის უკეთესი პირობები რამაც განაპირობა სწორედ სახელმწიფოს შექმნა.

პლატონთან საზოგადოებრივი ფენა ყალიბდება სამ ნაწილად: მმართველები, მცველები და თავისუფალი მენარმე ხალხი. ის სახელმწიფო მცველებზე საუბრისას ზოგჯერ იარაღიან ხალხსაც გულისხმობს და მმართველებსაც, თუმცა ის ამ ორ ფენას მაინც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულად წამოდგიდგენს. აღნიშნული ფენების მდგომარეობა სახელმწიფოში სტატიკურია ისინი არ გადადიან ერთმანეთში, თუმცა მათ რაღაც მკვეთრ და განცალკევებულ დაჯგუფებადაც ვერ წარმოვიდგენთ. თვითეული ფენისათვის განმსაზღვრელია რომელიმე სათნოება. მაგალითად მმართველ ფენაში ეს არის სიბრძნე, მცველებში–სიამამაცე, ხოლო ხელოსნებსა და მინათმოქმედებში – გამჭრიახობა. ერთი რამ ცხადია – პლატონთან სამართლიანობა იმგვარ სათნოებად ცხადდება, რომელიც დამახასიათებელია ყველა და არა რომელიმე ერთი ფენისთვის.

საინტერესოა რა განაპირობებს საზოგადოების დიფერენციაციას? მაგალითად რით განსაზღვრავს პლატონი, რომ რომელიმე კონკრეტულმა ადამიანმა შეავსო მცველების, ან ვთქვათ თავისუფალი მინათმოქმედის რიგები? აქ მთავარია ერთი რამ, თუ ადამიანი მცველების ფენაში მოხვდა ეს არავითარ შემთხვევაში არ უზრუნველჰყოფს მისი შვილის აუცილებლად ამავე ფენაში მოხვედრას. კონკრეტული ადამიანის რომელიმე სოციალური ფენისადმი კუთვნილების გარკვევა დამოკიდებულია არა ოჯახზე და ადამიანის

პერსონალურ თვისებებზე. საბოლოოდ ადამიანი ამა თუ იმ ფენაში მისი პირადი თვისებებითა და ტალანტის მეშვეობით ხვდება, რაც მკაცრად კონტროლდება ხელისუფლების მიერ. ოჯახისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდას პლატონი იდეალური სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად მიიჩნევს. პლატონი ცოტა არ იყოს მიუღებელ ფორმას ინონეს ოჯახისა, აქ ის საუბრობს კერძო საკუთრების აკრძალვაზე სახელმწიფოში, რადგან თვლის რომ კერძო მესაკუთრეობა წარმოშობს ფუფუნებას, რაც ზოგადსახელმწიფოებრივ დონეზე მესაკუთრული ინსტიტუტების განუწყვეტელი ზრდაა და ის მას ომის წყაროდ აცხადებს. ეს კი პლატონისათვის ყველა საზოგადოებრივი უბედურების მიზეზია. სახელმწიფო მცველებსა და მმართველებს ეკრძალებათ როგორც აუცილებელის გარდა სხვა კერძო საკუთრების ქონა, ისე ცოლ-შვილის ყოლა, პლატონი არ აკონკრეტებს ეს აკრძალვა მხოლოდ მცველებზე ვრცელდება თუ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეზე. საერთო ცოლ-შვილის იდეა სრულ თანხმობაშია კერძომესაკუთრული სულისკვეთების აღმოფხვრასთან (სახელმწიფო 464 ც-დ).

პლატონი მეტად მკაცრ პირობებს უსაზღვრავს მათ, კერძოდ ის ამბობს, რომ არ უნდა ჰქონდეთ ისეთი საცხოვრისი სადაც ვერ შეაღწევდა ნებისმიერ მსურველი, საკვები და სხვა საარსებო საშუალებები მათ უნდა მიიღონ მოქალაქეებისაგან იმის ფასად, რომ ისინი იცავენ სამშობლოს. ისინი ალბათ რაღაც საერთო საცხოვრებლის ტიპის სახლში

ცხოვრობდნენ უნდა როგორც ომიანობის ასევე მშვიდობიანობის დროს, მათ არ უნდა ჰქონდეთ შეხება ოქროსა და ვერცხლთან, არ უნდა ჰქონდეთ საკუთარი სახლი, მიწა, ფული, რათა არ იქცნენ მსხვილ მეპატრონეებად და შინაურ მტრებად არ ექცნენ სხვა მოქალაქეებს. (სახელმწიფო 417 აბ). მცველებს ასევე ეკრძალებოდათ თვითნებურად სახელმწიფო საზღვრის დატოვება.

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში ამგვარი გადანყვეტილება გამართლებულია საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების ან საზოგადოებაში გამეფებული საერთო პატივისცემითა და სიყვარულის მომველიებით. ანუ თუ არავინ იცის ვინაა მისი მამა ან შვილი ყოველი ადამიანი მამაშვილურ სიყვარულს თანაბრად უნანილებს ყველას. თუმცა აღსანიშნავია რომ სახელმწიფოში არსებული სრული გაურკვეველობა ადამიანთა წარმომავლობაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციაში. პლატონი არ გამორიცხავს იმ გარემოებას რომ ნიჭიერი ადამიანის შთამომავალი იყოს ნიჭიერი და შესაბამისად ტალანთით დაჯილდოებულმა ადამიანმა დაიკავოს ადგილი საზოგადოებრივ იერარქიაში. მაგრამ მან ეს ადგილი უნდა დაიკავოს მხოლოდ თავისი ნიჭითა და ტალანტის წყალობით სახელმწიფო აღმზრდელ-მოხელეების მიერ და რადგანაც პლატონის იდეებში ბავშვის მშობლების ვინაობა უცნობია ეს ამ გარემოებას უნობს ხელს და ის ამ ფენაში ადგილს მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების და არა მშობლების წყალობით იკავებს. ყოველი ადამიანი გამორჩეუ-

ლი ტალანტითაა დაჯილდოებული, ამდენად ყველა ვერ გახდება მმართველი ან კიდევ მცველი. პლატონი რომელიც არსად არ არღვევს იზონომიას, ანუ კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნას, ამავე დროს ადამიანთა ბუნებით უთანასწორობის იდეას შესაძლებლად უშვებს. ყოველმა ადამიანმა უნდა დაიკავოს ის ადგილი სახელმწიფოს სოციალურ სტრუქტურაში, რომელიც მის ნიჭსა და პიროვნულ თვისებებს შეესაბამება. თანდათანობით ნათელი ხდება რომ ესაა სამართლიანად ორგანიზებული სახელმწიფოს ძირითადი მიზანი. ის სახელმწიფოა სამართლიანი, რომელშიაც ყველა ადამიანს შესაბამისი ადგილი აქვს მიიჩნილი და არ ხდება საზოგადოების ფენების აღრევა. საკითხის სრული სახით წარმოსადგენად საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ რა ფაქტორებს მიიჩნევდა პლატონი ადამიანის ნიჭიერებისა და ტალანტის განმსაზღვრელად. შეიძლება კითხვა არამართლზომიერადაც მოგვეჩვენოს მაგრამ ფაქტია ადამიანები გასხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქ პლატონი მითს იშველიებს და ჰყვება თუ როგორ შექმნა ღმერთმა მიწისაგან ადამიანი და რომ ქმნადობის პროცესში ზოგიერთს მიერია ოქრო, ზოგს ვერცხლი, ხოლო ზოგსაც რკინა და სპილენძი. ის ვიცისაც ოქრო მიერია მმართველებს უნდა შეადგენდნენ, ვერცხლნარები ხალხი მცველებად გამოდგებიან, ხოლო რკინითა და სპილენძით შეზავებულებმა ხელოსნებისა და მინათმოქმედების რიგები უნდა შეავსონ. ყოველი მმართველი ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ზრუნავდეს არა იმის გარკვე-

ვაზე თუ ვისი შვილია ესა თუ ის ახალშობილი, არამედ იმაზე თუ რა თვისებები გააჩნია მას და თუ აღმოაჩენს, რომ სავარაუდოდ ოქრონარევი მშობლების შვილში სჭარბობს სპილენძისა და რკინის ხასიათი, მას შესაბამის საზოგადოებრივ ფენაში უნდა მიუჩინონ ადგილი. ეს კი ნიშნავს, რომ რალაც სახით სოციალური მობილობა იდეალურ სახელმწიფოში მაინც არსებობს.

აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: ხომ არ იქნება მათი ყოფაცხოვრების ასეთი მკაცრი რეგლამენტაცია გადაჭარბებული? – სოკრატე ამ კითხვაზე პასუხობს, რომ იდეალური სახელმწიფოს იდეა ის კი არაა რომელიმე ფენა გახადოს ბედნიერი, არამედ მათ მთელი ამ სახელმწიფოს ყველა ფენის ამგვარ ყოფაში ცხოვრება სურდათ.

პლატონის იდეალურ სახელმწიფო მმართველობად და საერთოდ სახელმწიფოდ ისეთი სახელმწიფო მიაჩნია სადაც არსებული სამივე ფენა, განსხვავებული ბუნებით, თვითთული თავის საქმეს აკეთებდეს. ბრეძენად, მამაცად და გამჭრიახად ის თვლის შესაბამისი თვისებებისა და მდგომარეობის მქონე ფენების სახელმწიფოს.

იდეალური სახელმწიფო, რომელზედაც პლატონი საუბრობს შეიძლება განხორციელდეს ორი კონკრეტული ფორმით: ის შეიძლება იყოს ან მონარქია ან არისტოკრატია იგივე რაც რჩეულთა მმართველობა. რჩეულები, რომლის შესახებაც პლატონი ლაპარაკობს მემკვიდრეობითი კასტა არ არის. იდეალური სახელმწიფოს მმართველები რჩეული ფი-

ლოსოფოსები არიან. აქ „ფილოსოფოსში“ პლატონი არ გულისხმობს დიპლომირებულ ფილოსოფიის მაგისტრს. პლატონი ძალიან ბევრს საუბრობს ფილოსოფოსი მმართველის ამა თუ იმ თვისების დახასიათებისას. მათ ინტერესებზე, მონოდებებზე და მისიაზე, ასევე მათ მნიშვნელობაზე საზოგადოებისათვის.

თანამედროვე დროისათვის ყველაზე მეტად ღირებულ მმართველობის ფორმას – დემოკრატიას პლატონი იდეალურ სახელმწიფო მმართველობად მანინც და მანინც არ მიიჩნევს და ბოლოდან მეორე ადგილას აყენებს მას. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ პლატონისათვის „დემოკრატია“ ისევე, როგორც ძველი რომაელებისათვის „რესპუბლიკა“ ანუ „პლების მმართველობა“ გათანაბრებული იყო არა იმდენად „ხალხის მმართველობასთან“, რამდენადაც „მდაბიოთა მმართველობასთან“.

პლატონი დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეს უწინარეს ყოვლისა განიხილავს, როგორც თავისუფალ ადამიანს, რადგანაც ამგვარ სახელმწიფოში თავისუფლება და გულახდილობა სუფევს, შესაბამისად, ვისაც რა სურს იმას აკეთებს და ისე წარმართავს საკუთარ ცხოვრებას, როგორც მოესურვება. თავისუფლება ადამიანების განსხვავებულობას უწყობს ხელს, განსხვავებულობა კი საზოგადოებას მრავალფეროვანს ხდის.

ამგვარ სახელმწიფოში არასრულყოფილ ადამიანებსაც კი ლმობიერებად ექცევიან, რასაც პლატონი თავისთავისთავად იდეალურ სახელმწიფოდ დასახული მოდელის პრინციპების უგულვებელყოფად მიიჩნევს.

პლატონის ხედვა სახელმწიფო მოწყობასთან დაკავშირებით უფრო ჯგუფურია და არა ინდივიდუალისტური. ის ჩაშლილია ფენებში – მმართველთა ფენა არის სწორედ „ელიტა“ მას ადამიანი, როგორც ამოსავალი წერტილი ცალე განხილული არ ჰყავს, არამედ როგორც სახელმწიფოს არსებობის უმთავრესი ამოსავალი წერტილი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე პლატონის „სახელმწიფო“ მიეკუთვნება ფილოსოფიურ ნაშრომთა იმ კატეგორიას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება სახელმწიფოს თანამედროვე მმართვეის მექანიზმების შემუშავებაში გარკვეული პარალელების გავლება და მათ საფუძველზე ახალი კონცეფციების დანერგვა.

პლატონის იდეები სახელმწიფოს შესახებ დღესაც არ კარგავს აქტუალობას და დღესაც თანამედროვეთა თავისი ნიუანსებით. ზემოთ განხილული მაგალითებიდან შეიძლება უამრავი დასკვნების გაკეთება და ახალი მიზნებისა და ამოცანების დასახვა. პლატონი ყოველ ადამიანს სახელმწიფოში უნაწილებს თავის ფუნქციებს და რათა მათ ისინი სრულყოფილად და უშეცდომოდ შეასრულონ. უკრძალავს მათ სხვა საქმეებით დაკავებას, რასაც სახელმწიფო ბოროტებად და დანაშაულად მიიჩნევს. თანამედროვე ეპოქაში თუ ადამიანი



## **Khatuna Muradishvili**

### **Plato's opinions on the ideal state government**

Resume

Many centuries have passed from the antique age till today with the growing dynamics. The mankind developed according to social and scientific points of view, but those questions, which were deeply thought by antique philosophers are actual nowadays too and they are the topics of discussion and argument. That's why the antique philosophy is unique. It is still actual nowadays.

Many centuries ago this branch developed concepts of the world importance. Such as government, justice, a law, the supremacy of the law, a leader, especially important are their points of view about a political leader, as the basic subject in the governing of a state.



## ნატო საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი

*თორნიკე მჭავანაძე*

ნატო როგორც უმსხვილესი სამხედრო გაერთიანება წარმოადგენს უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტს, მისი წევრი ქვეყნებისთვის, ამდენად ქვეყნისთვის, რომელსაც ორი დე ფაქტო რეგიონი გააჩნია და იმყოფება გეოგრაფიულად ისეთ კონფლიქტურ რეგიონში როგორც კავკასიაა ბუნებრივია ესაჭიროება ამ გაერთიანების წევრობა. ნატოს წევრობა საქართველოსთვის ნიშნავს მეტ მხარდაჭერას ისეთი აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და აგებაში, როგორცაა კომუნიკაციები, საინფორმაციო სისტემები, აეროპორტები, სანავიგაციო სისტემები, რადარები და ა.შ.

ნატოს ერთ-ერთი განსაკუთრებული დამახასიათებელი ისაა, რომ წევრი სუბიექტები მონაწილეობას ღებულობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ნატოს წევრები გადაწყვეტილებას არ ღებულობენ კენჭისყრით, ამის მაგივრად მართავენ კონსულტაციებს, ეძებენ პრობლემის გადაჭრის გზებს და მიდიან გადაწყვეტილებამდე, რომელიც ყველასათვისაა მისალევი. კონსესუსის პრინციპი არის ნატოს გადაწყვეტილების მიღების ძირითადი არსი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არის ერთ-ერთი სარგებელი, რომელიც შეუძლია მიიღოს საქართველომ, როგორც ნატოს წევრმა. ეს არ არის გაერთიანება სადაც მხოლოდ დიდი სახელმწიფოები ღებულობენ გადაწყვეტილებებს. ზოგი პატარა ქვეყანა პირველად თავის ისტორიაში ერთვება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დიდ და მნიშვნელოვან ქვეყნებთან და ძალებთან ერთად. „ძალიან მომგებიანია პატარა ქვეყნისთვის იყოს იმ მაგიდასთან, სადაც სერიოზულ გადაწყვეტილებებს ღებულობენ“. თუ, როგორი მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისთვის კონსენსუსის წესი, ამის უგვიანესი მაგალითიასაბერძნეთის მიერ აშშ-ს დამარცხება, მაკედონიის ნატოში მიღების საკითხში. ნატოს წევრობის კიდევ ერთ უპირატესობაა, წვდომა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე, პატარა სახელმწიფოებს ეძლევათ საშუალება გავლენა იქონიონ, დიდ სახელმწიფოებთან ერთად, სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად მათ უკეთ შეუძლიათ გაატარონ, თავიანთი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

ქვეყნის უსაფრთხოება არის დემოკრატიული და წარმატებული საზოგადოების საფუძველი. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ სტაბილურობაზე, დემოკრატიაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და კეთილდღეობაზე. ამის უახლოესი

მაგალითებია ბოსნია და კოსოვო. ისტორიულად, პატარა ქვეყნები უერთდებიან ალიანსებს რომ დაიცვან თავისი ტერიტორიის მთლიანობა და შეინარჩუნონ სუვერენიტეტი. ზღატიკო შაბიჩიერთ-ერთ თავის გამოსვლაში ამბობს: „სხვებზე მეტად პატარა ქვეყნებს უნდათ გადასცენ სუვერენიტეტის ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციებს და ამითგადარჩნენ, შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და განვითარება“.

ნატოში ყველა წევრი ვალდებულია დაეხმაროს ნატოს ფონდებს, ასევე ნატოს ოპერაციებს თავისი ეროვნული ძალებით და მისცეს ნატოს შეიარაღებულ ძალებს, მათ ტერიტორიაზე განლაგების უფლება. კოლექტიური თავდაცვა არის ნატოს ქვაკუთხედი, ის უმნიშვნელოვანესია ევროპისა და ტრანსატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. ნატოს „ქოლგის ქვეშ“ ყოფნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა სახელმწიფოებისთვის, მათი უსაფრთხოება დამოკიდებულია ალიანსის სოლიდარობაზე, რადგანპატარა შეიარაღებული ძალების ნაცვლად, მათ სუვერენიტეტს იცავს დიდი, ტექნოლოგიურად გამართული, მულტი ნაციონალურიშეიარაღებული ძალები. ნატოში შესვლის აპლიკანტი ქვეყნების მიხედვით ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომ სურთ შეუერთდნენ ალიანსს. ერთის მხრივ, ზოგმა შეიძლება ივარაუდოს, რომ ავსტრია, შვეიცარია, ირლანდია და შვედეთი, როგორც ნეიტრალური

ქვეყნები, არიან უსაფრთხო და სტაბილური. მაგრამ არ უნდადაგვაავიწყდეს, რომ ევროკავშირი მჭიდროდ აერთიანებს ამ ქვეყნებს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ნატოს წევრ ქვეყნებთან, და ამდენად ალიანსი „უზრუნველყოფს უსაფრთხოების ჩარჩოებს ევროპის ეკონომიკური განვითარებისთვის 1951 წლის ევროპის ნახშირისა და ლითონის საზოგადოებისგან დღევანდელ ევროკავშირამდე“.

„ყველა წევრისთვის კოლექტიური თავდაცვა არის უფრო ძვირი, ვიდრე ეროვნული თავდაცვა“. ნატოს ყველა წევრს შეაქვს ფინანსური წვლილი ნატოს ფონდებში, ჯარით, დამხმარე მასალებით და პერსონალით. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის წევრობა არ არის იაფი, მიუხედავად ამისა ის უპირატესობები რაც მოაქვს ნატოს, ამკარად აღემატება ხარჯებს. საქართველოს, როგორც წევრ ქვეყანას ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ტექნოლოგიურ-სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების ერთობლივი დაფინანსებით განხორციელდება, ეს არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, გაიზიარო წევრი სახელმწიფოების ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევები.

საბჭოთა კავშირის საფრთხის შემდეგ, იუგოსლავიის კონფლიქტი და ტერორიზმის საერთაშორისო საფრთხე, იქცა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ახალ გამონწვევად.

იმის გათვალისწინებით, რომ პატარა ქვეყნებს აქვთ შეზღუდული ბიუჯეტი თავდაცვის სფეროში, ისინი აწყდებიან დიდ პრობლემებს ახალ გამოწვევებთან გამკლავებისას, ამდენად მათთვის მნიშვნელოვანია სამხედრო ალიანსში ყოფნა დიდ სახელმწიფოებთან, რომლებიც თავის მხრივ უზიარებენ გამოცდილებას და უწევენ დახმარებას. ატარა ქვეყნების პრობლემა გახლავთ ის, რომ მათ არ შეუძლიათ, დამოუკიდებლად შექმნან უნარიანი სამხედრო ინფრასტრუქტურა, ალიანსის სტრუქტურაში მათი მნიშვნელობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სტრუქტურის გარეთ.

როგორც NATO\_ს გაფართოების საკითხთა კონგრესის ანგარიშშია მოხსენებული, ნატოს გაფართოების პერიოდში, ქვეყნებში (რომლებიც გახდნენ ნატოს წევრები) მიიღეს კანონები რათა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი სამხედრო ძალებზე. წევრი სახელმწიფოების მიდგომა არის, რომ თავდაცვას, ეკონომიკასა და დემოკრაციას შორის არის ძალიან მჭიდრო კავშირი, ამდენად სამოქალაქო სექტორის გაძლიერება და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება არის ნატოს პრიორიტეტი. სწორედაც ერთ-ერთ მოთხოვნად ნატოს წევრობის მსურველ სახელმწიფოებს, დემოკრატიის მაღალ ხარისხს უყენებენ, რომელიც დაფუძნებულია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს, ნატოში განწევრიანებაში ძალიან დაეხმარათ პოლიტიკური

სისტემის ტრანსფორმაცია. უსაფრთხოება და სტაბილურობა, რომელიც დაკავშირებულია ნატოს წევრობასთან, არის მომავალში დემოკრატიული პროცესების თვითუზრუნველყოფის საფუძველი.

ნატოს გაფართოება არის სტიმული იმისა, რომ დამთავრდეს უთანხმოება ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს შორის. ყოფილი მოწინააღმდეგეები ახალი გარემოების წინაშე აღმოჩნდნენ, ნატოს სტანდარტებმა და მოთხოვნებებმა მიაღწიეს უპრეცედენტო შეთანხმებებს, რის შედეგაც დასტაბილურდა საზღვრები და ურთიერთთანამშრომლობა. ეს შეიცავს პოლონურ-ლიტვურ შეთანხმებას 1994 წელს, უნგრულ-სლოვაკურ შეთანხმებას 1996 წელს, შეთანხმებების სერიას პოლონეთსა და უკრაინას შორის 1996 წელს და 1996 წლის გერმანულ-ჩეხურ შეთანხმებას“. კარგი ურთიერთობა მნიშვნელოვანია ყველასათვის. ეს სტაბილურობის და მშვიდობის გარანტია. სტაბილურობასთან და მშვიდობასთან ერთად მოდის კეთილდღეობა.

რეგიონში დემოკრატიის განვითარება პირდაპირაა დაკავშირებული რეგიონის სტაბილურობასთან, რაც სასარგებლოა ყველა ქვეყნისთვის. ნატოს თავდაცვის და სტაბილურობის ჩარჩოს მოაქვს ბევრი სარგებელი წევრი ქვეყნებისთვის. ალიანსის ქვეყნებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, ქვეყნებს შორის ურთიერთობის

გაუმჯობესება. საბერძნეთი-თურქეთი, გაერთიანებული სამეფო-ირლანდია მხოლოდ მაგალითებია შეცვლილი კრიზისის და იმისა, თუ როგორ მშვიდ გარემოში გადაიზარდა ეს ყველაფერი ამ ქვეყნებისთვის და ნატოსთვის. სტაბილური ნატო არის საუკეთესო ნიადაგი სტაბილური ევროპისთვის.

ნატო არის არამხოლოდ ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, ის ასევე ზრუნავს ინსტიტუციურად გამართულ უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. ნატოს სტანდარტები უპირველეს ყოვლისა დაფუძნებულია ისეთი ძირეული პრინციპების დაცვაზე, როგორცაა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის ეკონომიკისთვის, ისეთი მნიშვნელოვანი უფლების ხელშეუხებლობაზე, როგორც საკუთრების უფლებაა. ნატოს წევრობის მსურველ ქვეყნებს აქვთ, რიგი სტანდარტები დასაკმაყოფილებელი, რაც ბუნებრივია გულისხმობს რეფორმებს და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას. დააკმაყოფილო ნატოს სტანდარტები ნიშნავს მიუახლოვდე ევროკავშირის სტანდარტებს და გახდე ევროპული ტიპის სოციალურ-ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფო. ამ თვალსაზრისით საქართველოს აქ მნიშვნელოვანი წინსვლა, კერძოდ კორუფციის აღქმის მაჩვენებლის მიხედვით ის 51-ე ადგილზე იმყოფება და უსწრებს ევროკავშირის და ნატოს ისეთ წევრ ქვეყნებს, როგორცაა იტალია, ხორვატია, ჩეხეთი და ა.შ.

მნიშვნელოვნად კარგი პოზიცია უჭირავს საქართველოს ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის მიხედვით და ის რეიტინგში მე-15 ადგილს იკავებს, საქართველომ 2014 წელს პოზიცია გაიუმჯობესა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგშიც.

ეკონომიკური აღმავლობა არის საბოლოო სარგებელი ყველა ქვეყნისთვის. დაცულ და სტაბილურ ქვეყანას, სადაც კანონის ძალა და დემოკრატია დომინირებს, მოაქვს ეკონომიკური ზრდა და უფრო მაღალი ცხოვრების სტანდარტი ყველა ადამიანისთვის. ყველა ქვეყანა ნატოში არის „ზონაში მაღალი დაცვის დონით, რომელიც პოზიტიურად ცვლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიმზიდველობას“. ეს მნიშვნელოვანია ნატოს ახალი წევრებისთვის აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან.

### ლიტერატურა

Bebler, Anton A, ed. The challenge of NATO enlargement. Westport, CT: Praeger, 1999.

Collier, Paul. The bottom billion: why the poorest countries are failing and what can be done about it. Oxford; New York: Oxford University Press, 2007.

Hamilton, Daniel S., ed. Transatlantic transformations: Equipping NATO for the 21st Century.

Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations, Paul  
H. Nitze School of

Advanced International Studies (SAIS), Johns Hopkins  
University, 2004.

Qesaraku, Mariola, ed. Costs and Benefits of NATO  
membership: Albanian and Regional

Challenges after the Bucharest Summit. Institute for  
Democracy and Mediatii"on, 2008,

26

<http://idmalbania.org/publications/en/NATO-IDM> -  
anglisht.pdf

## **Tornike Mzhavanadze**

### **NATO as Guarantee of Economic Safety for Georgia**

NATO, as the biggest military union, is a guarantee of safety and stability for member countries; although the country, which has two de facto regions and geographically is situated in such conflict region, as Caucasus, urgently needs the membership of such organization.

Membership in NATO means for Georgia more support in modernization and construction of such equipment and infrastructure as communications, informational systems, airports, navigation systems, radars and others. Simultaneously Georgia, as a member

country, will have opportunity to participate in technological-scientific researches, which will be insured by joint financing of NATO member countries.

NATO is the organization , oriented not only of physical safety, it also concerns on the development of institutionally safe environment. First of all, standards of NATO are based on such main principles as human rights and freedom, also on immunity of such important right for economics, as right for property. Countries, who wish to become members of NATO, have to satisfy several requirements and standards, which by itself means necessity and improvement of reforms and legislation base. To satisfy NATO's standards means to come closer to the standards of EU and become socially and economically sustainable state of European type. From this point of view, Georgia has important progress, according to the index of corruption perception it is on the 51<sup>st</sup> place and outpaces such NATO and EU countries, as Italy, Croatia, Czech Republic and others. Georgia is on the important position according to the index of simplicity of making business and it holds the 15<sup>th</sup> place in rating, in 2014 Georgia improved its position also in rating of global competitive index.

Dynamics shows us, that investment becomes to grow, together with the membership of NATO, and it doesn't depend on whether the country becomes a member of EU or not. Obtaining foreign investments is important for economics of any country, especially for Georgia which has transitional economics.



51

15

სოციოლოგია  
Sociology

რელიგიისა და ოჯახის, როგორც სოციალური  
ერთობების ურთიერთმიმართების  
ზოგიერთი საკითხის შესახებ

*ინეზა ზოიძე*

მკვლევართა ნაწილის აზრით, ლათინური სიტყვა “რელიგია” თავდაპირველად ზეადამიანურ ძალას აღნიშნავდა, რომელიც ადამიანებისაგან მოითხოვდა გარკვეული წესით მოქცევას. ამ მოთხოვნას ადამიანები ასრულებდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ ამ ძალებისაგან მოსალოდნელი უბედურება. სხვა მკვლევარები კი თვლიან, რომ რელიგია აღნიშნავს გრძნობას, რომელიც ადამიანს გააჩნია და რომლითაც აკვირდება ზებუნებრივ ძალებს ამ გრძნობით. სმიტის აზრით, ეს ტერმინი აღნიშნავს იმას, “რაც ადამიანის ნებას გარედან წარმართავს, ან განაცდევინებს ძლიერ ემოციას, ან აკეთებინებს კონკრეტულ რამეს და საპასუხოდ ჰპირდება დასჯას, ან წყალობას საკუთარ სოციუმში [მ. ჩიტაშვილი,

**რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული გამოკვლევები, თბილისი 1998., გვ. 32.].** მოგვიანებით რელიგიამ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და ზოგად ცნებად იქცა, იგი აერთიანებს რწმენის ყველა სისტემას და აღიარებს მათ არსებობას. ასევე, შეიძინა მრავალფუნქციური დატვირთვა და ხშირ შემთხვევაში გამოიყენება როგორც დიდ პოლიტიკაში იდეოლოგიური, ასევე ლოკალურ კულტურებში მორალური ზემოქმედების წყაროდ.

რელიგიის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა, იგი ღრმა დაინტერესებას იჩენს საზოგადოებისა და საზოგადოებრივი პროცესების მიმართ, ადამიანთა ჯგუფობრივი გაერთიანებებისა და მათი ურთიერთობების, სოციალური ცხოვრების მთელი რიგი საჭირობო როტო საკითხებისადმი. რწმენის, რელიგიური გრძნობისა და საკულტო მოქმედებათა საშუალებით რელიგია ქმედით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ადამიანთა გაერთიანებებსა და ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე, ხელს უწყობს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას, ცხოვრების თავისებურებების გაცნობიერებას. კონფესიები, რასაკვირველია, განსხვავდებიან თავიანთი მიზნებითაც და მათი განხორციელების საშუალებებითაც, მაგრამ ყოველი მათგანი ასრულებს გარკვეულ სოციალურ\_დანიშნულებით ფუნქციას **[ლ.კოდუა, თბ., 1995., გვ. 34.].**

რელიგიის სოციალური ფუნქცია შეისწავლეს მარქსმა, ემილ დიურკჰეიმმა და მაქს ვებერმა. ემილ დიურკჰეიმმა

მის თანახმად, რელიგია არა მხოლოდ ასახავს საზოგადოების სტრუქტურას, არამედ ხელს უწყობს მის გამყარებას. მას გააჩნია გამაერთიანებელი ფუნქცია, რადგან ახდენს ადამიანების ყურადღების კონცენტრირებას და მათ დაიმედებას. დიურკჰეიმში ამტკიცებს, რომ ცხოვრების ყველა მხარე ზუსტადაა ასახული რელიგიით. რელიგიური წეს-ჩვეულებები, ერთი მხრივ, ბადებენ ახალ იდეებსა და აზროვნების კატეგორიებს, მეორე მხრივ, ამყარებენ უკვე ჩამოყალიბებულ ფასეულობებს. რელიგია გვევლინება არა მხოლოდ თანამიმდევრულ გრძნობად და ქმედების საშუალებად, არამედ განსაზღვრავს ადამიანის აზროვნების წესს ტრადიციულ კულტურებში [ **Н. Смелзер, м 1994, ст. 471** ], ე.ი. დიურკჰეიმში მიიჩნევს, რომ რელიგიის სოციალური ფუნქცია ეს არის საზოგადოებრივი კავშირების ასახვა და გამაგრება, რაც ვლინდება კოლექტიურ ჩვევებში, წეს-ჩვეულებებში, ტრადიციებში, ზნე-ჩვეულებებში, ქცევის წესებში. ყოველივე ეს კი გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება სოციალური ერთსულოვნების გარანტი [ **ნ.დ. ერიაშვილი, დ.ი. ბელსკი, ა.ი.კრაჟჩენკო, ს.ი. კურგანოვი, თბ., 2001, გვ., 18-2011** ].

როდესაც ვსაუბრობთ რელიგიის სოციალურ ფუნქციაზე, ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება ოჯახი და საოჯახო ურთიერთობები და მასზე რელიგიის გავლენა. რელიგია ოჯახს უქმნის მორალურ ძალაუფლებას და მაინტეგრირებელ როლს. სოციალური გარემო, სადაც ვიბადებით და

ვიზრდებით გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. სოციალიზაცია, ასევე, ინდივიდუალობისა და თავისუფლების საწყისია. მისი მეშვეობით ხდება სოციალურ როლთა ათვისება. სოციალიზებული ადამიანი ადვილად ახდენს საკუთარი თავის ინტეგრაციასა და რეალიზებას გარემოში. იგი იზიარებს თავისი სოციალური ჯგუფის შეხედულებებს, ფასეულობებს, ღირებულებებს და ურთიერთობას ამყარებს იმავე კულტურის სხვა წარმომადგენლებთან. სოციალიზაციის პროცესში ხდება იდენტობის ხარისხის განსაზღვრა. ინდივიდის სოციალიზაციის პროცესი იწყება ოჯახში, სადაც ადამიანი ყოველდღიურად იღებს სასჯელს ან ჯილდოს, სწავლობს რა არის დაშვებული და რა არა. ერკვევა რა ვალდებულებები აქვს და ნელ-ნელა ხდება ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. ამ გაგებით ოჯახი საზოგადოებისერთ-ერთი ძირითადი სოციალური უჯრედია და უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნული ღირებულებების ფორმირებაზე, რაც შემდგომში განაპირობებს ადამინის ქცევის ნორმების ჩამოყალიბებას.

ძოგადად, ოჯახი ყველა ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური უჯრედია თავისი სახესხვაობებით. ოჯახები განსხვავებულ და მრავალკულტურულ გარემოებებში წარმოიშობიან და ვითარდებიან, კვეთენ როგორც გეოგრაფიულ, ასევე, კულტურულ და ისტორიულ საზღვრებს. მათი მრავალსახეობა გამოიხატება ოჯახურ სტრუქტურაში, განვითარების პროცესებში, ის-

ტორიაში, სოციალურ და ბუნებრივ კონტექსტებში. მსოფლიოში არსებობს ოჯახების მრავალი სახეობა მათი ქორწინების, ოჯახის შექმნის და ოჯახის სტრუქტურის მიხედვით, ახასიათებს მსგავსებები და განიცდის ცვლილებებს და სირთულეებს, როდესაც ცდილობს მოერგოს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებსა და პირობებს, რაც დამოკიდებულია კულტურულ თავისებურებებზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მთავრობის პოლიტიკაზე და საოჯახო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ოჯახს სხვადასხვა მეცნიერება განსხვავებულად განსაზღვრავს, წინ წამოსწევს მისთვის პირველ რიგში საინტერესო საკითხებს. ბევრმა მკვლევარმა და მეცნიერმა სცადა თავისებურად განესაზღვრა ოჯახი. მ. ბექაიას განმარტებით ოჯახი არის ქორწინებით თუ ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი პიროვნებებისაგან შემდგარი, ისტორიულად განსაზღვრული ორგანიზაციის მქონე მცირე ჯგუფი, რომლის თავდაპირველი შექმნა და შემდგომი არსებობა განპირობებულია მთელი საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნებების ფსიქო-ბიო-სოციალური მოთხოვნილებების განუყოფელი ერთიანობის ძალით. ასეთ განმარტებაში, მათი აზრით, ასახულია ოჯახის არსიც, შემადგენლობაც, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან კავშირიც და მომავლის პერსპექტივაც [მ. ბექაია, გ. ნულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე, თბ., 1996].

სოციოლოგების აზრით ოჯახი არის ადგილი, სადაც ინდივიდუალური ქცევა საზოგადოებრივ ნორმებს და ტრადიციებს უკავშირდება, მას ხშირად უწოდებენ საზოგადოების ძირითად ბირთვს, რომელსაც გააჩნია საკომუნიკაციო, საინტეგრაციო და მარეგულირებელი ფუნქცია [ნ.დ. ერიაშვილი, თბ., 2001, გვ., 18-2011] სოციოლოგიური კუთხით მკვლევარები დაინტერესებულნი არიან, თუ რამდენად ინარჩუნებს ან იცვლება ოჯახში საზოგადოებრივი ნორმები, წესები, როგორ ხორციელდება მათი მიღება და როგორ ფუნქციონირებს. ცნობილია, რომ ადამიანებზე და ადამიანთა ერთობებზე გავლენას ახდენს სოციალური გარემო, ოჯახში სრულიად სხვადასხვა არხებით, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, თავს იყრის და ერთიანდება საზოგადოების ცხოვრების ყველა ძირითადი მომენტი – უფლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, პროფესიული, ზნეობრივი და ა.შ. რომლებიც ოჯახზე ზემოქმედებენ არა ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად, არამედ კომპლექსურად, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახს, როგორც საზოგადოების ქვესისტემას, სოციალურ ინსტიტუტს, მის ცვლილებებსა და განვითარებას.

ისტორიული განვითარების მანძილზე იცვლება და ვითარდება საზოგადოება, მაგრამ ოჯახის ფუნქციები თითქმის უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ იცვლება მისი დანიშნულება და მიზნები. რიგი საზოგადოებრივი მოთ-

ხოვნილების ცვლლებების მიუხედავად ოჯახი მაინც ინარჩუნებს იმ როლს, რომელიც მას თავიდანვე დაეკისრა. ოჯახი არის ის სოციალური უჯრედი, სადაც პირველად ცნობიერება უყალიბდება ადამიანს.

ოჯახი იმდენად ძველი და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტია, რომ გაჩნდა წარმოდგენა მისი როგორც რელიგიურობის მატარებელ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფენომენზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ოჯახი ადამიანების საკრალური ერთობაა,რამდენადაც რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებისა და რელიგიური რიტუალების შესრულების როლის მეტი წილი მოდის ოჯახზე.რელიგია გარკვეულწილად საფუძველს უდებს სოციალური ნორმების სისტემების ჩამოყალიბებას,რაც მორალური ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ისევე როგორც საზოგადოება, ასევე ოჯახიც როდესაც კარგავს მორალურ ძალაუფლებას თავის წევრებზე, იწყება დეზორგანიზაცია, ქაოსი, დაბლდება ინტეგრაციის ხარისხი. ოჯახი, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტი წარმოადგენს საზოგადოების არაფორმალური სოციალური კონტროლის აგენტს, სოციალური კონტროლის ერთიან სისტემაში ორგანულად არის ჩართული რელიგიაც. ტრადიციულ დღესასწაულებთან და წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული რიტუალების (მაგ.,ქორწინება, ბავშვის დაბადება,მშობელსა და შვილს შორის დამოკიდებულებისა და ზეგავლენის

ფაქტორები, საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებული ნეს-ჩვეულებები და სხვა) მკაცრი დაცვა ზრდის სოციალური ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობას, სოლიდარობის ხარისხის ამაღლებას, რაც გარკვეულწილად ოჯახის სიმყარის საფუძველს წარმოადგენს და ნათლად აჩვენებს ოჯახსა და რელიგიას შორის კავშირს. რელიგიური ნორმები მთელი რიგი აკრძალვებითა და ქცევის მაკონტროლებელი მექანიზმებით გარკვეულ მიმართულებას აძლევენ ოჯახის განვითარებას.

ამრიგად, ოჯახი საზოგადოების მნიშვნელოვანი სოციალური უჯრედიცაა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ ვითარდება, მაგრამ არ კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის, ასევე კულტურული განვითარების, ინდივიდუალიზმის, იდენტობის ჩამოყალიბებისა და სოციალიზაციის საქმეში. ყოველივე ამაზე კი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს რელიგია, რომელიც ასევე საზოგადოების მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტად განიხილება. რელიგია ხელს უწყობს სოციალური ნორმების სისტემის ჩასმოყალიბებას, რომლებიც ოჯახის სტაბილურობისა და სიმყარის მნიშვნელოვან გარანტად ითვლება, რამდენადაც ის იძლევა თითოეულ ინდივიდზე მორალური ზემოქმედების საშუალებას და წარმოადგენს მაკონტროლებელ მექანიზმს.

## ლიტერატურა

მ. ბექაია, გ. ნულაძე, ზ. გოქაძე, გ. მელაძე - ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბილისი, 1996

ნ.ერიაშვილი, დ.ი.ბელსკი, ა.ი.კრავჩენკო, ს.ი.კრგანოვი, სოციოლოგია იურისტებისათვის, თბილისი, 2001

ლ.კოდუა, ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბ. 1995

მ. ჩიტაშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული გამოკვლევები, თბილისი 1998

Н. Смелзер. Социология, м 1994

**Ineza Zoidze**

**About some issues concerning interrelations between  
religion and family as social unions**

Resume

The essence of a family as a social institution is discussed in the article as well as its social role and influence on socialization processes. Attention is drawn to importance and role of religion in family social changes.

A family as a unit of a society is following the social development and doesn't lose its importance in the process of social integration, cultural development, individualism, identity development and socialization. Religion which is an important social institution especially influences all of the above mentioned processes. Religion helps develop a system of social norms which gives moral power to a family and represents a controlling mechanism.



## პედაგოგიკა Pedagogy

---

---

### ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში: პრობლემები და პერსპექტივები

*მადონა ფალავანდიშვილი*

საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდი კომპიუტერული ტექნოლოგიების ძლიერი ზეგავლენით ხასიათდება, რომლებიც, აღწევენ რა ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში, საზოგადოებაში ინფორმაციული ნაკადების გავრცელებას უწყობენ ხელს, რაც გლობალურ საინფორმაციო სივრცეს ქმნის. ამ პროცესების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების კომპიუტერიზაციაა. ამ პროცესს თან სდევს პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის არსებითი ცვლილებები, დაკავშირებული სწავლების ტექნოლოგიის შინაარსის კორექტირებასთან. ეს ცვლილებები ადეკვატურად უნდა შესაბამებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობებს, და ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ჰარმონიულ

შერწყმას ინფორმაციულ საზოგადოებაში. დღეს უკვე აშკარად იკვეთება საერთო განათლების მთელი სისტემის განახლების აუცილებლობა. პირველ რიგში, ეს უკავშირდება თანამედროვე სკოლის წინაშე არსებულ ახალ გამოწვევას – მოამზადოს მოზარდები ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალობისთვის; მეორეც, პედაგოგიური საზოგადოება საჭიროებს ცვლილებებს განათლების სისტემაში, რასაც ადასტურებს პედაგოგთა უჩვეულოდ დიდი ინტერესი ინოვაციებისადმი; მესამე, თვით პოლიტიკური სისტემის წარმმართველები არიან დაიტერესებულნი ზოგადი განათლების არსებული სისტემის შეცვლით. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები – ეს არის არა მხოლოდ ტექნიკური საშუალებები, არამედ სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები, ახლებური მიდგომა სწავლებისა და აღზრდის პროცესისადმი. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, ისეთები, როგორცაა პროექტის მეთოდიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინტერნეტრესურსების გამოყენება, პიროვნების რეალიზაციას უწყობს ხელს, უზრუნველყოფს ინდივიდუალურობასა და სწავლების დიფერენციაციას მოზარდთა უნარებისა და შესაძლებლობების, მათი განსწავლულობის დონის, ინტერესების და მისთანათა გათვალისწინებით.

განათლების ინფორმატიზაციის პრობლემები XXI საუკუნის უმნიშვნელოვანესი ფუნდამენტური და გლობალური პრობლემაა. საგანმანათლებლო პრაქტიკაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა პედაგო-

გიურ საზოგადოებაში ნარმოშობს ერთგვარ სოციალურ დაძაბულობას, დაკავშირებულს ტექნიკური ბაზის შექმნასთან, ათვისებასა და დანერგვასთან. კომპიუტერისა და ინტერნეტის სასწავლო პროცესში გამოყენება მუდმივად და სისტემურად უნდა ხდებოდეს. აქ აშკარა ხდება, რომ ამისთვის საჭიროა არა უბრალოდ ცოდნა, არამედ საკუთარი პედაგოგიური კონცეფციის განსაზღვრული გადახედვაც – საჭირო ხდება ერთგვარი გურუს კვარცხლბეკიდან ჩამოსვლა და მოსწავლეების გვერდით, მერხთან დაჯდომა; მათთან ერთად მოამზადო თემა კომპიუტერზე, რაც, როგორც ნესი, ტექნიკურად უკეთეს შესაძლებლობას იძლევა ამგვარი საქმიანობისთვის. ანუ პედაგოგმა უნდა იპოვოს საკუთარი თავი ახალ, ინფორმატივებულ საგანმანათლებლო პროცესში. მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას შეუძლია საფუძველშივე შეცვალოს სიტუაცია თანადროული, სასარგებლო და, რაც მთავარია, არადამამძიმებელი ურთიერთობის ორგანიზებისთვის.

თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, გარკვეულნილად, ცვლის, აახლებს მასწავლებლის საქმიანობას. მიუხედავად რიგი უდავო უპირატესობებისა, არც ერთ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებას არ შეუძლია აღმზრდელი-პედაგოგის როლზე პრეტენზიის გაცხადება. რასაკვირველია, კომპიუტერს შეუძლია ზოგიერთი იმ ფუნქციის შესრულება, რომელიც ადრე ახასიათებდა მხოლოდ პედაგოგს: მოსწავლის მოქმედების ანალიზი, მინიშნებების გაცემა, კითხვების

დასმა, პასუხის შეფასება, კითხვებზე პასუხის გაცემა (როცა კითხვებისა და თემების წრე წინასწარ განსაზღვრულია), მაშინ, როდესაც პედაგოგს შეუძლია პასუხი გასცეს ნებისმიერ შეკითხვას, მათ შორის, ცუდად ფორმულირებულს; ამასთან, პედაგოგის პასუხი იქნება ფორმულირებული მოსწავლის შესაძლებლობის, მისი პიროვნების ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებით“ (Захарова 2003:192).

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასწავლო დაწესებულების ინფორმატიზაციის პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგი საკვანძო პრობლემების გადანყვეტას: ეს არის ტექნოლოგიური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები. გარდა ამისა, საჭიროა:

1. თანამედროვე საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების რეალიზებისთვის აუცილებელი ტექნიკური და მატერიალური ბაზის შექმნა;

2. ახალი პედაგოგიკური და მმართველობითი საინფორმაციო კულტურის ფორმირება, დაფუძნებული ინფორმატიკის ფუნდამენტურ ცოდნაზე;

საგანმანათლებლო სისტემაში ინტერნეტის დანერგვის პირველივე ნაბიჯებმა ნათლად აჩვენა სისტემის განვითარებისათვის მისი უზარმაზარი შესაძლებლობები. პედაგოგის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება მას აძლევს შესაძლებლობას:

– ჰქონდეს წვდომა უსაზღვრო მოცულობის სასწავლო და სამეცნიერო ინფორმაციაზე;

– განახორციელოს სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაცია;

– მოახდინოს სხვადასხვა სახის ინფორმაციის დეტალიზება და გაზოგადება;

– აწარმოოს ახალი ინფორმაციების კვალიფიციური და მრავალგზისი გამოყენება თვითგანვითარების პროცესსა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

თანამედროვე მოზარდი ცხოვრობს მრავალრიცხოვანი მედიაშესაძლებლო- ბების სამყაროში, სადაც ბავშვს აუცილებლად სჭირდება გარკვეული ცოდნა სტიქიურად მომდინარე განუსაზღვრელი რაოდენობის ინფორმაციის მისთვის საჭირო ინფორმაციად დახარისხების, გაცნობისა და გამოყენების მიზნით. ინტერნეტწყაროების, უახლესი საერთაშორისო კვლევების ანალიზის მიხედვით, ბავშვებს არჩევანის სრული თავისუფლება აქვთ კომპიუტერთა და ინტერნეტით სარგებლობის შემთხვევაში. მათ ხელი მიუწვდებათ ყველანაირი შინაარსისა და ფორმის ინფორმაციაზე. აუცილებელია მომზადდეს კანონმდებლობა და სპეციალური პროგრამები ინტერნეტის ზემოქმედებისაგან დაცვის, ინტერნეტრესურსების სწორად, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნით გამოყენებისათვის

პედაგოგთა დამატებითი განათლების საინფორმაციო კომპეტენციის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია იმუშაოს დიდი რაოდენობის ინფორმაციასთან როგორც მეცადინეობაზე, ისე მისი დასრულების შემდეგ, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს აღსაზრდელების

უფრო მეტ დაინტერესებას კონკრეტული საკითხებით, რადგან მათ ეძლევათ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება აქტუალურია როგორც თეორიული სწავლების, ისე პრაქტიკული მეცადინეობების დროს. დამატებითი განათლების პედაგოგის ინდივიდუალური საინფორმაციო-საგანმანათლებლო სივრცე არის ერთიანი და შეესებადი. საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება ხელს უწყობს ამ სივრცის გაფართოებას და მის მრავალფუნქციურ გამოყენებას, საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისად.

თანამედროვე კომპიუტერი – ეს არა მხოლოდ სწავლებისა და ინფორმაციის მიღების ინსტრუმენტი, არამედ თვითგამოხატვის საშუალებაც, მას შეუძლია პიროვნების შინაგანი სამყაროს ფორმირება, ფანტაზიისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. საბოლოო ჯამში, ბავშვებს შეუძლიათ კომპიუტერები აქციონ შემოქმედებით სახელოსნოდ, სადაც შექმნიან და განახორციელებენ თავიანთ საავტორო თუ შემოქმედებით პროექტებს.

## ლიტერატურა

იმედაძე ნათელა, ჯანაშია ნათია, გორგოძე სოფიო „განვითარებისა და სწავლის თეორიები“. თბილისი -2008.

ხაზარაძე ო. „სწავლების ტექნიკური საშუალებები“. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“. №10. თბილისი - 1971

ჯიბლაძე გ. „დაპროგრამებული სწავლების და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრობლემები“. ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“. №4. თბილისი - 1971

Захарова И.Г. Информационные технологии в образовании: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб. заведений. – М.: Издательский центр «Академия», 2003

:

**Madona Falavandishvili**

**Introducing new information technologies in learning  
process, problems and perspectives**

Resume

Nowadays the youth lives in a world of modern technologies. Technical progress with its characteristic values and lifestyle is spreading which sometimes contradicts the natural harmonious development. It is important to ensure that technical progress didn't hinder a child's spiritual development but helped to develop it. It is time to substantially change the educational system.

**ბიზნესი და ეკონომიკა**  
**Business and Economy**

**სოციალურ-ეთიკური ფაქტორების როლი**  
**ბიზნესის ორგანიზაციის ეფექტურ**  
**ფუნქციონირებაში**

*თამთა ვარშანიძე*

ორგანიზაცია ეს არის შეგნებულად კოორდინირებული „სოციალური წარმონაქმნი“, რომელიც მართვას საჭიროებს. მენეჯერის მთავარი ფუნქცია კი მის ხელთ არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების სწორი კოორდინაცია და კონტროლია. „სოციალური წარმონაქმნი“ გულისხმობს ადამიანების თანამშრომლობას ერთი საერთო მიზნის მისაღწევად. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადამიანებს შორის თანამშრომლობა განსაზღვრავს ორგანიზაციის მომავალს.

მენეჯმენტის მორალურ-ეთიკური ასპექტების აქტუალობა განპირობებულია კორპორაციების მუდმივი სწრაფ-

ვით პროგრესისაკენ, მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, რის საფუძველზეც ხშირად ვაწყდებით პრობლემებს, რომელიც გამონვეულია ეკონომიკური ბაზრის მნიშვნელობის არასწორად აღქმით. ხშირად ბაზარი აღიქმება, როგორც უნივერსალური ნებადართულობის სიმბოლო, რაც ართულებს საბაზრო ურთიერთობებს. ასევე გასათვალისწინებელია თითოეული ორგანიზაციის საკუთარი ხედვა და ფასეულობები, რომელიც ყალიბდება როგორც ორგანიზაციული კულტურა.

ორგანიზაციული კულტურა ეს არის ფასეულობათა სისტემა, ქცევის სტანდარტები, პრობლემების გადაწყვეტის გზები, აზროვნების სტილი და მოქმედების საშუალებები, რომელსაც ამა თუ იმ ხარისხით ყველა თანამშრომელი იზიარებს. ის კომპანიისთვის ერთგვარ იმუნურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც იცავს ერთ მთლიან ორგანიზმს (ამ შემთხვევაში ორგანიზაციას) ინფექციისა და ვირუსებისაგან. ეს არის დინამიური მოვლენა რომელიც იცვლება მენეჯერის მიდგომების შეცვლის შესაბამისად.

იმისათვის რომ მოიწვიონ და შეინარჩუნონ ღირებული თანამშრომლები, ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ ეთიკური პრინციპების დაცვით. ისინი ქმნიან ეთიკურ კოდექსებს, ახდენენ თანამშრომლების ეთიკური ქცევის წახალისებას, დადებითი ქცევის ნიმუშების რეკლამირებას და აყალიბებენ შიდა პროცედურებს, რომელთა მეშვეობით ხდება მორალური პრინციპების დაცვა. ეს არის სამ-

მაგი სარგებლის სისტემის წარმოშობის წინაპირობა: თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა ხელს უწყობს ინდივიდუალის შრომით კმაყოფილების წარმოშობას, ვინაიდან ისინი ლებულობენ დასწავლისა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობებს, იციან რომ შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი საერთო მიზნის მისაღწევად, რითაც მთლიანობაში იზრდება ორგანიზაციის ეფექტიანობა და კმაყოფილება საზოგადოების მოთხოვნები.

მორალურ-ეთიკურ ასპექტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რამდენად თანხვედრაში მოდის ორგანიზაციული კულტურა ახლად აყვანილი თანამშრომლის ეთიკურ ღირებულებებთან. ამ თანხვედრას სწორედ პიროვნების სოციალიზაცია განაპირობებს. სოციალიზაციის პრინციპების მეშვეობით ადამიანი ითვისებს ქცევის წესებს და აგრეთვე შეხედულებებისა და განწყობების სისტემებს, რომლებიც ინდივიდს, როგორც საზოგადოების წევრს, ეფექტიანად ფუნქციონირების საშუალებას აძლევს.

კულტურები განსხვავდებიან აგრეთვე ექსპრესიულობის გამოხატვის და პირადი სივრცის განმსაზღვრელი ნორმების მიხედვით. ჩრდილო ევროპის მკაცრი კულტურის წარმომადგენლები ხმელთაშუაზღვის კულტურის ექსპრესიულ წარმომადგენლებს აღიქვამენ როგორც „გულითად, არასაქმიან და დროის უქმად მხარჯავ ადამიანებს“. პირიქით, სამხრეთელები ევროპის ჩრდილოეთში მცხოვრებლებს „საქ-

მიან, ცივ და ზედმეტად პუნქტუალურ“ ადამიანებარ მიიჩნევენ (Triandis, 1981).

ფილოსოფოსი და ლოგიკის სპეციალისტი **ჟან პიაჟე** იკვლევდა ინტელექტს, სადაც გამოყოფა ალქმა და მოტივაცია, ალქმა როგორც კვლევის საგანი, რომელიც შეიძლება შედარებული იქნეს ინტელექტთან და დაუპირისპირდეს მას, ხოლო მოტივაცია განისაზღვრება, როგორც ინტელექტისათვის დამახასიათებელი იმპულსები. ისინი შეიძლება გამოიხატონ კვლევით იმპულსებში და ათვისების მისწრაფებაში. ჟ. პიაჟე დარწმუნებულია, რომ ზრდასრული ადამიანის ქცევის გაგება შეუძლებელია განვითარების პერსპექტივის გარეშე, ეს უკანასკნელი კი ეთიკური ნორმების ფორმირებას უწყობს ხელს.

ჯერ კიდევ სოკრატემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეთიკა საკუთარი არსით პარადოქსულია. ეთიკის ფილოსოფიური საფუძველი, ესაა კეთილისა და ბოროტის გაყოფა. სოკრატეს იდეის სიღრმე იმაში მდგომარეობს, რომ ეთიკის სწავლება არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება მისით როგორც რაღაც აბსტრაქტული სისტემით ხელმძღვანელობა. შესაძლებელია მისი მხოლოდ განცდა. ეთიკა მხოლოდ იმის კოლექტიური „გამოსახულებაა“, რაც ჩვენ განვიცადეთ. შესაბამისად, საკუთარი მორალური პრინციპები რომ შეიმუშაოს, ბევრი დაბრკოლება უნდა გადალახოს, ცხადია ეს

მტკიცება ეხება ბიზნესსაც, როგორც საზოგადოების ნაწილს.

ის რაც გუშინ ეთიკური იყო, ხვალ შეიძლება არაეთიკური აღმოჩნდეს. ნორმებზე დაფუძნებული ეთიკის შექმნის მცდელობები ახლაც მიმდინარეობს, მაგრამ კაცობრიობის მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთი რაციონალური კონსტრუქცია ამუხრუჭებს საზოგადოების განვითარებას და ახლის დაბადებას ხელს უშლის. ეთიკა იხრება რაციონალურისაკენ, რადგან ეს არამატერიალური სუბსტანციაა.

ბიზნეს ეთიკა ესაა კოლექტიური თვითშეგნების ფორმა და ბიზნესი ეთიკური იქნება ზუსტად იმდენად რამდენადაც მისი თვითშეგნებაა განვითარებული. ასეთი ეთიკური სისტემა გახდება მუდმივად ცვალებად კოორდინატთა სისტემა, რომელსაც თავად ბიზნესი დაარეგულირებს.

ეთიკური რელატივიზმის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ მორალის პრინციპებს განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა ის საზოგადოება, რომელშიც მათი ფორმირება ხდება. არ არსებობს აბსოლუტური ეთიკური სტანდარტი კულტურული კონტექსტის გარეშე. ქმედება, რომელიც ევროპულ ქვეყნებში მისაღებად ითვლება, ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს. კომპანიებისათვის, რომლებიც საერთაშორისო დონეზე საქმიანობენ ეთიკური რელატივიზმი მეტად პრაქტიკული ფილოსოფიაა, განსაკუთრე-

ბით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ერთმანეთს კონკურენციას უწევენ მსოფლიო დონეზე, რომელთა ქვეყნის მორალური კოდექსები არსებითად ზემოქმედებს ადამიანის ქცევის ნორმებზე.

ორგანიზაციის კულტურის ფორმირებას, ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებას კორპორაციაში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ხელმძღვანელობის სტილი, დღეისათვის მიღებული კლასიფიკაციის თანამედროვე სისტემის მიხედვით, განასხვავებენ ხელმძღვანელობის ავტოკრატიულ, დემოკრატიულ და ლიბერალურ სტილს.

ავტოკრატიული ხელმძღვანელი ფლობს საკმაოდ ძალაუფლებას იმისთვის, რომ თავისი ნება თავს მოახვიოს შემსრულებლებს და აუცილებლობის შემთხვევაში ყოველგვარი მერყეობის გარეშე მიმართავს მას. ავტოკრატი ახდენს უფლებამოსილებათა ცენტრალიზაციას, ხელქვეითთა შრომის სტრუქტურირებას და თითქმის არ აძლევს მათ თავისუფლებას გადანყვეტილებათა მიღების პროცესში. სამუშაოს შესრულების მიზნით ავტოკრატს შეუძლია ფსიქოლოგიური ზენოლა ხელქვეითზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორგანიზაციული ეთიკა განისაზღვრება ერთპიროვნულად, რაც ქმნის არაჯანსაღ გარემოს.

თანამედროვე ხელმძღვანელი ცდილობს შექმნას ჯანსაღი გარემო, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის გამარტივებას და ეფექტიანობის ამაღლებას, ეს თავისთა-

ვად დიდ ძალისხმევას და ენერგიას მოითხოვს. დემოკრატი სტილის ხელმძღვანელი ხასიათდება უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით, ხელქვეითები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღებაში. მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი დემოკრატიული ხელმძღვანელი ცდილობს დაარწმუნოს ხელქვეითი თვითონ გადაწყვეტონ წარმოშობილი პრობლემები და არ ეძებონ ხელმძღვანელთა მხრიდან დახმარება.

შეიძლება ითქვას, ლიბერალი სტილი ყველა შემთხვევაში წამგებიანია ორგანიზაციისათვის. ლიბერალი ხელმძღვანელი ურიგდება უარყოფით მოვლენებს, რაც მავნე შემწყნარებლურად უნდა ჩაითვალოს, რადგან მსგავს სიტუაციებში იზრდება მუშაკთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევათა რაოდენობა და მცირდება ორგანიზაციის ეფექტიანად ფუნქციონირების შესაძლებლობა.

მორალურ-ეთიკური პრობლემების განხილვისას აუცილებელია გამოვყოთ მეოცე საუკუნის მოაზროვნის და ფსიქონალიტიკოსის ერის ფრომის კლასიფიკაცია, ფრომს მიაჩნია, რომ არსებობს ავტორიტარული და ჰუმანისტური ეტიკა. ავტორიტარული ეტიკის შესაბამისად, კორპორაციაში ავტორიტეტი განსაზღვრავს ქცევის წესებს და ადგენს თანამშრომლის საქმიანობისათვის პრიორიტეტებს, ხოლო ჰუმანისტური ეტიკის შესაბამისად ინდივიდი თავისით განსაზღვრავს საქმიანობის მიმართულებებს, თავად არის წესე-

ბის შემოქმედიც და შემსრულებელიც, თავად აწესრიგებს, უწევს კონტროლს და ემორჩილება მას.

ავტორიტარულ ეთიკას ირაციონალური ავტორიტეტი შეესაბამება, ხოლო ჰუმანისტური ეთიკა მხოლოდ რაციონალურ ავტორიტეტს განსაზღვრავს. მნიშვნელოვანია მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგან რაციონალური ავტორიტეტის სათავე ცოდნა, კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმია, მაშინ როცა ირაციონალური პირიქით, შიშს და ძალაუფლებას ემყარება. უნდა აღინიშნოს, რომ ოგანიზაციაში მაქსიმალური შედეგი მაშინ მიიღება, როდესაც ფირმისა და ინდივიდის ინტერესები თანხვედრაში მოდის.

ადამიანებს მკვეთრად განასხვავებენ ერთმანეთისგან მათი გენეტიკური განსაზღვრულობითა და ინდივიდუალური გამოცდილებით, ინდივიდუალური განსხვავებები განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მომუშავეების ყველაზე ეფექტიანი შრომის მიიღწევა მაშინ, როდესაც მენეჯერი ყოველი მათგანისთვის იყენებს სპეციფიკურ მიდგომებს. ყოველი ადამიანი ინდივიდუალურად აღიქვამს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს სისტემატიზაცია და ინტერპრეტაციის იმ მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც მიღებული გამოცდილების საფუძველზე ყალიბდება.

ეთიკა არ წარმოადგენს არსის კანონთა მაძიებელ სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, ეს აუცილებელი ნორმების დამდგენი ფილოსოფიური საგანია. პრაქტიკულ ფილოსოფიაში გვეუბნება კანტი- „ საქმე ის კი არაა,

თუ რა ხდება, არამედ კანონები იმის შესახებ, თუ რა უნდა ხდებოდეს, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეიძლება არც კი განხორციელდეს“.

კანტი თავის ნაშრომში „პრაქტიკული გონის კრიტიკა“ აღნიშნავს: „ადამიანი და ზოგადად, ყოველი გონიერი არსება არსებობს თავისთავად, როგორც მიზანი, არა მხოლოდ როგორც საშუალება რომელიმე სურვილის მისაღწევად, არამედ იგი ყველა თავის ქმედებაში, რომელიც მიმართულია საკუთარი თავისადმი და ასევე, სხვა გონიერი არსებისადმი, ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც მიზანი.“ აქედან გამომდინარე, ყველა მენეჯერი უნდა ამოვიდეს იმ ერთადერთი მსჯელობიდან - ადამიანი ეს ისეთი ფენომენია, რომელიც ინდივიდუალურ დამოკიდებულებას და მიდგომას საჭიროებს მასქსიმალური შედეგიანობისათვის და მიზნის მისაღწევად. სწორედ ეს საკითხი გვევლინება ეთიკურ პრობლემად, რადგან მენეჯერები ხშირად ვერ აცნობიერებენ მათ წინაშე მდგარ ეთიკურ განსხვავებებს, რომელიც მორალს ეფუძნება.

ადამიანის ცხოვრება ყალიბდება მთელი რიგი საგნებისადმი მიმართული სურვილებისა და მისწრაფებებისაგან, ამ სურვილებისა და მისწრაფებების განხორციელება წარმოადგენს ადამიანის სურვილისათვის არსობრივი ენერჯის განტვირთვა. არსებობს ორგანული კავშირი მას შორის, რაც სურს ადამიანს და მასთან, როგორიცაა იგი თავისი ბუნე-

ბით. ადამიანი თავის ცხოვრებაში ახორციელებს არა სიამოვნებასა და ბედნიერებას, არამედ საკუთარ ბუნებას, ახორციელებს საკუთარ ენერგიას, თუნდაც ეს ტანჯვის ფასად მიიღწეოდეს. ხშირად ვნებას არჩევენ, ვიდრე სიამოვნებას, ისინი თვით ადამიანის ინდივიდუალობის არსს ერწყმიან. როდესაც ადამიანი იღწვის შემეცნების რაიმე რთული საკითხის გადასაწყვეტად, ან იბრძვის სოციალური სამართლიანობის განამდვილებისათვის, მისი სულიერი ცხოვრება ამ საკითხებს უნდა დაეთმოს, სწორად ისინი წარმოადგენენ მიზანს. თუკი ადამიანი ამავე დროს სიამოვნებაზე იფიქრებს და სწორედ სიამოვნებას ჩათვლის თავის გაცნობიერებულ მიზნად, მაშინ იგი ვერასოდეს გადანყვეტს შემეცნების პრობლემას და ვერასოდეს მიაღწევს სამართლიანობას. თვით ჯონ სტიუარტ მილი აცხადებს, რომ ბედნიერებად მყოფობისათვის არაა აუცილებელი უშუალოდ ბედნიერებისათვის ზრუნვაო.

და ბოლოს მენეჯმენტის მთავარი ეთიკურ მორალური პრობლემა შესაძლებელია ჰეგელის ერთ ფრაზაში მოვაქციოთ „ჭეშმარიტების კრიტერიუმია შეუთავსებლობა, მისი არსებობა კი, ცდომილებაა“.

მაშასადამე, ფართოდ გავრცელებული სოციალური კონცეფციების მიხედვით ეთიკური ნორმების შესახებ ზოგადი წარმოდგენის ბიზნეს სამყაროზე პროვოცირებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თუ ორგანიზაცია დაინტერესე-

ბულია საკუთარი ეფექტიანობით, მან საქმიანობა ზნეობრივ მოტივაციაზე უნდა ააწყოს და არა ტრადიციულ მოტივირებაზე. ამ ყოველივეს ემყარება ის მოსაზრება, რომ კონკურენტული ორგანიზაციის სათავეში რაციონალური ავტორიტეტი დგას, ხოლო ძალაზე და შიშზე აწყობილი ირაციონალური ავტორიტეტის ხელმძღვანელობა უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს თუ როდენ მნიშვნელოვანია ადამიანის მორალური ღირებულებების გათვალისწინება თანამშრომელთა გუნდის შექმნისა და მისი მართვის პროცესში.

### ლიტერატურა

- უპირატესობის მენეჯმენტი, თ. მაისურაძე. თბ. 2014  
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ნ.პაიჭაძე, ე.ჩოხელი, ნ.ფარესაშვილი  
Эрих Фромм. Человек для себя. „Хранитель“. Москва. 2006.



**Tamta Varshanidze**

**The role of social-ethical factors in effective functioning of  
business organization**

Resume

Often the market is seen as a symbol of universal allowed, making it difficult to market relations. Moral and ethical issues, it is necessary to distinguish the twentieth century thinker and psycho analyst's classification Erich Fromm, Fromm believes that there are authoritarian and humanistic ethics. Authoritarian ethics of the corporation the authority to define the guidelines and sets priorities for the activities of employees, while the humanistic ethics of the individual is determined by its own activities, he is also the creator and performer of the rules, to regulate, control, and to obey him. if an organization is interested in its efficiency, the activities should build on the moral motivations and not for the traditional reasons. All these are based on the notion that the competitive power of rational authority is the power, and the fear of a negative impact on the economic characteristics of the assembled leadership of their rational authority. Ethical relativism followers claim that moral principles are determined, first of all the society in which they are formed. There is no absolute standard for ethical and cultural context.

## მასკომუნიკაცია

### Mass Communication

---

---

#### მასმედის როლი პუბლიცისტური ენის წორმირების პროცესში

*ირინე ცინცაძე*

პრესა, რადიო, ტელევიზია მასობრივი ინფორმაციის სიტყვიერი საშუალებაა. საინფორმაციო დანიშნულებას სიტყვიერად ახორციელებს, წარმოადგენს სალიტერატურო ენის ყოველდღიურ სარბიელს, სადაც ჩანს ენის ცვლილების ცოცხალი პროცესი. მასმედის ენას ინტენსიურად სწავლობენ თანამედროვე მსოფლიოში. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ფართოდ უღებს კარს ყოველგვარ ინოვაციას ენაში, ხელს უწყობს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის დამკვიდრება - გავრცელებას საზოგადოებაში, ეს განსაკუთრებით პრესის შესახებ ითქმის, თუმცა რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და რეკლამაც საშუალებას იძლევა ყოველდღიურად დავაკვირდეთ ენაში მიმდინარე ცვლილებების ცოცხალ პროცესს.

ჟურნალ - გაზეთების ენა დღეს ფორმათა ნაირსახეობით გამოირჩევა, ახალნარმონაქმნებით, ტერმინოლოგიის შერჩევის ახალი პრინციპებით. პრესა ზოგადად ფართო აუდიტორიისათვის არის განკუთვნილი და ამიტომაცაა სპეციფიკური მისი ენა.

საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკა პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახესხვაობაა, რომელიც თავისი დანიშნულების, ამოცანებისა და საკომუნიკაციო პირობების საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს. მისი დანიშნულება კულტურათმორისი ურთიერთობის მედიატორობაა, ამოცანა აუდიტორიის მიზიდვა - შენარჩუნება, ხოლო საკომუნიკაციო პირობები - ენა.

თანამედროვე ქართული ჟურნალებისა და გაზეთების ენა გლობალიზაციას ერთგვარი მოზაიკური სურათის შექმნით ეხმიანება და წარმოადგენს.

უცხო ენის სიტყვათა დამკვიდრების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი ინტერნეტჟურნალისტიკას ე.წ. „ონლაინ ჟურნალისტიკას“ მიუძღვის. ის გულისხმობს ინფორმაციის უწყვეტ და პირდაპირ ეთერში გადაცემას, რაც რა თქმა უნდა მედიის წარმომადგენლების მხრიდან სამეტყველო ენის ნორმირებას უშლის ხელს. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გადაცემის ენა უკონტროლოა, რასაც შედეგად მოაქვს „ახალი“ სიტყვის შემოსვლა- დამკვიდრება. ენის გლობალიზაციის შედეგად ახალი ლექსიკური მარაგი მკვიდრდება, და

ხშირად ადამიანებს მისი შესატყვისი ქართული სიტყვის მოძიება უჭირს. თანამედროვე რეალობაში ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში მკვიდრდება და ფართო აუდიტორიამდე მიდის სწრაფად, კორექტირების გარეშე.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი უცხო სიტყვებს სწორედ ინტერნეტის მეშვეობით იღებს. ბეჭდური მედია მეტ-ნაკლებად ნორმირებულ ენას ამკვიდრებს. სხვადასხვა ტიპის ჟურნალ-გაზეთებიც თავისებურ ენობრივ პოლიტიკას ატარებენ: მიზანმიმართულად ირჩევენ უცხო სიტყვებს, შესაბამისი ქართული ლექსიკური ერთეულის გაუთვალისწინებლად. მაგალითისათვის წარმოვადგინოთ უცხო სიტყვათა მცირე ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც თანდათან მკვიდრდება ქართულ სალიტერატურო ენაში:

**კასტინგი** - ხმების თუ ქულების მიხედვით შერჩევას, არჩევას ნიშნავს. ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ ღონისძიებათა ჟიურის წევრები და შემსრულებლებიც. კონკურსზე გამარჯვებულთა შერჩევისას გვესმის კასტინგი! ჟიურის შესატყვისი არ გვაქვს და ის ბუნებრივად დამკვიდრდა ქართულ ენაში.

**პრეროგატივი** - უპირატესობას ნიშნავს, თუმცა დღეს სიტყვა „პრეროგატივი“ დამკვიდრდა მეტყველებაში.

აგრეთვე, **ტრენინგი** - წვრთნა, ვარჯიში. **მონიტორინგი** - დაკვირვება, კონტროლი. **ალიანსი** - კავშირი, გაერთიანება. **რეაბილიტაცია** - აღდგენა. **პრაგმატული** - სასარ-

გებლო. პრევენცია - ხშირად გვესმის ტელეეკრანიდან, საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები ხმარობენ, ეს ქართულად წინასწარი ზომების მიღებად ითარგმნება ლათინურრიდან და უფრო ადვილად გასაგებია ტელემედიკურებისათვის.

თანამედროვე ქართული პრესა, ძირითადად, ორიენტირებულია პოლიტიკაში, თუ ეკონომიკაში მომხდარი ახალი ამბების გაშუქებით. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ აქტიურობას გაზეთები იჩენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთებში მსგავსი ხასიათის სტატიების ბეჭდვისას ხშირად შეინიშნება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებში არსებული ტერმინოლოგიის უხვი გამოყენების ტენდენცია, შესაბამისად, ისინი უნდა მივიჩნიოთ როგორც დარგობრივი ტერმინოლოგია.

მაგალითად: **აპლიკაცია** (აპლიკაციონ)- განცხადება, წერილობითი მოთხოვნა. **ბანერი** (ბანნერ) - დროშა, ალამი. **ბოიფრენდი** (ბოყფრეინდ) მეგობარი ბიჭი, ბრაუზერი (ბრონსერ) ფურცლების სწრაფი გადამხედი, **ბრენდინგი** (ბრენდი) (ბრანდ(ინგ) მარკირება, (მარკა), **დრაივინგი** (დრივინგ) მამოძრავებელი, **დრესკოდი** (დრესსცოდე) შეზღუდვა ჩაცმულობაში, **დრესინგი** (დრესსინგ) ჩაცმულობა.

ფაქტიურად მასმედიის ენამ დაიმკვიდრა და შეისისხლხორცა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: **ვიქენდი** (ჭეეკენდ) შაბათ-კვირა, **ვორკშოპი**, **ან ურშოპი** (ჭორკსჰოპ) სა-

ხელოსნო, **თოქ-შოუ** (თალკ – სჰონ) თოქ-შოუ (ქართული ლექსიკური შესატყვისობა არ გააჩნია), **თინეიჯერი** (თენეა-გერ) მოზარდი, **ივენტი** (Eვენტ) მოვლენა, ღონისძიება, **იმიჯი** (Иმაგე) იმიჯი (ქართული ლექსიკური შესატყვისობა არ გააჩნია), **ინტერფეისი** (Инტერფაცე) შეთანხმებულად მუშაობა, **კრეატიული** (Кრეატივე) შემოქმედებითი, **ლაივი** (Live) ცოცხალი, პირდაპირი ეთერი, **ლოკაცია** (Лоკაციონ) ადგილმდებარეობა, **მეიქერი** (Маკერ) შემქმნელი, **მიქსი** (Mix) ნაზავი, **მარკეტინგი** (Марკეტინგ) მარკეტინგი (ქართული ლექსიკური შესატყვისობა არ გააჩნია), **მენეჯმენტი** (Мანაგემენტ) ადმინისტრაცია, მართვა, **მეინსტრიმი** (Маინსტრეამ) ძირითადი მიმართულება, **მესენჯერი** (Mესსანგერ) გამგზავნი (ტექსტისა) **ნიუსი** (Nენს) სიახლეები, ახალი ამბები, **ონლაინ** (Онლინე) პირდაპირი ეთერი, ცოცხალი შესრულება, **პარკინგი** (Пარკინგ) მანქანის გასაჩერებელი ადგილი, **რესურსი** (დესოურცე) მარაგი, **რელასაქცია** (დელახატიონ) დასვენება, **საუნდრეკი** (შოუნდტრაქც) მუსიკა კინოფილმიდან, **სტაფი** (შტაფფ) მომუშავე პერსონალი, **ტოპი** (თოპ) უმაღლესი, **ტრენინგი** (ტრანინგ) წვრთნა, ვარჯიში, **ფართი** (Пარტყ) წვეულება, **ქავერი** (ჩოვერ) გადაფარვა, **ქასტინგი** (ჩასტინგ) შერჩევა და ა. შ.

რა თქმა უნდა ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ტერმინოლოგიისა, რომელსაც ქართველი ჟურნალისტები

იყენებენ როგორც, ბეჭდურ, ასევე ონლაინ მედიაში, და არა მხოლოდ მედიის წარმომადგენლები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უცხო ენიდან შემოსული სიტყვების ძირითადი მიზეზი მაინც გლობალიზაციის შედეგია, რომელსაც საზოგადოება ნელ-ნელა ითვისებს. აქვე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ტექნიკური პროგრესის სისწრაფეს ასეთივე ტემპით ვერ უტოლდება კონკრეტული სალიტერატურო ენა და მისივე ლექსიკური ფონდი სინქრონულ რეჟიმში ვერ ასახავს ამ პროცესებს. შესაბამისად, ისინი სხვა, დომინანტი ენებიდან იღებენ სიტყვებს იმავე ფორმით, როგორითაც საწყის ენაში გვხვდება. ამის შედეგად, მკვიდრდება გარკვეულნილად ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ჟარგონები, სლენგი და ა.შ. რაც აღნიშნული საკითხების სამომავლო კვლევა - ძიებას ითხოვს.

, , .  
 ,  
 ,  
 .  
 .  
 ,  
 - , ( )  
 ), , , ,  
 .  
 ,  
 .  
 ,  
 ,  
 .  
 , ,  
 .

Irine Tsintsadze

**The role of mass media in the process of publicist's  
language standardization**

Resume

Press, radio and television are mass information tools. They give information about literary language and the process of its change. The mass media language is being intensively studied in modern times. The mass information tools give way to all kinds of innovations in a language and help spread them in a society. This can be especially said about press although radio, television, internet and advertisements also show how language changes day by day.

Spread of foreign words is mainly a result of globalization to which the society slowly adjusts. It should be mentioned that in modern times literary languages and their lexical stock don't progress so quickly as technology. Therefore, they accept words from other dominant languages. As a result neologisms, barbarisms, slang and other things appear in a language which needs future research.

**მანიპულირება - XXI საუკუნის მედიის  
მოთხოვნა**

*ნესტან მამუჭაძე*

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არა მხოლოდ ცოდნას გვანვდიან საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს შესახებ, არამედ გამოთქვამენ სხვადასხვა ინტერესსაც. მასმედია ხშირად საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულაციისთვის არის გამოყენებული. ამას არაერთი სოციოლოგიური თეორია აღიარებს და ასაბუთებს კიდევც.

მედია ყოველთვის მანიპულატორული მიზნებისათვის არ არის გამოყენებული, მაგრამ ეს უკანასკნელი რომ მასებზე ზემოქმედების მძლავრ იარაღადაა მიჩნეული, არც ამაზე კამათობს აღარავინ. ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები და ამიტომ, აუცილებელი ხდება ამ თვალსაზრისითაც იმოქმედოს აუდიტორიაზე.

როცა ვსაუბრობთ აუდიტორიაზე ზემოქმედებაზე, მანიპულირებაზე, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ „გეიტკიპერთა“ ინსტიტუტი და „ეიჯენდასეტინგის“ თეორიით შექმნილი მეთოდები.

„გეიტკიპერობა“ ანუ კარის დაცვა ინფორმაციის შერჩევის, დამუშავებისა და გავრცელების აღიარებული

ხერხია დასავლეთის და აშშ-ის ჟურნალისტიკაში. „კარის დაცვა“ მეტამორფულად უნდა გავიგოთ. კარი გადაწყვეტილების მიღების სანყისი მომენტი. ამიტომ კარის მცველი ძალები განაპირობებენ იმას, თუ რა სახის გადაწყვეტილებას გაივლის ერთი კარიდან მეორეში“ [2,233].

„გეიტკიპერობა“ პუბლიცისტური ნაწარმის შექმნის წინაპირობადაც გვევლინება. „კარის დაცვა“ ახალი ამბების მოძიებისა და გავრცელების პროცესს უკავშირდება, ვიდრე წერას. პროცესის უმთავრესი მიზანი რომელიმე სოციალური ფენის ინტერესი შეიძლება გახდეს. „გეიტკეპინგის“ ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმა – „ეზო ძაღლის“ მეტაფორით არის ცნობილი. ჟურნალისტიკის დანიშნულებაა უთვალთვალოს სახელისუფლებო სტრუქტურებს, რათა მათ ზუსტად შეასრულონ ამომრჩეველთა და კანონის მიერ დაკისრებული მოვალეობები. „ეზოს ძაღლის“ ფუნქციის შესრულებისას მასმედიას ევალება ხელი შეუწყოს მოვლენათა სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად გაშუქებას. „ეს კი ამას ნიშნავს, რომ იგი „ნაკლოვანებათა“ გამოსააშკარეებლად კი არ მეთვალყურეობს ხელისუფლებას, არამედ მისი ინტერესების სადარაჯოზე დგას. მისი უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ ჟურნალისტიკამ სწორად გააცნობიეროს ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სწორად გატარებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა პოლიტიკის მნიშვნელობა და დაეხმაროს მთავრობას საზოგადოებრივი

პრობლემების მოგვარებაში“. „ამგვარად, „გეიპტიკინგი“ ის მექანიზმია, რომელიც თანამედროვე ვითარებაში მონოდე-ბულია ჟურნალისტთა ცოდნად და შინაგან რწმენად აქციოს პროფესიული იდეოლოგიის მოთხოვნები, რათა მათ ადეკვა-ტური გავლენა იქონიონ აუდიტორიაზე“ [2,234].

მასობრივ აუდიტორიაზე გაბლენის გაძლიერების მექანიზმს ემსახურება „ეიჯენდასეტინგია“ (აგენდასეტ-ტინგ–ინგ. დღის წესრიგის შექმნა). ეს გულისხმობს, რომ სა-ზოგადოებაშიარსებობს პრობლემების თანმიმდევრული ნუსხა, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც საზოგადოება, ასევე ხელისუფლება. ტერმინი „დღის წესრიგი“ მასობრივი კომუნიკაციის თეორიაში აშშ-ს მეცნიერებმა მაქსუელ მაკკობმა და ნოლნდ შოუმ დაამკვიდ-რეს. 1968 წელს ჩრდილოეთ კაროლინის შტატში ამომრჩე-ველთა გამოკითხვის შედეგად მათ დაადგინეს ის ძირითადი საკითხები, რომელთა მიმართაც ისინი განსაკუთრებულ ინ-ტერესს იჩენდნენ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის პროცეს-ში. შემდეგ მეცნიერებმა შეისწავლეს ადგილობრივი პრესა და აღმოაჩინეს, რომ მასმედიის მიერ განხილულია ყველა უმთავრესი საკითხი და მათდამი დამოკიდებულება პირდა-პირ უკავშირდებოდა მოსახლეობის მიერ უმნიშვნელოვანე-სად მიჩნეულ საკითხებს და ამ საკითხების შეფასებას. სწო-რედ კვლევის შედეგად შეიქმნა კონცეფცია მასმედიის „დღისწესრიგული“ ფუნქციის შესახებ. ეს ფუნქცია აუდი-ტორიაში ქმნის მოვლენების ინტერპრეტირებულ ჩარჩოს,

საშუალებას იძლევა გავაცნობიეროთ პრობლემა და დავისახოთ მისი პოტენციური გადაჭრის გზები. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების პრაქტიკა პროპაგანდისტული მიზნებისათვის სხვა მრავალ მეთოდსაც მიმართავს. უმბერტო ეკოს აზრით, მასმედიას შეუძლია შექმნას ისეთი „დახურული“ ტექსტები, რომლის ინტერპრეტაცია მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი ხდება და შესაბამისად, პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება. „ღია“ ტექსტები თავიანთი გახსნილობის გამო ინტერპრეტაციის მრავალ შესაძლებლობას შეიცავენ, აუდიტორიაში კომუნიკაციის პროცესის თანამონაწილეებს ეძებენ და არა უპირობო თანამოაზრეებს.

თუკი მანიპულირების ზემოთ განხილულ თეორიულ სტანდარტებს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ამ პრინციპის გამოყენება არც რეგიონული მედიისთვისაა უცხო. თუკი მედია მანიპულატორია, მძლავრი იარაღია ამა თუ იმ მოვლენის პირდაპირ თუ პირისპირ, ცხადია, არც შედეგი აყოვნებს.

როდის მანიპულირებს მედია ყველაზე მეტად? ამ კითხვით ჩვენ პირდაპირი სოციოლოგიური გამოკითხვით 377 რესპონდენტს მივმართეთ.

როდის მანიპულირებს მედია ყველაზე მეტად?	რომელი მედიასაშუალება მიმართა მანიპულაციის მძლავრ იარაღად?	შედეგი
არჩევნების წინ	გაზეთი „ბათუმლები“	128 ხმა
სოციალური თემატიკის გაშუქებისას	საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	81 ხმა
რელიგიური თემატიკის გაშუქებისას	ტელეარხი 25	98 ხმა
არ ვიცი	სხვა	70 ხმა

როგორც ჩანს, აუდიტორია მედიას ნაკლებ ნდობას უცხადებს. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს კონკრეტული ფრთისა თუ წრის გავლენა. ნდობის არ გამოცხადება ფსიქოლოგიური მომენტია. მარტივად და ამავდროულად უხეშად რომ ვთქვათ, მედიამ ნდობა დაკარგა, რომლის მოპოვებასაც ხანგრძლივი პროცესი ჭირდება.

დღეს მედია პოლიტიკური კამპანიების ნაწილი გახდა. იგი განუსაზღვრელ ძალას ფლობს და ამომრჩეველთა გონებას განაგებს. მედიის გარდა ადამიანებზე მათი პიროვნული თვისებები, სოციალური კატეგორიის მაჩვენებლები, ოჯახები, მეგობრები და თანამშრომლები მოქმედებენ. მედიასთან მიმართებაში შესაძლოა სამგვარ გავლენაზე ვისა-

უბროთ: აღძვრა ანუ აქტივაცია, განმტკიცება და გარდაქმნა.

აღძვრა (აცტივატიონ) – ეს არის სოციალური კატეგორიებით განპირობებული მიდრეკილებების აღძვრა, გააქტიურება იმისა, რაც უკვე არსებობს. „აქტივაცია, რომელიც მედიის გავლენის შედეგია, ადამიანებს აზრ არ აცვლენინებს, მაგრამ არჩევნების შედეგებზე აისახება. ამ გავლენის მიღწევას თავისი საფეხურები აქვს:

პოლიტიკური პროპაგანდა, რომელიც რადიოსა და ჟურნალ–გაზეთებში საარჩევნო კამპანიის მიმართ ამომრჩევლის ინტერესს ზრდის;

ამ ინტერესების გამო ამომრჩეველი მასალების გავლენას კიდევ უფრო მეტად ექვემდებარება;

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გავლენა არჩევითია. პიროვნული მახასიათებლები (ასაკი, სქესი, განათლება) და სოციალური კატეგორიები (მდიდარი, პროტესტანტი ფერმერები, ქალაქელი კათოლიკე მუშები) განაპირობებს ამომრჩევლის სიმპათიას რომელიმე ერთი პარტიის მიმართ;

მზარდი ინტერესი და არჩევითი გავლენა საბოლოოდ აყალიბებს ამომრჩევლის განზრახვას, რომელიც ზოგადად მათი პიროვნული და სოციალური მახასიათებლებიდან მომდინარეობს“[1, 373].

**განმტკიცება** (რეინფორცემენტ) – განსხვავებული მომენტი. ეს ის პროცესია, როცა ამომრჩეველთა უმრავლეს-

სობამ რამდენიმე თვით ადრე იცის, ვის უნდა მისცეს ხმა. ასეთ შემთხვევაში მედია განმტკიცების ფუნქციას ასრულებს. ერთგული ამომრჩევლის განზრახვის განმტკიცება ძირითადად კომუნიკაციების მეშვეობით ხდება. ამ შემთხვევაში მედიის გავლენის მიზანს ამომრჩევლების თავიანთი არჩევანის სისწორეში დარწმუნება წარმოადგენს.

**გარდაქმნა** (კონვერსიონ) – დაკვირვება ცხადყოფს, რომ გარდაქმნა მცირე ოდენობის ადამიანებში ხდება. ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც კონკრეტული პარტიისადმი გამოკვეთილი დამოკიდებულება არ აქვთ. მედიას ამომრჩევლებზე როგორც სელექტური, ასევე შეზღუდული გავლენა აქვს. როცა ვსაუბრობთ მედიის გავლენაზე, ხშირად პირველ რიგში სწორედ გარდაქმნას გულისხმობენ. „მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ცდისპირების 16% მედიის გავლენას არ ექვემდებარება, 9%-ს შერეული გავლენა აღენიშნება, 14%-ს – აქტივაცია, 53%-ს განმტკიცება (გავლენის ყველაზე ეფექტური ფორმა), გარდაქმნა კი მხოლოდ 8%-ს ეხება“ [1, 373].

მეცნიერებმა ადამიანის ბუნების შეცნობის ძიებისას მნიშვნელოვან წარმატებებს მიაგნეს. სწორედ ეს წარმატებები აღმოჩნდა ფასდაუდებელი მასობრივი კომუნიკაციის შედეგისა და პროცესის უკეთ გაგებისათვის. უდავოა, რომ ადამიანის ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა შეხედულება, დამოკიდებულება, ინტერესთა ღირებულება და მრავალი ფსიქო-

ლოგიური ფაქტორი მოქმედებს. ინდივიდზე მასობრივი კომუნიკაციის გავლენის დროს პიროვნული და ფსიქოლოგიური თავისებურებანი, სოციალური კატეგორიის სხვადასხვა სუბტროპიკა და სოციალური ურთიერთობის სქემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. აქედან გამომდინარე, მედია მანიპულირებას მძლავრ იარაღად იყენებს, რაც ფაქტობრივად, 21-ე საუკუნეში ამ უკანასკნელისთვის აუცილებელ მოთხოვნად იქცა.

### ლიტერატურა

სურგულაძე რ. „ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები“. თბილისი, 1996.

დენისი მ, დეფლორი ე. „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2009.

ბერტრანი კ. „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები. გამომცემლობა „თავისუფლების ინსტიტუტი“. თბილისი, 2004.

ლუმანი ნ. „საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია“. თბილისი, 2007.

**Nestan Mamuchadze**

**Manipulation \_ demand of the Xxi century**

Resume

Massmedia is often used for manipulating human consciousness. It is a well-grounded and well-known fact by several sociological theories. If the media is a manipulator, a strong weapon against different events, clearly, the result is also without a delay. When we talk about media influence and manipulation, first of all, we should discuss gatekeepers' institute and the methods created with an Agenda Setting theory. This scientific article also aims to discuss the mentioned ideology based on an example of regional media.



## ჟურნალისტის პროფესიონალიზმი ქართულ მედიაში

*ნათელა ბერიძე*

ჟურნალისტის პიროვნული და პროფესიული მხარეების კვლევა ტრადიციულ სოციოლოგიურ პრობლემატიკას განეკუთვნება. ადრე უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ობიექტურობა, პრინციპულობა, კომპეტენტურობა, კომუნიკაბელურობა, ლიტერატურული ნიჭი. თანამედროვეობისათვის უფრო აქტუალური აღმოჩნდა ისეთი თვისებები, როგორცაა პატიოსნება, წესიერება, ზნეობრიობა, პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. საზოგადოდ, ჟურნალისტი თითქმის ყოველთვის ერთგვარი დილემის წინაშე დგას: შეინარჩუნოს ობიექტურობა და ღირსება, თუ გაიყიდოს, შეკვეთით წეროს და დაარღვიოს პროფესიული ეთიკა. როგორც ჩანს, ამ მხრივ ვითარება არც თუ სახარბიელოა, რადგან სულ უფრო მწვავედ დგება ეთიკური კრიტერიუმების მკაცრი განსაზღვრა-დადგენის საჭიროება, ვითარებას კი თანამედროვე ჟურნალისტიკაში განსხვავებული პარადიგმების არსებობა ართულებს: ერთია- ამერიკული რეალობა, სადაც ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა მხოლოდ ეთიკური ნორმებით რეგულირდება, მეორეა ჩვენი

სინამდვილე- კანონით რეგულირებული ჟურნალისტური სინამდვილე.

ფოკუს-ჯგუფების რესპოდენტები ძალზე კრიტიკულად აფასებენ როგორც ტელევიზიის, ისე პრესის ხარისხს საქართველოში. ნიშანდობლივია ერთ-ერთი მათგანის განცხადება:

ის თოქ-შოუების ფორმატიც, რომელიც ჩვენთანაა, ძალიან იაფფასიანია, რეალური პოლიტიკური დებატები არ არსებობს.

მასმედიის ხარისხით რესპოდენტების მიერ დაფიქსირებული უკმაყოფილება ორ ძირითად ასპექტს უკავშირდება: ერთია ჟურნალისტების დაბალი პროფესიონალიზმი და მეორე – ხელისუფლების პოლიტიკური ზეწოლა ქართულ მედიაზე.

რესპოდენტების აზრით: ქართველი ჟურნალისტები <გარდა იმ ჟურნალისტებისა, ვინც საერთაშორისო გამოცემებში მუშაობენ> ვერ ავლენენ სათანადო პროფესიულ კვალიფიკაციას.

რესპოდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოში მედიის ტენდენციურობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და ჯერ კიდევ საბჭოთა მემკვიდრეობა უკავშირდება. თუმცა, ისიც ნათელია, რომ მიუხედავად დღეს არსებული პრობლემისა, ახლა ბევრად უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს, რადგანაც უფრო მეტი ინფორმაციის

ნყაროა ხელმისაწვდომი. თუმცა, როგორც ადრე მედია და განსაკუთრებით ტელევიზია, საქართველოში ღიადაა ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და როგორც წესი ხელისუფლების ინტერესებს იცავს, ნაცვლად იმისა, რომ შეეცადოს მეოთხე ხელისუფლების როლი შეასრულოს. რესპოდენტების აზრით, იგივე ხდებოდა საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდშიც.

საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულია პრესის სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი. არ არის ტრადიცია, რომლის თანახმადაც ჟურნალისტები მიუკერძოებლად, მაგრამ მკაცრად მოსთხოვენ ანგარიშს პოლიტიკოსებს საზოგადოების სახელით მათ მიერ საჯარო სამსახურში გაწეული მუშაობის შესახებ.

რადგანაც ჩვენ ვსაუბრობთ დამოუკიდებელ მედიაზე და ჟურნალისტებზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს მათი მატერიალური, სულიერი, პროფესიული მდგომარეობა. ქართული მედიის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა იწყება ეკონომიკიდან, გარემოდან და სახელმწიფოდან. დემოკრატიული მთავრობა ვალდებულია ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას. ამისათვის კი აუცილებელია, როგორც ცივილურ ქვეყნებში არსებობს მედიის დამოუკიდებლობის ფონდები, ასევე მსგავსი ფონდები უნდა შეიქმნას საქართველოშიც (როგორც ქალაქებში, ასევე რეგიონებში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით), რომელსაც დააფინანსებს სახელმწი-

ფო ბიუჯეტი. ასეთი მიდგომა არ უარყოფს კონკურენციას, საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, არამედ იგი ხელს შეუწყობს ინფორმაციული ბაზრის დარეგულირებას, რომ მედია არ იყოს ანგაჟირებული და პოლიტიზირებული. ყოველივე ეს კი ჟურნალისტურ პროფესიონალიზმს და მოსახლეობის დემოკრატიული კულტურის ამაღლებას ხელს შეუწყობს.

ქართული მედია სივრცე დღეს იმყოფება სერიოზული გამოცდის წინაშე: ან ქართული მედია იქნება ყოველთვის პოლიტიზირებული და ანგაჟირებული და გარკვეული ჯგუფების ინტერესების გამომხატველი, ან გახდება დამოუკიდებელი, თავისუფალი, ობიექტური, შუამავალი საზოგადოებასა და მთავრობას შორის.

### ლიტერატურა

დანელია ნ., „მედიის დამოუკიდებლობა და მედიაზე კონტროლის საშუალებები. თბ. 2008 წ.

დანელია ნ., გოგიბერიძე ნ., „თვითცენზურა.“ (მედიის კვლევა)

**Natela Beridze**

**Journalist's professionalism in Georgian media**

Resume

The research aspects of the Modern Georgian Journalistes personal and professional sides, That was held recently (2003), are reviewed here. It is mentioned, that the research revealed the deficit of jurnalistic norms of professional ethics, violation of these norms in informational programs, not to listen to the speakers opinion, interruptio n, overprass to other issues and ect.

## სოციალური მედიის სიზლი და დამანებრეველი ქალა

*მაია პაპუნაშვილი*

დღეს თითქმის აღარავინ დავობს იმაზე, რომ სოციალური მედია სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ადამიანთა ცხოვრებაში. ამას ადასტურებს სტატისტიკაც: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (ჩლჩ) 2012 წლის მონაცემების მიხედვით, თუ 2011 წელს თბილისში ინტერნეტის ყოველდღიურად მომხმარებელთა რიცხვი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 41%-ს შეადგენდა, 2012 წელს ეს რიცხვი 46%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება იმავე მონაცემებს სოფლების შემთხვევაში, 2011 წლის 4%-იანმა მაჩვენებელმა 7%-მდე მოიმატა.“<sup>13</sup>

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არც ისე დიდია, ამკარაა მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფად ზრდის ტენდენცია, რაც განპირობებულია რამდენიმე მიზეზით: სოციალური მედია ადვილად ხელმისაწვდომია ყველა ინტერნეტმომხმარებლისთვის; ის კომუნიკაციის სწრაფი, ოპერატიული საშუალებაა; ყველა მომხმარებელს აძლევს საკუთარი აზრის გამოხატვის

<sup>13</sup> <https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia>

შესაძლებლობას; ტრადიციული მედიისგან განსხვავებით, სოციალური მედია ინტერაქტიურია - მომხმარებელი ინფორმაციის უბრალო მიმღები კი არ არის, არამედ შეუძლია მიღებული ინფორმაციის კომენტირება, მოწონება და, რაც მთავარია, საკუთარი ინფორმაციის შექმნაც, რაც განსაკუთრებულ ხიბლს მატებს სოციალურ მედიას. რასაკვირველია, ადამიანებს მოსწონთ, რომ შეუძლიათ საკუთარი შეხედულებები შეუზღუდავად, ყოველგვარი ცენზურის გარეშე, გაუზიარონ სხვებს, გაეცნონ სხვების შეფასებებს საკუთარ ნააზრევთან დაკავშირებით; სოციალური მედია მომხმარებლებს ინტერესების, მოღვაწეობის სფეროს, რელიგიური თუ პროფესიული ნიშნის მიხედვით გაერთიანების, ჯგუფების შექმნის საშუალებასაც აძლევს. ამ ჯგუფებში გაერთიანებულ ადამიანებს შეუძლიათ თანამოაზრეებთან ერთად განიხილონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, გამართონ დისკუსია ამა თუ იმ პრობლემის გარშემო; სოციალური მედია ადამიანთა ფართო მასების ერთი იდეის, მიზნის, წამოწყების გარშემო მობილიზების, კონსოლიდაციის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას შეუძლია გარკვეული პრობლემები შეუქმნას ნებისმიერ სახელმწიფოს, თუ გადაიქცევა ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად.

სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად სულ უფრო მატულობს სხვადასხვა დამ-

ნაშავე თუ ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მათი ნაყოფიერად გამოყენების საფრთხე. მაგალითად, ისლამური სახელმწიფოსათვის მომხრეების შექმნის ძირითადი ინსტრუმენტი სწორედ სოციალური ქსელებია. „თავდაპირველად ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენლები თნიტტერით სარგებლობდნენ, თუმცა მალე აქ ანგარიშების დაბლოკვა დაიწყეს, ამიტომ ბოლო დროს უფრო ხშირად მესინჯერ თელეგრამ-ს იყენებდნენ, რომელიც საშუალებას იძლევა, შეტყობინება შეუზღუდავი რაოდენობის ადამიანს გაუგზავნო.“<sup>14</sup>

ახლახან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მესინჯერ თელეგრამ-ის საჯარო არხები, რომლებსაც აქტიურად იყენებდნენ ტერორისტები, დაიბლოკა. დაიხურა მათი აქტიური მომხმარებლების ანგარიშებიც. „ჩვენ ავლელდით, როცა გავიგეთ, რომ IIM თავისი პროპაგანდის გასავრცელებლად თელეგრამ-ის საჯარო არხებს იყენებს“- ნათქვამია კომპანიის საიტზე განთავსებულ ინფორმაციაში.<sup>15</sup>

ინტერნეტსივრცეში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში გამოჩნდა ისლამური სახელმწიფოს ქართულენოვანი ვებგვერდი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ინფორმირებას ისლამური სახელმწიფოს სიახლეების შესახებ, აგრეთვე მათ გადაბირებას.

<sup>14</sup> <http://www.bbc.com/news>

<sup>15</sup> <https://telegram.org/>

გადაბრუნება ხდება სხვადასხვა ხერხით: მაგალითად, ყურანის იდეების განუხრელად დაცვისკენ მოწოდებით, იმის ხაზგასმით, რომ სწორედ ისლამურ სახელმწიფოში იცავენ ყურანის დოგმებს. ერთ-ერთ მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს აბუ მარიამ ალ-ჯურჯი, ნათქვამია: „ჩემო ძვირფასო მუსლიმანებო, ჩვენ მართლა ყურანში ვცხოვრობთ, ჩვენ ხომ ეს გვინდოდა? თქვენც ხომ ეს გინდათ? მოდით ჩვენთან და ნახეთ, რა ხდება აქ.“<sup>16</sup> სხვა შემთხვევაში ქართველი მუსლიმების მისაზიდად გამოყენებულია სოციალური პრობლემების თემა. სამუფთოს ყოფილი იმამის, მურმან პაიჭაძის, მიმართვა ისლამური ხალიფატიდან ასე ჟღერს: „დიდება ალაჰს, რომ ჭაობიდან ამომიყვანა და დღეს აქ ვარ, ისლამურ ხალიფატში... ხალიფატში დენი, წყალი, მკურნალობა და სხვა კომუნალური მომსახურებები უფასოა, სხვა ქვეყნებში და ასევე საქართველოში კი გადასახადები ხალხს ახრჩობს. ჩემო ხალხო, გადმოსახლდით აქ!“<sup>17</sup>

ეს და სხვა განცხადებები შეიცავს მუქარასაც: „ალაჰის ნებით მოვალთ საქართველოშიც და დამყარდება სამყაროს გამჩენისა და ბატონ-პატრონი უზენაესი ალაჰის კანონები.“<sup>18</sup>

<sup>16</sup> <https://xalifati.wordpress.com/2015/>

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე.

მუქარის შემცველია საქართველოდან ხალიფატში გადასახლებული ოთხი მებრძოლის ვიდეომიმართვაც, რომელიც მიმდინარე წლის 23 ნოემბერს გავრცელდა ხალიფატის ვებგვერდზე.<sup>19</sup>

მოსახლეობაში პანიკის გავრცელებას ისახავს მიზნად ვებგვერდზე წარმოდგენილი ფოტო და ვიდეომასალა, რომლებზეც ხალიფატის მებრძოლთა მიერ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციები და ტერაქტებია ასახული.

ვებგვერდის არსებობის შესახებ ინფორმაცია მყისიერად გავრცელდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ იგი ადვილად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, ვებგვერდის მისამართს ბოლო პერიოდის განმავლობაში არაერთი მომხმარებელი იზიარებდა საკუთარ გვერდზე. ისლამური სახელმწიფოს ვებგვერდისა და მასზე განთავსებული ინფორმაციის შესახებ საუბრობდნენ ინტერნეტგამოცემები თუ ტრადიციული მედიასაშუალებები.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მასალები უნდა განვიხილოთ, როგორც საქართველოს წინააღმდეგ ისლამური სახელმწიფოს მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი.

საინფორმაციო ომის ცნობილი მკვლევარი გ. პოჩუპკოვი წიგნში „საინფორმაციო ომები“ აღნიშნავს: „ამერიკის

---

<sup>19</sup> იქვე.

შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს საინფორმაციო არმიის დირექტორი ასე განმარტავს „საინფორმაციო ომს“: „საინფორმაციო ომი შედგება ქმედებებისაგან, რომელთა მიზანია საინფორმაციო უპირატესობის მიღწევა ნაციონალური სამხედრო სტრატეგიის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციაზე და მონინაალმდეგის საინფორმაციო სისტემებზე ზემოქმედების გზით, იმავდროულად, საკუთარი ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემის დაცვის გზით.“<sup>20</sup> ციტირებული განმარტებების მიხედვით, საინფორმაციო ომი არის სტრატეგია, რომლის მიზანია ნაციონალური პოლიტიკის რეალიზება. ამ ომის ობიექტებად გვევლინებიან საინფორმაციო სისტემები, შესაბამისი გადამცემი ხაზები, გადამამუშავებელი ცენტრები და ამ სისტემაში დასაქმებული ადამიანური რესურსი; აგრეთვე - საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება შეიარაღების სისტემაში, მაგრამ ტერმინი „საინფორმაციო ომი“ გამოიყენება მეორე მნიშვნელობითაც - ეს არის მასებსა თუ ცალკეულ ინდივიდებზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი.

რას ისახავს მიზნად მასების წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომი? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი ასეთია: მასების ცნობიერების შეცვლას, რასაც მოჰყვება მასის ქცე-

---

<sup>20</sup> Георгий Почепцов, Информационные войны  
Основы военно-коммуникативных исследований,  
<http://www.koob.ru/pochepcov/>, 33. 6.

ვის შეცვლაც. ფაქტია, რომ ისლამური სახელმწიფოს პროპაგანდას უკვე მოჰყვა გარკვეული შედეგები. საქართველოს მოქალაქეები მიდიან სირიაში და მონაწილეობას იღებენ საბრძოლო მოქმედებებში. საქართველო, რა თქმა უნდა, არ არის გამონაკლისი - როგორც ცნობილია, ისლამურ სახელმწიფოში მებრძოლები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან ჩადიან, მაგრამ ეს, რასაკვირველია, ჩვენ დამშვიდების საფუძველს არ უნდა გვაძლევდეს. ისლამური სახელმწიფოს ქართულენოვან ვებგვერდზე პირველი პოსტი მიმდინარე წლის აპრილში გამოქვეყნდა, მომდევნო - მაისში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 23 ნოემბერს ვებგვერდით გავრცელდა ვიდეომიმართვა, რომელიც შეიცავს როგორც მონოდებას და საქართველოს სხვა მოქალაქეების გადაბირების მცდელობას, ისე მუქარას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მიუხედავად ტერორისტული დაჯგუფების ვებგვერდის გამოჩენიდან საკმაოდ დიდი დროის გასვლისა, არ ბლოკავს მას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორია მედიასთან საუბრისას აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო, მაგრამ ვებგვერდი არ დაბლოკა, რადგან სურს საკმარისი ინფორმაციისა და მტკიცებულებების შეგროვება. მისივე თქმით, „სახელმწიფო უშიშროების სამსახური აპი-

რებს, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, რათა ასეთი ვებგვერდების არსებობა აიკრძალოს.<sup>21</sup>

დასახელებული ვებგვერდის მასალებში, გარდა პროპაგანდისა, შეინიშნება მოსახლეობის დაშინების მცდელობა. მუქარის შემცველ განცხადებებთან დაკავშირებით ბატონი იზორიას კომენტარი ასეთია: „ბუნებრივია, ჩვენ ყველა მუქარას, რომელიც იქნა გაჟღერებული ტერორისტებისაგან და ეს მუქარა უკავშირდება კონკრეტულად საქართველოს, სერიოზულად აღვიქვამთ. ჩვენ მობილიზებას ვიჩენთ მაღალი ხარისხითა და მაღალი პასუხისმგებლობით, რაც უკავშირდება რისკებისა და საფრთხეების თავიდან აცილებას.“<sup>22</sup>

ბუნებრივია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ან რომელიმე სხვა სტრუქტურა, სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, უფრო ღიად და დაწვრილებით ვერ ისაუბრებს ანტიკრიზისულ გეგმაზე, რომელიც, სავარაუდოდ, აქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ აპრილიდან დღემდე საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ტერორისტული პროპაგანდის აღკვეთა მას აქამდე უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, აუცილებელია ტერორისტების პროპაგანდას დაუპირისპირდეს სახელმწიფოს მხრიდან პროპაგანდა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მოსახლეობის რელიგიური განათლების დონის ამაღლების მიზნით. ხოლო თუ იმასაც

<sup>21</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=29904>

<sup>22</sup> [http://maestro.ge/menu\\_id/254/id/4071/lang/1](http://maestro.ge/menu_id/254/id/4071/lang/1)

გავითვალისწინებთ, რომ ისლამური სახელმწიფო გადაბირების ერთ-ერთ მეთოდად საქართველოში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას იყენებს, ამის საპირისპიროდ კი მას „ნამდვილ მინიერ სამოთხეს“ ჰპირდება, სახელმწიფო ვალდებულია, გარკვეული სოციალური პროექტები განახორციელოს განსაკუთრებული რისკის მქონე რეგიონებში, საიდანაც ახალგაზრდები სწორედ გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობისა და დაუსაქმებლობის გამო მიდიან ისლამურ სახელმწიფოში. სხვაგავარად ტერორისტების პროპაგანდას კიდევ დიდხანს ექნება ნოყიერი ნიადაგი ადამიანების გადაბირებისათვის.

### ლიტერატურა

- <http://www.koob.ru/pochepcov/>  
<https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia>  
<http://www.bbc.com/news>  
<https://telegram.org/>  
<https://xalifati.wordpress.com/2015/>  
<http://www.civil.ge/geo/article.php?id=29904>  
[http://maestro.ge/menu\\_id/254/id/4071/lang/1](http://maestro.ge/menu_id/254/id/4071/lang/1)

**a**

**Maia Papunashvili**

**Attraction of social media and destructive power**

Resume

The article is about positive and negative roles of internet and social media in our modern life. It is focused on the threats that actually exist in the modern world and, of course, in Georgia too.

Nowadays social media is an inseparable part of our lives. Social networks can be operated with computers, smart phones, mobile phones, which means that the networks are available for any internet users. Easy access to social networks is becoming more and more dangerous all over the world, as they are available not just for ordinary and peaceful citizens, but also for terrorist organizations, which of course is insecure for any country. That is why the governments are obliged to have strict control over the social networks of the international criminal organizations in order to prevent security problems of the countries.

Nowadays Georgia is facing a serious challenge \_ the terrorists of the Islamic States produce purposeful propaganda through Georgian websites. Their aim is to win over Georgian citizens, as well as to panic and frighten population by spreading threatening statements. Therefore, in our opinion, effective countermeasures have to be taken by authorities of Georgia.

## სამართალი

Право

Law

---

---

### ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, როგორც სამართლებრივი (პიზნაისის) სუბიექტი

*ანზორ უსტიაძე*

#### 1. შესავალი

ბიზნეს საქმიანობის (მენარმეობის) დანყების მნიშვნელოვანი საფეხურია სამართლებრივი ფორმის არჩევა. ორგანიზაციული ფორმის სწორად შერჩევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მენარმეობის მთელ პროცესში. ამიტომ ბიზნესით დაინტერესებული პირები, საქმიანობის დანყებამდე იღებენ შესაბამის რაციონალურ გადაწყვეტილებას და ირჩევენ იმ სამართლებრივ ფორმას, რომელიც მათთვის ყველაზე ოპტიმალურია და რომელიც უკეთეს პირობებს სთავაზობს მენარმეს სხვა ალტერნატიული ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მოდელებიდან. ამასთან სამართლებრივ ფორმებს შორის განსხვავებას არა მხოლოდ თეორიულ დატვირთვა აქვს, არამედ ეს განსხვავება ცალკეული სამე-

წარმოადგინოს საზოგადოებების (სამეწარმეო სუბიექტების) ეკონომიკურ ფუნქციონირებას და გადასახადებით დაბეგვრის საკითხებშიც აისახება.

საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა საქმიანობის სამართლებრივი რეგულაციების საკანონმდებლო სრულყოფა, შესაბამისად სრულყოფას განიცდის ამ რეგულაციების პრაქტიკაში გამოყენებაც.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონი არის ის ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა სამართლებრივ ფორმებს აყალიბებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ამომწურავად განსაზღვრავს მეწარმე სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს. ესენი არიან: ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

მართალია „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს იმ სამართლებრივ ფორმების ჩამონათვალს, რაც ამ კანონის თანახმად სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობაში არის დასაშვები, მაგრამ რეალური ცხოვრებაში ბიზნეს საქმიანობაში, განსაკუთრებით კი სამშენებლო ბიზნესში ფართოდ გამოიყენება ისეთი სამართლებრივი წარმონაქმნი, როგორცაა ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) ანუ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა.

ნინამდებარე სტატიაში სწორედ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის (სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის) რაობაზე, მისი „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ფორმებთან თავსებადობაზე და კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროებაზე იქნება მსჯელობა.

## 2. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, როგორც ბიზნესის სუბიექტი

აღიარებული შეხედულების თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის, მათ შორის ბიზნეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს „პირები“ ეწოდებათ. კონტინენტური ევროპის სამართალში განმტკიცებული შეხედულების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც პირის ცნებაში გულისხმობს უფლებაუნარიან არსებას, ესე იგი არსებას, რომელსაც სამართალი ანიჭებს უნარს, იყოს უფლებათა სუბიექტი (ლადო ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 125).

სამოქალაქო ურთიერთობის ძირითადი მონაწილე ადამიანია. მაგრამ ადამიანები ზოგჯერ ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთა მიღწევა მათ ცალ-ცალკე არც ფიზიკურად შეუძლიათ და არც კერძო ქონებაა ამისათვის საკმარისი ანდა აღნიშნულისათვის სხვა გარემოებებიც შეიძლება არსებობდეს კიდევ. კერძო სამართალი ამ ადამიანებს შესაძლებლო-

ბას აძლევს გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ სამართლის ახალი სუბიექტი, რომელსაც იურიდიული პირი ეწოდება. თუ ადამიანი, ასე ვთქვათ ბუნების ქმნილებაა, იურიდიული პირი ყოველი კონკრეტული სამართლის მიერაა შექმნილი და სამართლებრივ ურთიერთობათა გაიოლების მიზნით გათანაბრებულია ადამიანის სამართლებრივ მდგომარეობასთან, უწინარეს ყოვლისა კი ქონებრივი ურთიერთობების სფეროში და მათ შორის ბიზნესშიც.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმადაც „კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ“.

მაგრამ გარდა ფიზიკური და იურიდიული პირებისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ შორის ბიზნესშიც სხვა ისეთი სახის წარმონაქმებიც დომინირებენ, რომლებიც არ არიან არც ფიზიკური პირები და არც იურიდიული პირები. სწორედ ამგვარი სახის წარმონაქმნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) ანუ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად „ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლი-

ვად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად“.

აღნიშნული საკანონმდებლო განმარტება ნათლად გვეუბნება, რომ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად, ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით. კანონმდებელი პირდაპირ გვეუბნება, რომ ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივად მოქმედება, რომელსაც შეიძლება განუსაზღვრელი ვადაც ჰქონდეს, ამ შემთხვევაში იურიდიულ პირს არ წარმოადგენს. თუმცა ცხადია რომ „ორი ან რამდენიმე პირის ერთობა“ არც ერთი კონკრეტული ფიზიკური პირი არ არის, იმიტომ რომ კანონმდებელი ასევე პირდაპირ გვეუბნება ორი ან რამდენიმე პირის ერთობლივ (გაერთიანებულ) მოქმედებაზე.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა არ წარმოადგენს არც ფიზიკურ პირს და არც იურიდიულ პირს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 930-ე - 940-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე ფაქტია, რომ იგი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეა.

წინამდებარე სტატია იმ საკითხის გარკვევას ეძღვნება, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა თუ რამდენად შეიძლება იყოს (რამდენად არის) მენარმე სუბიექტი, მაშინ როცა „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ამომწურავად განსაზღვრავს მენარმე სუბიექტების სამარ-

თლებრივი ფორმების ჩამონათვალს და მათ შორის სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა მოხსენიებული არ არის.

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი და რედაქტორი ზურაბ ჭეჭელაშვილი, 2010, 14) §14-ში მენარმის ცნება შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

(1) მენარმე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან-და უფლებაუნარიანი ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამენარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

(2) უფლებაუნარიანია ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სამართლებრივი ფორმა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც არასამენარმეო მიზნებისათვის, ასევე სამენარმეო მიზნებისათვის (ლადო ჭანტურია, საკორპორაციო სამართალი (სახელმძღვანელოში ქართული სამართლის საფუძვლები), 2004, 225). „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე კი სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სამართლებრივი ფორმის, სამენარმეო (ბიზნეს) საქმიანობაში გამოყენება საკანონმდებლო დონეზე პირდაპირ აღიარებული არ არის. თუმცა ყოველდღიურ ყოფა

ცხოვრებაში სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სამართლებრივი ფორმის სამენარმეო (ბიზნეს) საქმიანობაში გამოყენება დიდი ხანია ხორციელდება.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომელიც არ არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები, მაგრამ ახორციელებენ ეკონომიკურ (შესაბამისად სამენარმეო) საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური (შესაბამისად სამენარმეო) საქმიანობის განსახორციელებლად ითვლებიან საწარმოდ, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი „საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადახდელად აღრიცხვას ექვემდებარება ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ვალდებულება“. უფრო მეტიც, აღნიშნული ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართოს შემოსავლების სამსახურს.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით განსაზღვრულ სამეურნეო ან სხვა მიზნებში, ჩვენის აზრით სავსებით შესაძლებელია ვიგულისხმოთ სამეწარმეო ანუ კომერციული მიზანი. მართალია სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად „იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მაგრამ ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იურიდიულ პირებზე. სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა კი, როგორც აღინიშნა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად იურიდიულ პირს არ წარმოადგენს. ამასთან სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებული ნებისმიერ მოქმედება“.

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის პალატამ თავის 2013 წლის 05 დეკემბრის ას-632-601-2013 გადაწყვეტილებაში გაიზარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ „... სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, უპირველეს ყოვლისა არის მოგებაზე ორიენტირებული ამხანაგობა“.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაპირდა-

პირ ითვალისწინებს, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა შეიძლება იყოს სამენარმეო (ბიზნესის) სუბიექტი, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსი კი კიდევ უფროს მეტ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა იყოს სამენარმეო სუბიექტი (ხმალადე, შავიშვილი, ხატიაშვილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, 2005, 131).

თუ სამოქალაქო კოდექსი და საგადასახადო კოდექსი სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას აღიარებს, რომ იგი შეიძლება იყოს სამენარმეო (ბიზნეს) სუბიექტი, მაშინ რატომ არაფერს ამბობს ამის შესახებ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არის მენარმე სუბიექტთა სამართლებრივი ფორმების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული აქტი.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 14 მარტის კანონით „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და მე-19 მუხლით განისაზღვრა სამენარმეო ამხანაგობის ცნება, რომლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი ამხანაგობა გადაწყვეტს რეგისტრაციას, ის რეგისტრირდება სამენარმეო ამხანაგობის სახით“. სამენარმეო ამხანაგობის რეგულაციის საკითხს მიეძღვნა ასევე მე-191 და მე-192 მუხლები. აღნიშნულ კანონში 2009 წლის 3 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებებით კი მე-19, მე-191 და მე-192 მუხლები საერთოდ ამოღებული იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას `მენარმეთა შესახებ` კანონი მენარმე სუბიექტად არ მიიჩნევს, ფაქტია რომ რეალურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით სამშენებლო ბიზნესში, საკმაოდ ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სამართლებრივი ფორმა და იგი ეკონომიკური ბრუნვის მონაწილეა (სუბიექტია).

### 3. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის არსი

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სამოქალაქო სამართლის სამხანაგობა შეიძლება იყოს როგორც არასამენარმეო სუბიექტი, ასევე სამენარმეო სუბიექტი, რისი გამიჯვნაც საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს. „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სუბიექტები კი მიუხედავად იმისა თუ რა მიზანს დაისახავენ ისინი დაფუძნებისას, მაინც სამენარმეო სუბიექტები არიან და ექვემდებარებიან იმ სამართლებრივ რეჟიმს, რაც მენარმე სუბიექტებისათვის არის კანონმდებლობით გათვალისწინებული.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ანუ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის იმ ნიშან-თვისებებს, რაც მისთვის როგორც სამენარმეო სუბიექტისთვის არის დამახასიათებელი.

სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას, როგორც კერძო სამართლის სუბიექტს ახასიათებს ისეთივე ინსტიტუტების არსებობა, რაც დამახასიათებელია „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამენარმეო იურიდიული პირებისათვის (სპს, კს, შპს, სს და კოოპერატივი). ასეთი ინსტიტუტებია: ამხანაგობის დაფუძნების პროცედურა, სახელწოდების (საფირმო სახელის) შერჩევა, შესატანის განსაზღვრა, ნილობრივი მონაწილეობა, გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია, მართვის ორგანოების შექმნა, ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, მონაწილეთა (პარტნიორთა) უფლება მოვალეობების განსაზღვრა, პასუხისმგებლობა, საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) და სხვა.

ამ თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც სპს, კს-ს და კოოპერატივის დაფუძნების შემთხვევაში პარტნიორი (წევრი) შეიძლება იყო მინიმუმ ორი პირი, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის ჩამოსაყალიბებლადაც (შესაქმელად, დასაფუძნებლად) სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად საჭიროა მინიმუმ ორი პირი. ამასთან წევრები (დამფუძნებლები) ისევე როგორც მენარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში, ამხანაგობის შემთხვევაშიც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური პირები და ასევე იურიდიული პირები.

მენარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ სარეგისტრაციო განაცხადი უნდა შეი-

ცავდეს საწარმოს საფირმო სახელწოდებას, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის № I-02 დანართის თანახმადაც, ამხანაგობის საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს გადამხდელის სრულ სახელწოდებას.

მენარმე იურიდიული პირის პარტნიორები, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-41 პუნქტის თანახმად დაფუძნებისას დებენ შეთანხმებას (წესდებას), რის საფუძველზეც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები (და რომელიც შეიცავს სწორედ იმ მონაცემებს, რაც „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად რეგისტრაციისთვის არის აუცილებელი), სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმადაც ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს: ა) მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს; ბ) მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნების შესახებ; გ) მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს; დ) მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს; ე) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესს და პირობებს; ვ) ხელშეკრულებიდან გასვლის წესს; ზ) საქმიანობის ხანგრძლივობას; თ) ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

მენარმე იურიდიული პირის პარტნიორებს, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გან-

საზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმადაც მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენატანები.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი მენარმე იურიდიული პირებისათვის ითვალისწინებს პარტნიორთა შორის მოგების განაწილების წესს, სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლიც

„მენარმეთა შესახებ“ კანონი მენარმე იურიდიული პირებისათვის ითვალისწინებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ რეგულაციას, სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლიც არეგულირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხებს.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი მენარმე იურიდიული პირებისათვის ითვალისწინებს კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობას, ანალოგიურად სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლიც ითვალისწინებს მონაწილეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი მენარმე იურიდიული პირებისათვის ითვალისწინების ლიკვიდაციის წესსა და პირობებს, სამოქალაქო კოდექსის 939-ე და 940-ე მუხლებიც ითვალისწინებს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებსა და შეწყვეტის წესს.

ანალოგიური სურათია ძალიან ბევრ სხვა საკითხთან (ინსტიტუტთან) დაკავშირებითაც, რომლის დეტალურ ანალიზსაც წინამდებარე სტატიაში არ შევუდგებით. თუნდაც

ის, რომ როგორც `მენარმეთა შესახებ` კანონი, სამოქალაქო კოდექსიც ძალიან ბევრ დისპოზიციურ ნორმას ითვალისწინებს აღნიშნული სუბიექტების დაფუძნების, მართვის, ფუნქციონირების და საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაციის) საკითხზე.

ზემოთ აღნიშნული ურთიერთ შედარებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა ქმნის საბაზისო მოდელს ამხანაგობის ტიპის სამენარმეო იურიდიული პირებისათვის ე. წ. პერსონალური საზოგადოებებისათვის და ასევე შეიცავს ძალიან ბევრ ისეთ ინსტიტუტს, რაც ახასიათებს კაპიტალისტური ტიპის სამენარმეო საზოგადოებებს.

სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, თავისი არსით სწორედაც რომ ყველაზე უფრო ახლოს დგას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან. მათ შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ იურიდიული ფიქციის (სამოქალაქო კოდექსის და „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის) წყალობით სპს არის იურიდიული პირი, ხოლო ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად მოქმედებს იურიდიული პირის შეუქმნელად. თუმცა რა თქმა უნდა სამოქალაქო სამართლის ამხანაგობასა და `მენარმეთა შესახებ` კანონით გათვალისწინებულ მენარმე სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს შორის სხვა განსხვავებებიც არსებობს.

#### 4. დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენის აზრით უკეთესი იქნება თუ მენარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლში განხორციელდება ცვლილება და დაემატება ამგვარი პუნქტი: „გარდა ამ კანონით გათვალისწინებული მენარმე სუბიექტებისა, სამენარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ფორმით, რომლის შექმნის, საქმიანობის და შეწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 930 - 940-ე მუხლების შესაბამისად“. მაგრამ თუ კანონმდებელს სურს, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ფორმების გარდა სხვა რომელიმე სუბიექტის მიერ არ განხორციელდეს სამენარმეო საქმიანობა, მაშინ ასევე შესაძლებელია, სამოქალაქო კოდექსში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს რომ თუ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის საქმიანობის მიზანი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაა, მაშინ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის ფორმის გამოყენება დაუშვებელია. საყურადღებოა, რომ 1964 წლის 26 დეკემბრის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის (რომელიც მოქმედებდა ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) 447-ე მუხლის (რომელიც არეგულირებდა საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მიზნებს) მე-2 ნაწილი განსაზღვრავდა, რომ „მოქალაქეებს შეუძლიათ დადონ საერთო საქმიანობის ხელშეკრულება

მხოლოდ პირადი საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად“.

დღევანდელი მდგომარეობა კი ამ თვალსაზრისით ერთგვარ გაურკვეველობას ქმნის ბიზნესის მონაწილეთათვის. ასევე საყურადღებოა, რომ არცერთი ნორმატიული აქტი ამჟამად არ განსაზღვრავს, დასაშვებია თუ არა სამოქალაქო სამართლის სამხანაგობის რეორგანიზაცია „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმის სუბიექტად და პირიქით შეიძლება თუ არა „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმის სუბიექტი გარდაიქმნას სამოქალაქო სამართლის ამხანაგობად, ანდა მოხდეს მათი ერთმანეთან შერწყმა.

დასახელებული ცვლილებებით კანონმდებლობაში არსებული გაურკვეველობაც აღმოიფხვრება და ბიზნეს საქმიანობის დანყების მსურველთა არჩევანიც საკანონმდებლო დონეზე უფრო ნათელი და დახვეწილი იქნება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

## ლიტერატურა

1. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
5. სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1964 წლის 26 დეკემბრის რედაქცია);
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“.
7. ჭანტურია ლ., შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.;
8. ქართული სამართლის საფუძვლები, რომან შენგელიას რედაქციით, თბ., 2004.;
9. ხმალაძე ვ., შავიშვილი ი., ხატიაშვილი დ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, თბ., 2005.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის პალატის 2013 წლის 05 დეკემბრის ას-632-601-2013 გადაწყვეტილება, <http://www.supremecourt.ge>;

( )

( )

« »

( )

».

**Anzor Ustiadze**

**Joint Activity Partnership, as a Business Entity**

Resume

Selection of legal form is an important stage of starting business, which plays a significant part throughout the business process. The persons interested in business select the, the most optimal legal form for his activity.

The Law “On Entrepreneurs” exhaustively determines legal forms admitted in business activity. But such formation, as joint activity (partnership) governed by the Civil Code is also widely applied in business.

This article contains discussion of essence of joint activity partnership and its mutual compliance with the legal forms provided by the Law “On Entrepreneurs”.

**იდენტობა**  
**Идентичность**  
**Identity**

---

---

**სიგნოლური ინტერაქციონიზმი ევროპელთა  
იდენტობაში**

*ცირა ფუტკარაძე*

ქართველთა იდენტობა ტრადიციულად საკმაოდ ახლოს იყო და არის ევროპელთა იდენტობასთან. ჰუმანური ხასიათი და პარალელები ევროპულ ღირებულებებთან უფრო მეტად გვაახლოვებს დასავლურ ცხოვრებასთან. ამიტომაც ადვილად მოხდა ქართველთა ასიმილიაცია ევროპულ სოციალურ ჯგუფებში. ქართველთა ამჟამინდელი ყოფა მეტად რთული, საინტერესო და მრავალფეროვანია. 1) რთულია იმ თვალსაზრისით, რომ მატერიალური ფასეულობების მოთხოვნილებათა ზრდამ მკვეთრად შეაფერხა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება . 2) საინტერესოა, რამდენადაც ქართველი კაცი შინაგანად მეზრძოლი და ამბიციური, ცდილობს მხარი აუბას ყველა იმ ცვლილებას, რასაც გლობალიზაცია ჰქვია და ყველაზე მთავარი- 3) მრავალფე-

როვნება-ქართველთა ნაწილი, რომელიც მიგრაციულ პროცესებშია ჩართული, ცდილობენ თავიანთი შემოსავლები ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ აღმავლობას მოახმარონ, აქ ხდება ძირითადად მათი მატერიალური რესურსების გადმომისამართება. ანუ, ჩვენი ანალიზის თემა ქართველთა სოციალური ჯგუფებია, რომლებიც კულტურალურად და ინტელექტუალურად ასოცირდებიან ევროპულ ღირებულებებთან. მიდი წერდა “სოციალური ჯგუფის ქცევას, სოციალურ ფსიქოლოგიაში, არ განვიხილავთ მისი ცალკეული ინდივიდების ქცევის თვალსაზრისით. ჩვენ უფრო გამოვდივართ ჯგუფური აქტივობის, სოციალური მთლიანობის მონაცემებიდან, რომლის ჩარჩოებში ვაანალიზებთ თითოეული ინდივიდის ქცევას... [mead, 1934, p7]“.

ევროპული იდენტობა ჟღერს ამბიციოზურად, მაგრამ ამაში ბრალი არავის არ მიუძღვის. ევროპული იდენტობა განსაზღვრავს ევროპელების კოლექტიურობას, მათ სპეციფიკურ-ევროპულ საერთო ნიშნებს, მახასიათებლებს, ანუ სიტყვა ევროპული არ გამოიყენება სიტყვის მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით, მისი ისტორიული ფესვები მოდის სახელდობრ „ნაციონალური“-ს ევროპული გაგებით. ტერმინი ევროპული იდენტობა უცხოა სხვა კონტინენტათვის. სხვადასხვა ეროვნების ხალხები, გაფანტული მთელი ევროპის კონტინენტზე, ცხოვრობენ საერთო იდენტობის შეგრძნებით, რომლითაც ვერ ფლობს ვერცერთი კონტინენტის

ნარმომადგენლები. მათ ახასიათებთ მჭიდრო კავშირი ჯგუფის შიგნით; ჯგუფის წევრებს ერთობლივად შეუძლიათ ჩაიდინონ რაიმე ქმედება გაუცნობიერებლად, თუკი მათი ძირეული საზრუნავი ემთხვევა. ანუ, ევროპული იდენტობის მატარებლებს ახასიათებთ გრძნობების ურთიერთმორის გაყოფა, ისინი თავის თავს პირველ რიგში აღიქვამენ, როგორც ევროპელს და არა მხოლოდ, როგორც ესპანელს, შვედს, ბელგიელს და ა. შ. ეს შეგრძნება უცხოა არაევროპელთათვის.

სტატიის სათაურში ევროპული იდენტობა დავუკავშირეთ სიმბოლურ ინტერაქციონიზმს – „სიმბოლური ინტერაქციონიზმი ევროპულ იდენტობაში“.

ინტერაქციონიზმს აქ ვიყენებთ, როგორც პირობას, რომელიც აუცილებელია მონაწილეთა ურთიერთქმედების რეაქციაზე. ინტერაქციონისტული ორიენტაცია თავისთავად გულისხმობს სოციალური ურთიერთქმედების პროცესს, ინდივიდის სოციალური ქცევის გაგების თვალსაზრისით. რა ხერხებით და საშუალებებით ხორციელდება და რეგულირდება სოციალური ინტერაქციის პროცესი, სწორედ ეს გვინდა მოკლედ ავსახოთ ჩვენს ნაშრომში.

ჩნდება ინტერესი კომუნიკაციის პრობლემისადმი სიმბოლოების, ენის, სიტუაციების ინტერპრეტაციის, პიროვნების სტრუქტურის, როლური ქცევების, რეფერენტული ჯგუფების, როგორც წყარო, სოციალური მიზანდასახულო-

ბების და სოციალური ურთიერთმედების ნორმების ფორმირების.

ინტერაქციონისტიკმა შეიმუშავეს ისეთი მიმართულებები, როგორცაა:

- 1) სიმბოლური ინტერაქციონიზმი.
- 2) როლების თეორია.
- 3) რეფერენტული ჯგუფების თეორია.

ეს მიმართულებები ხშირად ურთიერთგადაჯაჭვულია, თუმცა ჩვენ მხოლოდ სიმბოლურ ინტერაქციონიზმს განვიხილავთ. ჯ.მიდის იდეათა გამგრძელებელი, სიმბოლური ინტერაქციონიზმის წარმომადგენლები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ „სიმბოლური კომუნიკაციის“ პრობლემაზე, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, საუბრებზე, ურთიერთქმედებებზე, განხორციელებული სიმბოლოების მეშვეობით.

ბლუმერის მოსაზრებით, სიმბოლური ინტერაქციონიზმი ემყარება სამ წინაპირობას:

1. ადამიანები ახდენენ ქმედებას „ნივთებთან“ მიმართებაში, იმ მნიშვნელობით, რომლითაც ხდება ამ ნივთების აღქმა. „ნივთი“ აქ ინტერპრეტირებულია როგორც, ყველაფერი, რაც ადამიანის ირგვლივაა: ფიზიკური საგნები; სხვა ადამიანები; სოციალური კატეგორიები, მაგალითად მეგობრები და მტრები; სოციალური ინსტიტუტები-სკოლა, სახელმწიფო და ა.შ.; იდეალები-პირადი თავისუფლება და პატიოს-

ნება; სხვა ადამიანების ქცევები-მათი ბრძანებები, სურვილები და სიტუაციები, რომლებსაც ეხებიან თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2. მეორე წინაპირობა-ნივთები იქმნება ან აღმოცენდება სოციალურ გარემოცვასთან ურთიერთქმედების შედეგად.

3. მესამე თეორიული წინაპირობა მიუთითებს, რომ ეს მნიშვნელობები გამოიყენება და იცვლება ადამიანის მიერ გარშემორტყმული ნივთების ინტერპრეტაციის პროცესში [Blumer,1937,p.81].

სიმბოლური ინტერაქციონიზმის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, ადამიანის არსებობას არა მხოლოდ ბუნებრივ,ფიზიკურ,არამედ სიმბოლურ გარემოცვაში, ასევე სიმბოლოები, როგორც თანმსდევი ფუნქცია სოციალური ურთიერთქმედების პროცესში[Blumer,1984].

ინტერაქციონისტები ავითარებენ ჯ.მიდის შეხედულებას-კომუნიკაციის წარმატებულად განხორციელებისთვის ინდივიდს ესაჭიროება ფლობდეს "სხვისი როლის მიღების"უნარი, ანუ, შევიდეს იმ ადამიანის მდგომარეობაში,ვისკენაც მიმართულია კომუნიკაცია და შეხედოს თავის თავს მისი თვალებით. ამ შემთხვევაში ინდივიდი გარდაიქმნება პიროვნებად, სოციალურ არსებად,რომელსაც შეუძლია საკუთარ თავს მოეპყროს ,როგორც ობიექტს,ანუ გააცნობიეროს აზრი მის მიერ წარმოქმული სიტყვების,ქცევების

ბის და წარმოიდგინოს ეს სიტყვები და ქცევები, როგორ აღიქმება სხვა ადამიანის მიერ.

სოციალური ჯგუფები,სადაც ადამიანები მონაწილეობენ ჯგუფის წარმატებულობაში, ინდივიდს უხდება განზოგადება ჯგუფის უმრავლესობათა პოზიციების.ინდივიდის ჯგუფში ქცევას ჯ.მიდი აღნიშნავს,როგორც“შედეგი კონკრეტული ინდივიდის მიერ სხვების მიზანდასახულობათა მიღებას საკუთარ თავთან მიმართებაში,როგორც ერთ მთლიან მიზანდასახულობას,ან მოსაზრებას,რომელსაც შეიძლება ეწოდოს მიზანდასახულობა“ განზოგადებული სხვისი“ [Mead,1934,პ.90]. მიდისთვის “განზოგადებული სხვა“პირდაპირ კავშირშია რეფერენტული ჯგუფის პრობლემასთან.

ერთერთი მთავარი თეზისი სიმბოლური ინტერაქციონიზმის მოცემულია ,როგორც მტკიცებულება,რომ ინდივიდი,პიროვნება ყოველთვის სოციალურია,ანუ პიროვნება არ შეიძლება ფორმირდებოდეს საზოგადოების გარეშე [Blumer,1984].

პიროვნება თუკი არ შეიძლება ფორმირდებოდეს საზოგადოების გარეშე,ისმის კითხვა-რას წარმოადგენს პიროვნების ბირთვი? - რა თქნა უნდა საკუთარი თავის იდენტურობა,რომელიც მე-კონცეფციაში ვლინდება.მე-კონცეფცია წარმოადგენს ცოდნისა და რწმენის სისტემას,რომელსაც ინდივიდი ფლობს თავისი თავის შესახებ: თუ რას წარმოადგენს ინდივიდი,რა არის მისი მნიშვნელოვანი მახასია-

თებლები, რას ფიქრობს ინდივიდი იმაზე, თუ რას აკეთებს ის კარგად და რას ცუდად, რა სახის სიტუაციებს აძლევს უპირატესობას და რას ერიდება.

პიროვნება ვლინდება აგრეთვე იმაში, თუ როგორ აფასებს ის თავის თავს, რაც თვითპატივისცემაში აისახება. სოციალური მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პიროვნების ამ ასპექტის, მე-ს ცოდნის ჩამოყალიბების საკითხი. შესაბამისად უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა ამ პრობლემას. მითითებული იქნა მთელი რიგი წყაროები, თუ როგორ ყალიბდება, საიდან მომდინარეობს მე-ს ცოდნა. მათ შორის განსაკუთრებით აღინიშნა: 1) სოციალიზაციის პროცესი-მითითებული იქნა, რომ ინდივიდს ბავშვობიდან გარკვეული მანერით ეპყრობიან მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები. რომ გარკვეული ასაკის შემდეგ ინდივიდი მონანილებს ამა თუ იმ ეთნიკურ, კულტურულ ან რელიგიურ აქტივობებში, რაც აყალიბებს იდივიდის გამოცდილების ბირთვს და გამოცდილების რეგულარობას კი მიყვარათ იქამდე, რომ ის გაშინაგანებული ხდება, როგორც მეკონცეფციის მნიშვნელოვანი ასპექტი; 2) რეფლექსირებული შეფასება არის რეფლექსი იმ რეაქციებისა, რაც სხვებს აქვთ ინდივიდზე; 3) უკუკავშირი სხვებიდან-რა უკუკავშირს იღებს ინდივიდი საკუთარი თვისებების შესახებ; 4) მე-ს პერცეპცია-რას ასკვნის ინდივიდი თავისი პიროვნული თვისებების შესახებ საკუთარ ქცევაზე დაკვირვებით; 5) გარემო-

სეული განსხვავებულობანი - ანუ ფაქტორები, რომლებიც ინდივიდს განსხვავებულს ხდის; 6) სოციალური შედარება-ინდივიდის მიერ საკუთარი კონკრეტული თვისებების შეფასება მსგავს სხვასთან შედარებით; 7) სოციალური იდენტურობა-რომელიც ინდივიდის სოციალური ჯგუფის წევრობიდან მომდინარეობს.

ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ითვლება, რომ სოციალური იდენტურობა წარმოადგენს მე-კონცეფციის ნაწილს, რომელიც მომდინარეობს მისი სოციალური ჯგუფის წევრობიდან, ღირებულებებსა და ემოციურ მნიშვნელობასთან ერთად, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის წევრობასთან. ეს ჯგუფი შეიძლება იყოს ოჯახი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფი და ა.შ. რადგან სოციალური იდენტურობა მე-კონცეფციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალური იდენტურობით პიროვნებაში გარკვეული ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება ხდება. თუ რა ღირებულებულებების მატარებელია ინდივიდი, უფრო მეტად განისაზღვრება იმით, თუ რომელ ჯგუფთან ახდენს ინდივიდი იდენტიფიკაციას. ამ მიმართულებით ინტერაქციონისტები იკვლევენ პიროვნების ისეთ მდგომარეობას და ქცევას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოცემული პიროვნების წარმატებული თანამშრომლობა სხვა ინდივიდებთან.

ინტერაქციონისტთა კვლევები ამ მიმართულებით იზიარებს ინტერესებს ევროპული იდენტობის მკვლევარების ინტერესთა სფეროდან. კერძოდ:

ევროპული იდენტობა, როგორც ობიექტური მოცემულობა, ხასიათთა ერთობლიობა, ევროპელების განსხვავება არაევროპელებისგან ტრადიციებით, კულტურით, ცხოვრების სტილით და აზროვნების სისტემით. ისინი აცნობიერებენ თავიანთ ევროპულ იდენტობას ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ერთიანი ევროპული სახელმწიფოს ტერიტორია, ერთიანი ცივილიზაცია და ისტორიული განვითარება. ევროპისათვის დამახასიათებელი ტრადიციული იდენტობის კვალი ნელნელა ირეცხება. ახლის ძიებით აღვსილი ევროპული იდენტობა წინააღმდეგობებით სავსეა: ერთის მხრივ ეროვნული ნიშნების და მოძრაობების წინა პლანზე წამოწევა, მეორეს მხრივ-საზოგადოების ნაწილის გაძლიერებული სწრაფვა ევროპული იდენტობისადმი. ევროპული იდენტობა კი არასოდეს არ წარმოადგენდა ერთიან კონცეპციას, მთავარი ისაა, რომ არ შემუშავებულა გეგმა ერთიანი ინტეგრაციის კონტექსტში. „ევროპის მამები“ რ. შუმანი, ჟ.მონნი ვარაუდობდნენ, რომ ინტეგრაციის პროცესი და ახალი ევროპის შექმნა აღმოჩნდება ხანგრძლივი, ეტაპობრივი. არსებობს აბსოლუტურად განსხვავებული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და ნორმატიული წარმოდგენები ევროპული იდენტობის შესახებ. ამიტომაც აუცილებელია ვა-

ლიაროთ არსებობა განსხვავებული კონტექსტების, თეორიული საფუძვლების და პოლიტიკური რეალიების ამ ტერმინის გამოყენების.

საქართველო თავისი ისტორიით, კულტურით, მსოფლმხედველობით დასავლურ ქვეყნად მოიაზრება. უნივერსალური ღირებულებები, რომელთა მატარებელიც ევროპაა(ადამიანური ღირსება, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა,

უმცირესობათა უფლებების დაცვა) იძლევა დემოკრატიის განვითარების საშუალებას. ისმის კითხვა:როგორ უნდა განვითარდეს დემოკრატიული საზოგადოება, რომ ამას არ შეეწიროს ეროვნული იდენტობა?


ამ კითხვაზე მკვლევარები მუშაობენ და მომავალში კვლავაც იმუშავენ. დემოკრატიული საზოგადოების განვითარების და ევროპული ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით სტუდენტთა ჯგუფში ჩავატარეთ მარტივი კვლევა.

სტუდენტებს მიეცათ ჩემდეგი სახის დავალება: 1) ჯგუფი უნდა დაიყოს სამ ნაწილად; 2) თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს ქვეყანა,რომელთანაც ახდენენ იდენტობას ერთი კონკრეტული ღირებულების საფუძველზე; 3) 1-100% განზომილებაში მათ მიერ შერჩეულ ღირებულებას რა პროცენტულობა უნდა დაეთმოს ინდივიდთა მშვიდობიანი და ნარმატიული თანაცხოვრებისთვის.

ასე გამოიყურება სტუდენტთა მიერ შესრულებული დავალების შედეგები:

1 ჯგუფი	აშშ	ღირებულება	პროცენტული მაჩვენებლები
		სიტყვის თავისუფლება	30%
2 ჯგუფი	გერმანია	კანონის უზენაესობა	35%
3 ჯგუფი	საფრანგეთი	ეროვნულობა	35%

ადამიანისთვის საჭირო ღირებულებებს -სიტყვის თავისუფლება,ეროვნულობა -მისი დაცვის მნიშვნელოვანი ასპექტი-კანონის უზენაესობა შეეერთა. აქ ჩანს რომ პიროვნების მე-კონცეპციის ჩამოყალიბება ხდება სოციალიზაციის პროცესში მის მიერ საზოგადოების ღირებულებათა და ნორმათა ათვისება-ფორმირებით.



სამივე ღირებულება- სიტყვის თავისუფლება, ეროვნულობა და კანონის უზენაესობა ურთიერთგადაჯაჭვულია, რაც ასე გამოვსახეთ ნახაზზე.

სამივე ღირებულება-სიტყვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა და ეროვნულობა-ჩარჩოებში ხორციელდება სოციალური ქმედებები, თუმცა არ ითვლება გადამწყვეტ ფაქტორად ამ მოქმედებების განხორციელების. კავშირი ამ ღირებულებებს შორის ერწყმის პიროვნებათაშორისო ურთიერთობებს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ აზრთა გაცვლას, არამედ მნიშვნელოვანია საქმიანობითი გაცვლები.

**ჰიპოთეზებჩვენს მიერ შესრულებულ მცირე კვლევას აქვს შემდეგი:**

1. ეროვნულობა და კანონის უზენაესობა იდენტიფიცირდება ევროპულ ღირებულებებთან.

2. სიტყვის თავისუფლება მე-კონცეფციის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი; გარე ფაქტორებს ნაკლებად შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ შინაგან ფაქტორებზე.

ვფიქრობთ საინტერესო შედეგი მოგვცა ანალიზმა. სამი ღირებულება, რომელიც ახალგაზრდებმა უმნიშვნელოვანესად შეარჩიეს, ორი ღირებულება ევროპული ქვეყნიდან აიღეს, რისი საშუალებითაც მოახდინეს თავიანთი ევროპული იდენტობის გამოვლინება, ამით წარმოაჩინეს, რომ ისინი კულტურალურად და ინტელექტუალურად დასავლური ღირებულებების მატარებელი ადამიანები არიან.

ამრიგად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი ესწრაფვის პიროვნებას მიუახლოვდეს, როგორც სოციალურ მოვლენას, მოიპოვოს პიროვნების ფორმირების სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმები სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროს (სოციალურ ჯგუფში, საზოგადოებაში, სკოლაში, ოჯახში და ა.შ.), რაც ევროპული იდენტობისთვის უმთავრესია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „ქართული იდენტობა თითქმის ყველა მიმართულებით ტრადიციულად ახლოს არის ევროპულ იდენტობასთან“.

### ლიტერატურა

1. ფუტკარაძე ც. ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მე-კონცეფცია (შედარებითი ანალიზი). პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი“ ინტელექტი“#1 (18)2004.

2. Андреева Г. М.; Богомолова Н. Н.; Петровская Л. А.-Зарубежная Социальная Психология XX Столетия.стр.179-193.

3. АШПИ/Арапина С.В. Европейская идентичность: теория и практика (некоторые аспекты).

4. Blumer H. der Methodologische Standort des Symbolischen Interactionismus// Alltagwissen Interaction und Gesellschaftliche Wirklichkeit.bd.1.1937.#1

5. Mead G.H. Mind,Self,Society.Chicago,1934.

**Tsira Phutkaradze**

## **Symbolic interactionism in the European identity**

Resume

There is a symbolic interactionism of the European identity in this scientific work. What is the main difference from the European identity between not European.

Interactionism is used as a condition required for the successful interaction of the participants (team members) in scientific work. There are developed directions by interactionists such as symbolic interactionism; 2) role theory; 3) theory of reference groups but we'll discuss in this scientific work only about symbolic interactionism.

There is used views of H. Blumer's and G. Meaddi's about interactionism in particular, the fact in which case the person cooperate successfully with other individuals.

Research interactionists in this direction coincide with the interests of researchers European identity. That is European identity as an objective given,

set of characters, unlike Europeans from non-European traditions, style of life and system of thought. They are aware of their European identity factors such as the territory of European Union member states, a single civilization and historical development.

"Fathers of Europe" as Robert Schuman and Jean Monnet were of opinion that the process of integration and creation of a new Europe will be long and gradual.

( ) .

1. ;
2. ;
3. ,



შრომების კრებული

Сборник трудов

PROCEEDINGS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

Вопросы социальных наук

Problems of Social Sciences

## VIII

რედაქტორი:

ირაკლი მანველიძე


ტექნიკური რედაქტორი

გიორგი ქათამაძე

გამომცემლობის რედაქტორი:

იზა ხარებავა

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge